პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში, ამხ. კრესტინსკი.

— შირაზში (სპარსეთი) მოხდა არეულობა, რომლის დროს მოკლულ იქნა ორი და დაჭრილი 15 კაცი.

— ფინეთის ბურჟუაზია მუშათა გაფიცვის მოლოდინში აძლიერებს კამპანიას პროფკავშირების წინააღმდეგ.

— საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭომ [illegible] განათლების სახ. კომისარიატის პროექტი საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ.

პარასკევი, 22 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 90 (1845)

ჩინეთის რევოლიუციის საკითხები

ამხ. სტალინის თეზისები, დამტკიცებული საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ

შირითადი ფაქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩინეთის რევოლიუციის ხასიათს:

1) ჩინეთის ნახევრად კოლონიალური მდგომარეობა და იმპერიალიზმის ფინანსიურ-ეკონომიური ბატონობა;

2) ფეოდალური ნაშთების სიმძიმე, რომელსაც კიდევ უფრო აღრმავებს მილიტარიზმის და ბიუროკრატიის ბატონობა;

3) ფეოდალური და ჩინოვნიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა მილიონიან მასების ბრძოლა, რომელიც თანდათან ძლიერდება.

4) ნაციონალური ბურჟუაზიის პოლიტიკური სისუსტე, მისი დამოკიდებულება იმპერიალიზმისაგან და შიში რევოლიუციონურ მოძრაობის გაფართოების წინაშე;

5) პროლეტარიატის რევოლიუციონური აქტივობის გაძლიერება და მისი ავტორიტეტის ზრდა მშრომელთა მრავალ მილიონიან მასებს შორის;

6) ჩინეთის მეზობლათ პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა.

აქედან გამომდინარეობს ჩინეთის ამბების განვითარების ორი გზა. ან ნაციონალური ბურჟუაზია დაამარცხებს პროლეტარიატს, შეუთანხმდება იმპერიალიზმს და მასთან ერთად გაილაშქრებს რევოლიუციის წინააღმდეგ, რომ დაამთავროს ის კაპიტალიზმის ბატონობის განმტკიცებით. ან პროლეტარიატი უკან დაახევინებს ბურჟუაზიას, განამტკიცებს თავის ჰეგემონიას, გაიყოლებს ქალაქის და სოფლის მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს, რათა გასტეხოს ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, მიაღწიოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სრულ გამარჯვებას და გადაიყვანოს ის შემდეგ სოციალისტური რევოლიუციის ლიანდაგზე ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი და და საბჭოთა კავშირში პროლეტარული დიქტატურის არსებობა—რომლის გამოცდილება წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩინეთის პროლეტარიატის მიერ, მნიშვნელოვანად ხელს უწყობს ჩინეთის რევოლიუციის მეორე გზის განხორციელებას.

მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ იმპერიალიზმი ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ილაშქრებს საერთოდ მთლიანი ფრონტით და რომ ეხლა იმპერიალისტებს შორის აღარ არსებობს ის განხეთქილება და ის ომი, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერიალიზმის ბანაკში ოქტომბრის რევოლიუციის წინ, ეს ფაქტი გვეუბნება, რომ ჩინეთის რევოლიუციას გამარჯვების გზაზე შეხვდება გაცილებით უფრო მეტი დაბრკოლებები, ვინემ რევოლიუციას რუსეთში და რომ ღალატი და მტრის ბანაკში გადასვლა ამ რევოლიუციაში იქნება გაცილებით მეტი, ვინემ ეს იყო სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში.

ამიტომ, ბრძოლა რევოლიუციის ამ ორ გზას შორის ჩინეთის რევოლიუციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ კომუნისტების ძირითადი ამოცანაა ბრძოლა ჩინეთის რევოლიუციის მეორე გზის გასამარჯვებლად.

ჩინეთის რევოლიუციის პირველი საფეხური

ჩინეთის რევოლიუციის პირველ პერიოდში, როცა ნაციონალური არმია განუწყვეტლივ იმარჯვებდა და როცა მუშების და გლეხების ძლევამოსილი მოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ გაშლილი, ნაციონალური ბურჟუაზია (არა კომპრადორები) რევოლიუციასთან ერთად მიდიოდა. ეს იყო გაერთიანებული საერთო ნაციონალური ფრონტის რევოლიუცია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლიუციასა და ნაციონალურ ბურჟუაზიას შორის არ არსებობდა წინააღმდეგობა. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალური ბურჟუაზია მხარს უჭერდა რა რევოლიუციას, ცდილობდა გამოეყენებია ის თავის მიზნებისათვის, რათა მისი წარმართვით ტერიტორიალური დაპყრობის ხაზით, შეეზღუდა მისი გაშლა და გაფართოება. ხსენებულ პერიოდში ბრძოლა გომინდანის მემარცხენე და მემარჯვენე ფრთას შორის იყო გამოხატულება ამ წინააღმდეგობების. 1926 წლ. მარტში ჩან-კაი-შის ცდა გაედევნა გომინდანიდან კომუნისტები იყო ნაციონალური ბურჟუაზიის პირველი სერიოზული ნაბიჯი რევოლიუციის ასალაგმავათ. ცნობილია, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკა უკვე მაშინ იმ აზრის იყო, რომ საჭირო კომპარტიის დარჩენა გომინდანში და რომ „უნდა ვცდილობდეთ, რათა გომინდანიდან გავიდნენ მემარჯვენეები, ან და ისინი გამორიცხულ იქნენ“ (1926 წლ. აპრილი). ეს იყო ხაზი მიმართული რევოლიუციის შემდგომ გაფართოებისაკენ, მემარცხენეთა და კომუნისტების მჭიდრო თანამშრომლობისაკენ გომინდანის შიგნით და ნაციონალური მთავრობის შემადგენლობაში, გომინდანის მთლიანობის განმტკიცებისაკენ და ამასთანავე მემარჯვენეთა იზოლიაციისაკენ. საჭიროდ მიჩნეული იყო მემარჯვენეების, მათი გავლენის და გამოცდილების გამოყენება, რამდენადაც ისინი დაემორჩილებოდნენ გომინდანის დისციპლინას, ან მემარჯვენეთა განდევნა გომინდანიდან, რამდენადაც ისინი დაარღვევდნენ ამ დისციპლინას და უღალატებდნენ რევოლიუციას.

შემდგომმა ამბებმა სავსებით დაადასტურეს ამ ხაზის სისწორე. გლეხობის მოძრაობის ძლევამოსილი განვითარება, გლეხთა კავშირების და გლეხთა კომიტეტების დაარსება სოფლად, გაფიცვების ძლიერი ტალღა ქალაქებში, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების შექმნა, ნაციონალურ ჯარების ძლევამოსილი წინსვლა შანხაისაკენ,—ასეთი და ამგვარი ფაქტები მოწმობენ, რომ მიღებული ხაზი იყო ერთად-ერთი სწორი ხაზი.

მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ მემარჯვენეთა ცდამ 1927 წლის თებერვალში—შეტანათ განხეთქილება გომინდანში და შეექმნათ ახალი ცენტრი ნანჩანში,—განიცადა სასტიკი დამარცხება რევოლიუციონური გომინდანის ერთსულოვანი წინააღმდეგობის გაწევის გამო უხანში.

მაგრამ ეს ცდა იმის ნიშანი იყო, რომ ქვეყანაში ხდება კლასიურ ძალთა გადაჯგუფება, რომ არ დაისვენებენ მემარჯვენეები და ნაციონალური ბურჟუაზია და რომ ისინი გააძლიერებენ ბრძოლას რევოლიუციის წინააღმდეგ.

საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკა მართალი იყო, როცა 1927 წ. მარტში ამბობდა, რომ: 1) „ამჟამად ჩინეთის რევოლიუცია, კლასიურ ძალთა გადაჯგუფებასა და იმპერიალისტურ არმიების კონცენტრაციასთან დაკავშირებით, განიცდის კრიტიკულ პერიოდს და რომ მისი მომავალი გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ გადამჭრელი კურსის აღებით მასიური მოძრაობის განვითარებაზე“; 2) „საჭირო კურსის აღება მუშებისა და გლეხების შეიარაღებაზე და ადგილობრივ საგლეხო კომიტეტების გადაქცევაზე ხელისუფლებისა და შეიარაღებული თავდაცვის ფაქტიურ ორგანოებად“; 3) „კომპარტიამ არ უნდა დაფაროს მემარჯვენე გომინდანელების მოღალატური და რეაქციონური პოლიტიკა, არამედ მემარჯვენეთა გამოსამჟღავნებლად დარაზმოს მასები გომინდანისა და ჩინეთის კომპარტიის გარშემო“. (1927 წ. 3 მარტი).

ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ მომავალში რევოლიუციის მძლავრ გაქანებას, ერთის მხრივ და იმპერიალისტების იერიშს შანხაიში, მეორეს მხრივ, არ შეიძლებოდა არ გადაესროლა ნაციონალური ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, ისევე, როგორც შანხაის აღებას ნაციონალური ჯარების მიერ და შანხაელ მუშების გაფიცვას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია იმპერიალისტების გაერთიანება რევოლიუციის ჩასახრჩობად. ასეც მოხდა. ნანკინის დახვრეტა ამ მხრივ გახდა ჩინეთში მებრძოლ ძალთა ახალი გამიჯვნის ნიშანი. ნანკინისათვის ყუმბარების დაშენითა და ულტიმატუმების წარდგენით იმპერიალისტებს უნდოდათ ეთქვათ, რომ ისინი ეძებენ ნაციონალური ბურჟუაზიის დახმარებას შეთანხმებული ბრძოლისათვის რევოლიუციის წინააღმდეგ. ხოლო მუშათა მიტინგების დახვრეტით და გადატრიალების მოწყობით, ჩან-კაი-ში თითქოს იმპერიალისტების მოწოდების საპასუხოდ ამბობდა, რომ ის მზად არის შეუთანხმდეს იმპერიალისტებს ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ერთად მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რევოლიუციის მეორე საფეხური

ჩან-კაი-შის გადატრიალება თავის თავად ნიშნავს ნაციონალური ბურჟუაზიის გათიშვას რევოლიუციისაგან, ნაციონალური კონტრ-რევოლიუციის ახალი ცენტრის აღმოცენებას და მემარჯვენეთა შეთანხმებას იმპერიალიზმთან ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ.

ჩან-კაი-შის გადატრიალება ნიშნავს, რომ ამიერიდან სამხრეთ-ჩინეთში იქნება ორი ბანაკი, ორი მთავრობა, ორი არმია, ორი ცენტრი—რევოლიუციის ცენტრი უხანში და კონტრ-რევოლიუციის ცენტრი ნანკინში.

ჩან-კაი-შის გადატრიალება ნიშნავს იმას, რომ რევოლიუცია გადავიდა თავის განვითარების მეორე საფეხურში, რომ საერთო ნაციონალური გაერთიანებული ფრონტის რევოლიუცია გადავიდა მუშებისა და გლეხების მრავალ მილიონიანი მასების რევოლიუციაზე, აგრარულ რევოლიუციაზე, რომელიც გააძლიერებს და გააფართოვებს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჯენტრემისა და ფეოდალურ მემამულეთა წინააღმდეგ, მილიტარისტებისა და ჩან-კაი-შის კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფის წინააღმდეგ.

ეს ნიშნავს იმას, რომ ბრძოლა რევოლიუციის ორ მიმართულების შორის—რევოლიუციის შემდეგი განვითარების მომხრეებისა და რევოლიუციის ლიკვიდაციის მომხრეებს შორის—დღითი დღე კიდევ უფრო გამწვავდება და გავრცელდება რევოლიუციის მთელს დღევანდელ პერიოდზე.

ეს ნიშნავს იმას, რომ რევოლიუციონური გომინდანი უხანში, გადამწყვეტი ბრძოლის წარმატებით მილიტარიზმსა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სინამდვილეში გადაიქცევა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლიუციონურ—დემოკრატიული დიქტატურის ორგანოდ, ხოლო ჩან-კაი-შის კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი ნანკინში, თანდათან მოსწყდება რა მუშებსა და გლეხებს და დაუახლოვდება რა იმპერიალიზმს, ბოლოს და ბოლოს გაიზიარებს მილიტარისტების ბედს. მაგრამ აქედან ის გამოდის, რომ გომინდანის მთლიანობის შენარჩუნების პოლიტიკა, მემარჯვენეთა იზოლიაციის პოლიტიკა გომინდანის შიგნით და მათი გამოყენება რევოლიუციის მიზნებისათვის უკვე აღარ შეეფერება რევოლიუციის ახალ ამოცანებს.

ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს გომინდანიდან მემარჯვენეთა საბოლოოდ განდევნის პოლიტიკით, გადამჭრელი ბრძოლის პოლიტიკით მემარჯვენეთა წინააღმდეგ მათ სრულ ლიკვიდაციამდე, მთელი ძალა-უფლების თავმოყრის პოლიტიკით რევოლიუციონური გომინდანის ხელში, ისეთი გომინდანის, რომელშიც აღარ იქნებიან მემარჯვენე ელემენტები, და რომელშიც შევლენ მემარცხენეები და, აგრეთვე, კომუნისტები.

აქედან გამოდის, რომ მემარცხენეთა და, აგრეთვე, კომუნისტების მჭიდრო თანამშრომლობის პოლიტიკა გომინდანს შიგნით ამ საფეხურში იღებს განსაკუთრებულ ძალას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ ეს თანამშრომლობა გამოხატავს მუშებისა და გლეხების შეკავშირებას გომინდანს გარეთ და რომ ასეთი თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია რევოლიუციის გამარჯვება.

აქედან გამოდის, რომ რევოლიუციონური გომინდანის ძლიერების ძირითად წყაროს წარმოადგენს მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური მოძრაობის შემდეგი განვითარება მათი მასიურ ორგანიზაციების, რევოლიუციონურ საგლეხო კომიტეტების, პროფკავშირების, მუშებისა და სხვა მასიურ რევოლიუციონურ ორგანიზაციების, როგორც მომავალში საბჭოების მოსამზადებელ ელემენტებისა, გაძლიერება და რომ რევოლიუციის გამარჯვების ძირითად საწინდარს წარმოადგენს მშრომელთა მილიონიანი მასების რევოლიუციონური აქტივობის ზრდა, ხოლო კონტრ-რევოლიუციის საწინააღმდეგო საშუალებას—მუშებისა და გლეხების შეიარაღება.

დაბოლოს, აქედან გამომდინარეობს ის, რომ იბრძვის რა რევოლიუციონურ გომინდანელებთან ერთად, კომპარტიამ უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, როგორც აუცილებელი პირობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად.

ოპოზიციის შეცდომები

ოპოზიციის (რადეკი და კომპანია) უმთავრესი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მას ვერ გაუგია ჩინეთის რევოლიუციის ხასიათი, ვერ გაუგია რომელ ეტაპში იმყოფება ამჟამად ჩინეთის რევოლიუცია და როგორია მისი ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა.

ოპოზიცია მოითხოვს, რომ ჩინეთის რევოლიუცია განვითარდეს დაახლოებით ისეთივე ტემპით, როგორითაც ვითარდებოდა ოქტომბრის რევოლიუცია. ოპოზიცია უკმაყოფილოა, რომ შანხაის მუშებმა არ გაუმართლეს გადამჭრელი ბრძოლა იმპერიალისტებს და მათ დამქაშებს. მაგრამ მას არ ესმის, რომ რევოლიუცია ჩინეთში არ შეიძლება განვითარდეს სწრაფი ტემპით, სხვათა შორის, იმიტომ, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ეხლა უფრო ნაკლებ ხელსაყრელია, ვინემ იყო 1917 წელს (არ არის ომი იმპერიალისტებს შორის). მას ვერ გაუგია, რომ არ შეიძლება გადამჭრელი ბრძოლის გამართვა არახელსაყრელ პირობებში, როცა რეზერვები არ არის საკმაოდ მომზადებული, ასე, მაგალითად, ბოლშევიკები გადამჭრელ ბრძოლაზე არ წავიდნენ არც 1927 წლის აპრილში და არც ივლისში. ოპოზიციას ვერ გაუგია, რომ არახელსაყრელ პირობებში გადამჭრელი ბრძოლის თავიდან არ აცილება (როცა ეს შესაძლოა) ნიშნავს რევოლიუციის მტრების საქმის შემსუბუქებას.

ოპოზიცია მოითხოვს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნას ჩინეთში. რას ნიშნავს საბჭოების შექმნა ეხლა? ჯერ ერთი, მათი შექმნა შეუძლებელია ყოველ მომენტში, ისინი იქმნებიან მხოლოდ რევოლიუციის მსვლელობის განსაკუთრებით გაძლიერების პერიოდში და გარდა ამისა საბჭოები იქმნება არა ლაყბობისათვის, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოები, როგორც ძალაუფლებისათვის მებრძოლი ორგანოები. ასე იყო რუსეთში 1905 წელს. ასე იყო 1917 წელს. მაგრამ რას ნიშნავს საბჭოების შექმნა ამჟამად, მაგალითად, უხანის მთავრობის მოქმედების რაიონში. ეს ნიშნავს ამ რაიონში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგის გადასროლას. ეს ნიშნავს ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნის ლოზუნგის გადასროლას, რევოლიუციონური გომინდანის ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას, ვინაიდან ამ რაიონში არსებობს მხოლოდ რევოლიუციონური გომინდანის ხელისუფლება.

ეს ნიშნავს იმას, რომ მუშათა და გლეხთა ისეთი მასიური ორგანიზაციების შექმნის და განმტკიცების ამოცანა, როგორიცაა საგაფიცვო კომიტეტები, გლეხთა კავშირები და კომიტეტები, პროფკავშირთა საბჭოები, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები და სხვ., რომლებზედაც უკვე ეყრდნობა რევოლიუციონური გომინდანი, აურიოთ საბჭოთა სისტემის, სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ტიპის შექმნის ამოცანაში. ეს ნიშნავს იმას, რომ არ გესმოდეს თუ რა საფეხურზე იმყოფება ამჟამად ჩინეთის რევოლიუცია; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის რევოლიუციის მტრებს მისცე ახალი იარაღი რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახალი ლეგენდების შესაქმნელად იმის შესახებ, რომ ჩინეთში ხდება არა ნაციონალური რევოლიუცია, არამედ „მოსკოვური სოვეტიზაციის“ ხელოვნურად გადანერგვა.

მაშასადამე, ოპოზიცია აყენებს რა არსებულ მომენტში საბჭოების შექმნის ლოზუნგს, ამით სამსახურს უწევს ჩინეთის რევოლიუციის მტრებს.

ოპოზიცია მიზანშეწონილად სთვლის კომპარტიის მონაწილეობას გომინდანში. მაშასადამე, ოპოზიციას მიზანშეწონილად მიაჩნია კომპარტიის გასვლა გომინდანიდან. რას ნიშნავს კომპარტიის გასვლა გომინდანიდან ეხლა, როცა მთელი იმპერიალისტური ხროვა ყველა მისი დამქაშებით მოითხოვს კომუნისტების განდევნას გომინდანიდან. ეს ნიშნავს ბრძოლის ველის მიტოვებას და ღალატს თავის მოკავშირეებისადმი გომინდანში. ეს ნიშნავს კომპარტიის შესუსტებას, რევოლიუციონურ გომინდანის დაუძლურებას, შანხაის კავენიაკებისათვის საქმის შემსუბუქებას და ჩინეთში ყველაზე უფრო პოპულიარული დროშის, რევოლიუციონურ გომინდანის დროშის გადაცემას მემარჯვენე გომინდანელებისათვის. სწორედ ამას მოითხოვენ ეხლა იმპერიალისტები. მილიტარისტები და მემარჯვენე გომინდანელები.

გამოდის, რომ გომინდანიდან ამჟამად კომპარტიის გასვლის მოთხოვნით, ოპოზიცია სამსახურს უწევს ჩინეთის რევოლიუციის მტრებს.

ჩვენი პარტიის ცეკას წარსული პლენუმი სავსებით სწორად მოიქცა, როცა მან უარყო ოპოზიციის პლატფორმა.

(ადს)

მოსკოვი, 21 აპრილი.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობა

კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების
გარშემო

მოსკოვი, 21 აპრილი. სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობის 19 აპრილის დილის სხდომაზე ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველად გამოვიდა ამხ. ორახელაშვილი.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

„ამხანაგებო, — დაიწყო ამხ. ორახელაშვილმა, — ჩვენ რომ გვქონოდა უბედურება და ვმსხდარიყავით რომელიმე თანამედროვე დემოკრატიულ პარლამენტში, ჩვენ მოვისმენდით მთავრობის მოხსენებას, რომელიც, თუ ის გულწრფელი იქნებოდა, მოგვითხრობდა შინაურ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებათა და მშრომელთა ორგანიზაციების დარბევის შესახებ, გამარჯვებებზე სახელმწიფოს გარეთ, დამონებულ ერების და ამერიკელ ქალის ოდნავ შეურაცხყოფისათვის დახვრეტილ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ბედნიერება ვისხდეთ მუშურ-გლეხურ პარლამენტში, სადაც მთავრობა მშრომელების წინაშე აბარებს ანგარიშს სულ სხვა სახის გამარჯვებების შესახებ, სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, ახალი საზოგადოების, მშრომელთა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის დარგში და აგრეთვე ამ მონაპოვართა დაცვის დარგში მიღწეულ გამარჯვებების შესახებ.

ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს ის კილო, რომლითაც გამოდის აქ ჩვენი მთავრობა. ის არ ხმარობს მაგარ სიტყვებს, თუმცა ის წარმოადგენს ისეთ ერებს, რომლებსაც მაგარი სიტყვებისათვის არ დასჭირდებათ ჯიბეში ხელის ფათური ანდა ლექსიკონის ძებნა. მას არ ესაჭიროება მაგარი სიტყვა, ვინაიდან ის ღრმათ არის დარწმუნებული, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგევართ, რომ სიმართლე-ჭეშმარიტება, სიმართლე-სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა, რომ ჩვენ შეგვწევს საკმაო შინაგანი ძალა, რათა ბოლომდე შევასრულოთ ჩვენი ისტორიული მისია. ამ მტკიცე რწმენას მოკლებული არიან ბატონი ხიკსები და ბირკენხედები. ჯენტლემენობა დღეს ყველგან შეიჭრა მუშათა კლასში და მას ჰყავს ერთგული მეგობრები საბჭოთა კავშირში. ვიმეორებ, ჩვენ მივაგენით იმ ისტორიულ ნიადაგს, რომელიც ძალას აძლევს გამარჯვებულ მუშათა კლასს გლეხობასთან კავშირში ააშენოს ახალი სახელმწიფო, ახალი საზოგადოება. ეს ჩვენი გამარჯვება, ეს, ასე ვსთქვათ, რევოლიუციის მიერ მოპოვებულ უფლებათა სისტემა, პროლეტარიატის მიერ ჩამოყალიბებულია ჩვენს საბჭოთა კონსტიტუციაში. ეს კონსტიტუცია აგებულია ორ ძირითად მომენტზე, სახელდობრ: პროლეტარიატის კლასიურ დიქტატურაზე, რომელიც შეეფარდება ჩამორჩენილ გლეხურ ეროვნებათა სოციალიზმამდე ამაღლების აუცილებლობას, — და ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაზე.

საკავშირო მთავრობას, რომელსაც ამ ორივე დარგში აქვს მიღწევები, ამ მთავრობას შეუძლია სთქვას, რომ ის თავის ადგილზეა, რომ ის ასრულებს იმ ამოცანას, რომელიც ჩვენ ვიკისრეთ ოქტომბერში, რევოლიუციონერ რუსეთის განმანთავისუფლებელ მუშათა კლასის წინამძღოლობით და ლენინის ხელმძღვანელობით.

მე მინდოდა ყრილობის ყურადღება მიმექცია იმაზე, თუ რამდენად არის გატარებული ეს ძირითადი პროგრამა, ძირითადი ისტორიული გენერალური ხაზი ჩვენი კავშირის ერთ-ერთ,— როგორც ამხ. რიკოვმა სთქვა,—„მიყრუებულ“ მხარეში—ამიერ-კავკასიაში. მხარეში, რომელიც ყოველმხრივ ჩამორჩენილია, რომელიც წარმოადგენს გლეხურ ზღვას, სადაც აქა-იქ არის პროლეტარული ადგილები, როგორც ბაქო, სადაც ნამდვილი ეროვნებათა ხალიჩაა. თუ ჩვენ ამ თავისებურ კუთხეში გვაქვს მიღწევები, ეს მიღწევები, უმთავრესად, აიხსნებიან ჩვენი კავშირის სხვა, უფრო მოწინავე რაიონების მიღწევებით. ჩვენთვის ამიერ-კავკასიაში მთელი საკითხი მდგომარეობდა იმაში, რომ კავშირის ხელმძღვანელობის ქვეშ, პროლეტარიატის ორგანიზაციული გავლენის ქვეშ მოგვექცია გლეხური მეურნეობის ზღვა, დაგვემყარებია მტკიცე და ურყევი ეროვნული მშვიდობიანობა, —ყოველგვარი მშენებლობის ეს სავსებით აუცილებელი წინასწარი პირობა,—და მთლიანი ფრონტით მთელს საბჭოთა კავშირთან ერთად განვითარებულიყავით და წავსულიყავით წინ—სოციალიზმისაკენ. ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოდ, რომ ის პროგრამა, რომელიც ამ ორი წლის წინად დასახა კავშირმა საკავშირო ცაკის თბილისის სესიაზე, რომ ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდებოდა კავშირის დახმარებით და საკავშირო მთავრობის ხელმძღვანელობით. როგორია ამ პროგრამის დედა აზრი? ეს პროგრამა პირველ რიგში აყენებს ინდუსტრიალიზაციის საკითხებს. ცხოველმყოფელი ტალღა ამ ძირითადი მძლავრი პროცესის, რომელიც ვრცელდება და არც შეიძლება რომ არ გავრცელდეს კავშირის ისტორიულად გადამწყვეტ რაიონებში, ჩვენამდეც მოგორდა. ჩვენ უკვე გვაქვს პირველი მიღწევები ინდუსტრიალურ აღმშენებლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში. მაგრამ ეს ინდუსტრიალიზაცია პირველ ხანებში აუცილებლად იღებს თავისებურ ფორმებს. ინდუსტრიალიზაციის პროგრამა ჩვენ ასე წამოვაყენეთ: ჩვენი ადგილობრივი სამრეწველო ტეხნიკური ნედლეული უნდა დამუშავდეს ადგილობრივ სამრეწველო ცენტრებში, საკუთარი საშუალებებით. ჩვენ არ შეგვეძლო სხვა უფრო ფართე ამოცანების დასახვა, თუმცა გვაქვს საჭირო ბუნებრივი მასალა, განსაკუთრებით სამთო-საქარხნო, ქიმიური და ლითონის მრეწველობის განსავითარებლად. ჩვენ ამას ვსთვლით ახლო მომავლის საქმედ, ხოლო ამჟამად, უახლოეს ხუთწლედში, ჩვენ არ ვაყენებთ უდიდესი მშენებლობის აუცილებლობის საკითხებს.

ჩვენი ინდუსტრიალური მშენებლობის პირველი პროგრამა, პირველი საფეხურია—მთელი ჩვენი სამრეწველო ნედლეულის ადგილობრივ გადამუშავების პროგრამა. აქ საჭირო ხაზი გაესვას ერთ გარემოებას, რომელსაც შეუძლია ვინმეს შეცდომაში შეყვანა. ხომ არ ეწინააღმდეგება საკითხის ასე დასმა საკავშირო ინტერესებს? მეურნეობა და მრეწველობა ჩვენ ერთი გვაქვს. შეუძლებელია მეურნეობის დაყოფა უჯრედებად, მით უმეტეს, ნაციონალურ უჯრედებად. მაგრამ არსებული მრეწველობა და მისი განაწილება ნაანდერძევი გვაქვს წინა ეპოქიდან. განაპირა მხარეებიდან ცენტრში მოჰქონდათ ნედლეული, რომლის გადამუშავება უმთავრესად აქ სწარმოებდა. ხომ არ წარმოადგენს ჩვენი პროგრამა ერთგვარ სეპარატიზმს? არა, ასე საკითხს ჩვენ ვერ დავსვამთ, არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შევლახოთ საკავშირო მრეწველობის ინტერესები, არამედ იმიტომაც, რომ ეს იქნებოდა ამ მრეწველობასთან დაკავშირებულ ჩვენი საარსებო ინტერესების შელახვა. ჩვენ ვსვამთ საკითხს არა ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან ასეთი მიდგომა ამჟამად სავსებით უვარგისია, ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს მარტო ეროვნული თვითგამორკვევის თვალსაზრისით, არა, ჩვენ ვაყენებთ მას იმ თვალსაზრისით, რომ რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში ვაზიაროთ ამიერ-კავკასიის მშრომელნი მეურნეობის და სოციალისტური მშენებლობის უმაღლეს ფორმებთან, ამას მოითხოვს მთელი კავშირის ინტერესები. ინდუსტრიალიზაცია ხომ მრეწველობის რეკონსტრუქციას გულისხმობს. რეკონსტრუქციის პროგრამა ნიშნავს არა მარტო მრეწველობის გადახალისებას იქ, სადაც მას მოუსწრო გასაბჭოების ისტორიულმა მომენტმა, არამედ ის გულისხმობს ამ მრეწველობის ახალ განაწილებას მას შემდეგ, როდესაც დადგება სათანადო პირობები. თუ წინა პერიოდში ჩვენი სამეურნეო მშენებლობა მთლიანად არ იყო შეთანხმებული არც მთელი ქვეყნის სამეურნეო ინტერესებთან და არც ჩამორჩენილ ეროვნებათა სოციალისტური თვითგამორკვევის მოთხოვნილებებთან, სამაგიეროდ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკაზე დაყრდნობით, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ დღეიდან მრეწველობის განაწილება მისი რეკონსტრუქციის პროცესში უნდა მიდიოდეს ნედლეულის წყაროებთან უდიდესი მოახლოვების გზით. ამიტომ, არა იმიტომ, რომ თითქო ჩვენ გამსჭვალული ვართ პარტიკულიარიზმით, არამედ ყოველგვარი სეპარატიზმისადმი მტრულად განწყობილებმა, ჩვენ წამოვაყენეთ ეს პროგრამა: ჩვენი ბამბა, მატყლი, თამბაქო, აბრეშუმი და ტყე დამუშავდეს ადგილობრივ და მზა ფაბრიკატებისა ან ნახევარ ფაბრიკატების სახით გატანილ იქნას კავშირის დანარჩენ რაიონებში.

ამ კურსს ჩვენ ვიღებთ არა მარტო ხუთი წლით, არამედ უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ჩვენ შევსძლებთ იმ წარმოებების ამორტიზაციას, რომლებიც იმყოფებიან ნედლეულის წყაროებიდან დაშორებულ რაიონებში, იმ წარმოებების, რომლებიც არ სარგებლობენ იაფი მუშა-ხელით და სატრანსპორტო პირობებით. როდესაც ჩვენ მოვახდენთ ამ წარმოებების ამორტიზაციას, მაშინ ჩვენ შევსძლებთ ჩვენი პროგრამის სავსებით და მთლიანად განხორციელებას, იმ პროგრამისას, რომელსაც ვატარებთ მემკვიდრეობად მიღებულ ყველა პირობების გათვალისწინებით. ეს პროგრამა წამოყენებული იყო თბილისის სესიის მიერ. ვიმეორებ და ვამტკიცებ, რომ ეს პროგრამა ხორციელდება საკავშირო მთავრობის დახმარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ძირითად პრობლემას ამ შორეულ კუთხეში ჩვენ ვწყვეტთ წარმატებით. ამჟამად ჩვენ საშუალებას ვაძლევთ მოსახლეობას გაეცნონ მეურნეობის გაძღოლის უმაღლეს ფორმებს, მეურნეობის წარმოების ძველი წესებიდან გადავიდნენ უფრო გაუმჯობესებულ, ინდუსტრიალურ, სოციალიზმისაკენ მიმავალ წესებზე, რითაც ვწყვეტთ იმ საკითხებს, რომლებიც გზადაგზა იჭრებიან ჩვენს სინამდვილეში. ამჟამად ამიერ-კავკასიაში ისეთი ამინდი დგას, რომელიც იძლევა სამრეწველო კულტურების კარგი მოსავლის იმედს. რუს მუშის—მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. სმირნოვის ინიციატივის წყალობით, ისეთი პირობები შექმნა ჩაის კულტურას, რომ ახლო მომავალში გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩვენ გვექნება 20.000 დესეტინა ჩაის ბუჩქი და მრეწველობის ამ დარგის დამხმარე საწყობი. მაშინ ჩვენ გზადაგზა ადვილად გადავწყვეტთ არა მარტო მთელ რიგ სამეურნეო, არამედ ღრმა პოლიტიკურ საკითხებსაც. ასეთი თვალსაზრისით უდგები რა ამხ. რიკოვის მოხსენებას, მე, როგორც ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ამიერ-კავკასიისა, რომელიც შეიცავს რვა ძირითად ავტონომიურ რესპუბლიკას, უნდა დავადასტურო, რომ ჩვენი საკავშირო მთავრობა სრულ ანგარიშს უწევს ამ რესპუბლიკების ინტერესებს, მათ მოთხოვნილებებს და ცალკე მიზნებს, რათა ეს ჩამორჩენილი რესპუბლიკები დაუახლოვოს სოციალიზმს. სრულიად უადგილო იქნებოდა ყველა მტკივნეულ ადგილებზე, ყველა საჭიროებების ჩამოთვლა; ისინი მრავლად მოგვეპოვება და შემდეგშიც გვექნება. მაგრამ ჩვენი განვითარების სწორედ ძირითადი ხაზის ჩამოყალიბების შემდეგ საჭიროა ამ ტრიბუნიდან აღვნიშნო ჩვენი მეურნეობის ყველაზე მტკივნეული მხარეები. ინდუსტრიალური მშენებლობის მხრივ, რომელიც მთელს სასოფლო მეურნეობას აქცევს თავისი ორგანიზაციული გავლენის ქვეშ, ჩვენ მაინც ჩამოვრჩებით ზოგიერთ დარგში. სადაც ჩამორჩენა უფრო უარეს რამეს უდრის, ვიდრე განვითარების ტემპის შენელება.

თუ ამიერ-კავკასიის ყველაზე დამახასიათებელ მრეწველობაში, ნავთის მრეწველობაში, ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები, რომლებსაც ჩვენთან ერთად ჩვენი მტრებიც აღიარებენ, თუ ჩვენი ნავთის პროდუქტების ექსპორტი ისეთ დიდ სახეს ღებულობს, რომ ჩვენი რკინის გზა ახლო ხანში ვერ შესძლებს უამრავი ნავთის ტვირთის გადაზიდვას, მაშინ, ამასთან ერთად, ჩვენ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ბაქოს პროლეტარიატი, გმირი პროლეტარიატი, რომელიც თავის ხელმძღვანელების მეთაურობით, თავის წითელ დირექტორების მეთაურობით და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, ამჟამად ახდენს სასწაულებს, რომ ეს მუშათა კლასი უზრუნველყოფილ იქნას საცხოვრებელი მოედნის მინიმალური რაოდენობით მაინც. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ჩვენი ყველაზე მტკივნეული ადგილი: საბინაო საკითხი, როგორც ამხ. რიკოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, ეს ყველაზე ძირითადი და მტკივნეული საკითხია, მაგრამ აქ საჭიროა ერთგვარი თანამიმდევრობის დაცვა. მრეწველობა, რომელიც ამჟამად იფურჩქნება და რომელიც წარმოადგენს არა მარტო ჩვენს კანონიერ სიამაყეს, არამედ ხვალინდელი სოციალისტური დღის სიხარულსაც, საჭიროა, რომ ეს მრეწველობა ზურგმაგარი იყოს საბინაო მშენებლობის დარგშიც. ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობას საბინაო მშენებლობისათვის წელს გადადებული აქვს სულ ორი მილიონი მანეთი. ეს საკმარისი არ არის. თუ დღემდი ისეთი წარმოდგენა გვქონდა ბაქოზე, რომ თითქოს იქ საბინაო მშენებლობა არაჩვეულებრივად ფართე მასშტაბით სწარმოებს, ეს იმის გამო, რომ ამ რაიონში ახლად იყო დაწყებული საბინაო მშენებლობა. პირველად ის ფართოთ გაიშალა, ხოლო შემდეგში მისი ტემპი შენელდა. ამიტომ ამიერ-კავკასიის სამრეწველო მშენებლობის ყველაზე მტკივნეული ადგილია საბინაო მშენებლობის ტემპის აჩქარების საკითხი საერთოდ მრეწველობაში. ხოლო განსაკუთრებით—ნავთის მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

სოფლის მეურნეობის დარგში ყოველ მხრიდან გაისმის განგაში მიწადმოწყობის ტემპის შენელების გამო, ესე იგი იმ პროცესის შენელების გამო, რომელიც, ასე ვსთქვათ, ძირითად ბალანსს გაუკეთებდა ჩვენს აგრარულ რევოლიუციას. ჩვენს პირობებში ამიერ-კავკასიაში ის ღებულობს სპეციფიურ მნიშვნელობას, რადგან ის წარმოადგენს ეროვნული საკითხის ელემენტს.

თუ რესპუბლიკებს შორის ჩვენ დავამყარეთ მტკიცე მშვიდობიანობა. თუ რესპუბლიკანურ კედლებში ჩვენ, ცოტად თუ ბევრად მტკიცედ ვართ გამიჯნულნი, სამაგიეროდ რესპუბლიკებსა, მაზრებსა და სოფლებს შიგნით არა აქვს ადგილი მტკიცე გამიჯვნას. მიწადმოწყობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. უნდა დავაჩქაროთ მისი ჩატარება.

ვათავებ რა ჩემს სიტყვას, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ამჟამად განვიცდით ტკივილებს ზოგიერთ მომენტისაგან, რომლებიც ჩვენთვის მიუწვდომელი არიან. ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა ისწავლეს აშენება, ეს—არის აღმშენებლობა სოციალისტური. მაგრამ აუტანელი ხდება, როდესაც ამ მშენებლობას ემუქრება შინაური მტერი, უცხო ტერიტორიის საზღვრებზე გამაგრებული მტერი.

მე აქ მინდა აღვნიშნო ის, რომ ჩვენი მეზობლები — ოსმალეთი და სპარსეთი ამჟამად მტკიცე მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან ჩვენთან. უკეთეს მეზობლებს ჩვენ ვერ ვისურვებთ. საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციონურმა კავშირმა, მიუხედავათ სოციალური სისტემების სხვადასხვაობისა, გამონახა საერთო ენა რევოლიუციონურ ოსმალეთთან, სახელდობრ — რევოლიუციის ორი ქვეყნის ენა, რომელიც აადვილებს ჩვენს ურთიერთობას,—როგორც დიპლომატიურს, ისე საქმიანს. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ ვილაცის წყალობით, ვისი — ამას მე ეხლა დანამდვილებით ვერ ვიტყვი, საზღვარგარეთ, ოსმალეთის ტერიტორიაზე იმყოფება ამიერ-კავკასიის ნაგავი, ის მუსავატელები და ქართველი მენშევიკები, რომლებიც ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა ამოგლიჯეს თავის რიგებიდან. როგორც შხამიანი მუწუკი და რომლებიც ამჟამად იქ ამზადებენ თავდასხმას და ყოველგვარ გაუგონარ საზიზღროებას ჩვენი სააღმშენებლო მიღწევების მისამართით.

ამხანაგებო, ასეთი მდგომარეობა აუტანელია. ოსმალეთის მთავრობას ჩვენ მეგობრულად შეუთანხმდით სარდარაბადის ჯებირის აგებაზე სანაპირო მდინარეზე. მაგრამ რა გამოვა აქედან, თუ ჩვენ არ გვექნება სრული გარანტია ამის, რომ ოსმალეთის ტერიტორიაზე არ იქნებიან ის ბანდები, ჩვენი ქვეყნიდან გაძევებული ის ელემენტები, რომლებიც პატრუქით ხელში ელიან, რომ ააფეთქონ ჯებირი. საჭიროა ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა.

ასევე უნდა გადაიჭრას საკითხი ეგრედ წოდებულ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკის შესახებ პარიზში, საფრანგეთის მთავრობასთან. შავ ზღვასა და მტკვარს შორის არსებულ მუშურ-გლეხურ საქართველოსთან ერთად, იმპერიალისტების წყალობით, პარიზში არსებობს მეორე საქართველო, რომელსაც ჰყავს თავისი დელეგაცია საფრანგეთის მთავრობასთან, რომელმაც იცნო ჩვენი კავშირი.

მე არ ვიცი, ეგუება თუ არა ასეთი მდგომარეობა დიპლომატიურ ტრადიციებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენი მშენებლობისათვის და იმ ღრმა მშვიდობიანობისათვის, რომელიც აუცილებელია როგორც გარედან, ისე შიგნით, რომ ნაყოფიერი იყოს ჩვენი მშენებლობა, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია და აუტანელი მართალია, ამჟამად შეიძლება ცოტა სხვა ფორმით მეორდებოდეს ის, რაც იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ინგლისმა დააპატიმრა ნაპოლეონი და ინახავდა მას, როგორც საფრთხობელას, იმ მთავრობებისათვის, რომლებიც მოისურვებდნენ მის წინააღმდეგ გამოსვლას. მაშინდელი კარიკატურები გამოხატავდნენ ჯონ ბულს, რომელსაც დაბმული ჰყავდა დიდი ბულდოგი ნაპოლეონის თავით. ეს ძაღლი ჯონ ბულს მზად ჰყავდა მოხერხებულ დროში ურჩ საფრანგეთსა ან რომელიმე სხვა სახელმწიფოზე მისატევათ: ამჟამად სწორედ რაღაც ამის მსგავსი მეორდება საფრანგეთშიაც. რასაკვირველია, არ შეიძლება ქართველ მენშევიკების შედარება ნაპოლეონთან, ან თუგინდ ბულდოგთან. მათი ჩხენკელი უფრო ჩქარა კოლხიდელ ფინიას წააგავს, ვიდრე ბულდოგს (სიცილი). შეიძლება პარიზში მარტო მოხუც ქალებს არა აქვთ სიყვარული ოთახის ფინიებისადმი. ეს მათი გემოვნების საკითხია. მაგრამ საბოლოოდ და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ, თუ გინდ ელისეის სასახლის ფინიებისათვის ვერ გამოსცინცლავენ ჩვენს მთავრობას თუნდაც ერთ მანეთს, გარდა იმისა, რასაც ჩვენ, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების ქვეყანა, შესაძლებლად ვსცნობთ გადვიხადოთ თავისუფალი მოლაპარაკების ხაზით გაერთიანებულ კონფერენციაზე ვალების საკითხის გარშემო. ამიტომ ჩვენი მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას მე მივაქცევ ფინიების ამ ახალ ჯიშს, რომლითაც ასე გამდიდრდა კონტრ-რევოლიუციონური სამხეცეთი, მოთავსებული ოდესღაც რევოლიუციის სამშობლო ქალაქში.

ამხ. არტიუშინი

(უპარტიო, გლეხი არხანგელსკის გუბერნიიდან)

თავის სიტყვაში ეხება იმ სატკივრებს, რომლებითაც შეპყრობილია სოფელი—სიბნელე, უვიცობა, ლოთობა და ხულიგნობა. გლეხობაში გაიღვიძა სურვილმა დასძლიოს ეს თვითმპყრობელობის დროის მემკვიდრეობა, გლეხობას სწყურია, რომ ქვეყნის კულტურულმა ძალებმა დახმარება აღმოუჩინონ მას ამ სურვილისა და მისწრაფების განხორციელებაში.

ამხ. მიტროფანოვი

(გლეხი მოსკოვის გუბერნიიდან)

აღნიშნავს, რომ თანამედროვე გლეხობას ინტერესებს არა მარტო სამეურნეო საკითხებით, არამედ ის ძალიან დიდათ დაინტერესებულია აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებითაც. სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც ატარებს ჩვენი მთავრობა, იწონებენ გლეხთა მასები. ეს პოლიტიკა მიღწევებთან ერთად სამეურნეო ცხოვრების დარგში წარმოადგენს საუკეთესო ფაქტს, რომელიც უმტკიცებს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს ჩვენს სიმართლეს.

ამხ. ჩუბარი

(უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე)

იწონებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელსაც ატარებდა საბჭოთა კავშირის მთავრობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში: „საკავშირო მთავრობამ—სთქვა ამხ. ჩუბარმა,—შემდეგშიც უნდა განაგრძოს მშვიდობიანობის პოლიტიკა და ეროვნული მეგობრობის განმტკიცება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა შორის. საკავშირო მთავრობამ მთელი ენერგიით უნდა გაატაროს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და საბჭოთა აპარატის რეკონსტრუქციის პოლიტიკა.

ამხ. ბარისოვა

(მუშა ქალი ვლადიმირის გუბერნიიდან)

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენს მრეწველობას აქვს საგრძნობი მიღწევები. ვლადიმირის გუბერნიაში არ არის არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ისეთი ქარხანა, რომ სავსებით გამოყენებული არ იყოს. კიდევ მეტი, უკანასკნელ წლებში გუბერნიაში აგებულ იქნა ორი ახალი ფაბრიკა, შენდება დიდი ელექტროსადგური.

ამხ. ახუნ ბაბაევი

(უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარე)

ლაპარაკობს უზბეკურ ენაზე. ის ამტკიცებს, რომ თვით ყველაზე ჩამორჩენილ რესპუბლიკების მშრომელთა მასებსაც კარგად აქვთ შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელისუფლებას მუშებისა და გლეხების ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა და ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის. საბჭოების უკანასკნელ გადარჩევაში უზბეკისტანში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ღარიბი გლეხები, მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში მუშების და გლეხების აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული და სამეურნეო ცხოვრების განვითარების საქმეს.

19 აპრილის საღამოს სხდომა

ყრილობის 19 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო.

გამოსული ორატორები ეხებოდენ საკავშირო მთავრობის საგარეო პოლიტიკის ხაზს, რომელსაც სავსებით იწონებდენ. სიტყვების მთავარ თემას წარმოადგენდენ სამეურნეო მშენებლობის საკითხები.

სტალინგრადის ქარხნის მუშამ **კალუმ** მოუთხრო ყრილობას იმ მიღწევების შესახებ, რომელიც აქვს სტალინგრადის პროლეტარიატს წარმოების ორგანიზაციის დარგში.

უკრაინის წარმომადგენელმა **ბურიანმა** და ჩრდილოეთ-კავკასიის წარმომადგენელმა **კლიმენქომ** თავის სიტყვებში მიუთითეს სოფლის კულტურულ სამეურნეო ზრდაზე და იმ მოთხოვნილებაზე, რომელთაც გვიყენებს სოფლის მოსახლეობა თავისი კეთილდღეობის დონის ამაღლების და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მხრივ.

ამხ. ადამოვიჩი

(ბელორუსიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე)

აღნიშნავს საბჭოთა ბელორუსიის მშრომელთა კულტურულ და სამეურნეო ცხოვრების დონის ამაღლებას და ლაპარაკობს, რომ სწორედ ამ დონის ამაღლება უღვივებს მტრულ გრძნობებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკებ. მშვიდობიანი მშენებლობა და სამეურნეო მოღონიერება არყევს კაპიტალისტურ საფუძვლებს.

ამხ. გავრილოვი

(უკრაინის დეპუტატი)

აღნიშნავს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფართო ამოცანები მოითხოვენ ჩვენგან უდიდეს ყურადღებას და სიფრთხილეს იმ მხრივ, რომ რაც შეიძლება რაციონალურად განაწილებულ იქნეს თანხები ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის.

ამხ. ლიუბიმოვა

ეხება მუშაობის წარმატებებს აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მხრივ უახლოეს ამოცანად უნდა დაისახოს საბჭოს წევრ ქალის ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში. მეორე უმთავრეს ამოცანად ლიუბიმოვა სთვლის ქალის შრომის ორგანიზაციის შემსუბუქებას აღმოსავლეთ რესპუბლიკებში.

ამხ. მალონოვიჩი

(ბელორუსია)

მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ დასავლეთ ბელორუსია, რომელიც პოლონეთის ფარგლებში იმყოფება, აუტანელ ნაციონალურ ჩაგვრას განიცდის. საბჭოთა ბელორუსიის გლეხობა სთხოვს საბჭ. მთავრობას მიიღოს აუცილებელი ზომები, რომ პოლონეთის მთავრობამ შეასრულოს რიგის ხელშეკრულება, რაც საგრძნობლად შეამსუბუქებს ამ ნაციონალურ ჩაგვრას.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

ყრილობის რეზოლუცია მთავრობის მოქმედების შესახებ

1. საბჭოთა კავშირის საბჭოთა მეოთხე ყრილობა, მოისმინა და გაარჩია რა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის მთავრობის მუშაობის შესახებ 2 წლის განმავლობაში, სავსებით იწონებს მთავრობის მუშაობას და მის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ პროგრამას.

2. ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ მთავრობის მუშაობას, რომელიც მიმართული იყო კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარება - განმტკიცებისაკენ, ძლიერ ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირისადმი ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოების მტრული დამოკიდებულების ზრდა. ამ მტრული განწყობილების ზრდის მიზეზად ყრილობა სთვლის იმას, რომ თვით ფაქტი მშრომელთა სახელმწიფოს არსებობისა, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს და უარყოფს ყოველგვარ ნაციონალურ ჩაგვრას და ძალადობას, თანდათან უფრო ასუსტებს მსოფლიო ბურჟუაზიის პოზიციას მის მიერ დაჩაგრულ და გაყვლეფილ მუშათა კლასის და კოლონიალურ ქვეყნების მიმართ.

3. ყრილობა ყველა მშრომელთა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ უკანასკნელ დროს მეტად გაძლიერდა საერთაშორისო ბურჟუაზიის აგრესივობა საბჭოთა კავშირის მიმართ. ინგლისის მეტად უცნაური „გამაფრთხილებელი“ ნოტა, შემდეგ არაჩვეულებრივათ თავხედური, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში ჯერ არ ნახული ძალადობა საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ შანხაიში და პეკინში, აიძულებს საბჭოთა კავშირს მეტი სითხიზლე იქონიოს. ყრილობა ავალებს მთავრობას გააკეთოს ყველაფერი, რაც შესაძლოა, ომის თავიდან ასაცილებლათ და მიიღოს ყოველივე ზომები იმისთვის, რომ ჩაშალოს საბჭოთა კავშირის ომში ჩათრევის ახალი ცდები.

4. ყრილობა აფრთხილებს მთელს ქვეყანას, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ და ბრძოლა, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნები აწარმოებენ ჩინეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მუშურ-გლეხური მოძრაობის წინააღმდეგ, ქმნის ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს.

5. ყრილობა თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის მთავრობის პოლიტიკას ჩინეთის მიმართ, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩინეთის სრული სუვერენიტეტის ცნობა და საბჭოთა კავშირის მიერ იმ განსაკუთრებულ პრივილეგიებზე უარის თქმა, რომლებითაც სარგებლობენ უცხოელები ჩინეთში.

6. ყრილობა მთელი ქვეყნის ხალხთა ყურადღებას მიაქცევს იმ უდავო ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი მთელს ქვეყანაზე წარმოადგენს ერთად ერთ სახელმწიფოს, რომელიც აწარმოებს მშვიდობიანობის აშკარა და პირდაპირ პოლიტიკას, რაც ეთანხმება მთელი კაცობრიობის ინტერესებს. სავსებით იწონებს რა მშვიდობიანობის ამ პოლიტიკას, ყრილობა საკავშირო მთავრობას ავალებს შემდეგშიაც გადაუხრელად გაატაროს იგი და ეცადოს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და განმტკიცებას უცხოეთის სახელმწიფოებთან. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ასეთმა მისწრაფებამ გამოხმაურება ჰპოვა ზოგიერთ სახელმწიფოებში, რომლებთანაც ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ამ პოლიტიკის სისწორის საუკეთესო დამამტკიცებელია.

7. ყრილობა სავსებით იწონებს მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ და აღიარებს, რომ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა მესამე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში სავსებით გამართლებულია. ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკას შედეგათ მოჰყვა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ბაზისის მნიშვნელოვანი განმტკიცება, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო მსხვილ მრეწველობის სწრაფ ზრდაში, მრეწველობის იმ დარგების გაძლიერებულ ზრდაში, რომლებიც ამზადებენ საწარმოო იარაღებს, მუშათა კლასის რიცხვის შეუჩერებელ ზრდასა და მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, საქონლის ბრუნვის განსაზოგადოებრივობაში, კერძო კაპიტალის სამეურნეო ასპარეზის შევიწროვებაში და მოსახლეობის კოოპერატიულ გაერთიანების გაძლიერებაში. ყრილობა აღნიშნავს, რომ ყველა ეს მიღწევები შესაძლებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც მთავრობის მიერ გატარებულ იქნა ღონისძიებები ქალაქის და სოფლის სამეურნეო კავშირის გასაძლიერებლათ, კერძოთ, სამრეწველო საქონელზე ფასების შესამცირებლათ, საშუალო გლეხობაზე გაწერილ გადასახადების შესამცირებლათ და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის განსავითარებლათ და სხვა.

8. ყრილობა იწონებს მთავრობის მუშაობას წარსული ყრილობის მიერ გლეხობის მეურნეობის უფრო მაღალ კულტურულ დონეზე აყვანისა და გაძლიერების შესახებ მოცემულ დირექტივების განსახორციელებლათ და საერთოდ და მთლიანად დამაკმაყოფილებლათ სთვლის მიწადმოწყობის და მელიორაციის, სასოფლო-მეურნეობისათვის იარაღების და საწარმოო საშუალებათა მიწოდების, გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენების საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანების და სოფლის კულაკურ ზედა ფენის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეულ შედეგებს. ყრილობა სავსებით იწონებს მთავრობის მიერ სასოფლო-მეურნეობაში ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურებისათვის ხელის შესაწყობათ მიღებულ ღონისძიებებს, რომლებიც კერძოთ, გამოიხატა ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ფასების აწევაში. ყრილობა ავალებს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზისის ზრდისა და განმტკიცებისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობის საჭიროებას და მიიღოს ზომები სასოფლო-მეურნეობის საქონლიანობის გასადიდებლათ და რაიონული სპეციალიზაციის გასატარებლად და სასოფლო-მეურნეობის საექსპორტო დარგების განსავითარებლათ. ყრილობა აღნიშნავს, რომ ზემოდ დასახელებულ ღონისძიებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გლეხობის მოჭარბებული შრომის გამოსაყენებლათ ადგილობრივ.

9. ყრილობა, განსაკუთრებულის კმაყოფილებით აღნიშნავს რა სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ კაპიტალურ ხარჯების მნიშვნელოვანად ზრდას, რაც მოასწავებს ქვეყნის გადასვლას სამეურნეო განვითარების და მეურნეობის რეკონსტრუქციის ახალ ფაზისში, იწონებს იმ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმას, რომელიც დასახული აქვს მთავრობას მიმდინარე სამეურნეო წლისათვის 2 ნახ. მილიარდი მანეთის რაოდენობით. ყრილობა იწონებს მთავრობის გადაწყვეტილებებს დნეპრზე ძლიერი ჰიდრო-ელექტრო-სადგურის და სემირეჩინის რკ.-გზის აგების შესახებ, სთვლის რა, რომ ეს არის დასაწყისი ქვეყნის მთელი ეკონომიკის გადაკეთებისა ელექტროფიკაციის გენერალურ გეგმის მიხედვით.

10. რეკონსტრუქციის პერიოდის დაწყებასთან და სახალხო მეურნეობაში ახალ მნიშვნელოვან თანხების დაბანდების აუცილებლობასთან დაკავშირებით, ყრილობა ავალებს მთავრობას ყოველმხრივ გააძლიეროს ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის ნამდვილათ განხორციელებისათვის. საჭიროა, რათა დაუზოგავათ აღმოფხვრილ იქნეს სამეურნეო უთავბოლობა და სახალხო საშუალებათა განიავება და ამავე დროს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მთელი მეურნეობის და სახელმწიფო [illegible] გამგეობის რაციონალიზაციას. კერძოთ ყრილობა მთავრობის ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრატიული და სამეურნეო აპარატის შემდგომ გაიაფების და გაუმჯობესების აუცილებლობას და ვაჭრობაში მრეწველობაში და ტრანსპორტში ზედნადებ ხარჯების შემცირების საჭიროებას. ყრილობა სთვლის, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებამ არ უნდა გამოიწვიოს მშრომელ მასების მატერიალურ მდგომარეობის გაუარესება, პირიქით მომჭირნეობის რეჟიმი ხელს უწყობს ქვეყნის საწარმოო ძალების გაშლას, რაც უზრუნველყოფს მუშების და გლეხების კეთილდღეობის შემდგომი გადიდების შესაძლებლობას.

11. ყრილობა აღნიშნავს იმ სისტემატიური მუშაობის უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც მიმართულია სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებისაკენ. იწონებს რა ამ სფეროში უკვე გატარებულ ღონისძიებებს, ყრილობა ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა ფასების დაკლების პოლიტიკის შემდგომი გაღრმავება, როგორც საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაციის და სავაჭრო აპარატის გაიაფების, ისე სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების თანდათანობით შემცირების გზით. სთვლის რა, რომ ამ ღონისძიებათა გატარებას ყველაზე უფრო ხელს უშლის ბიუროკრატიზმი და აპარატის მოუქნელობა, ყრილობა ავალებს მთავრობას აწარმოოს სასტიკი, დაუზოგავი ბრძოლა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მიერ ფასების დაკლების პოლიტიკის ყოველგვარ გადამახინჯების წინააღმდეგ.

12. ყრილობა იწონებს მთავრობის მუშაობას საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების და მასში მშრომელთა ფართე მასების ჩაბმის სფეროში, ყრილობა განსაკუთრებულის კმაყოფილებით აღნიშნავს უკანასკნელ საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებას, რაც გამოიხატა მუშების და გლეხების აქტივობის გადიდებაში.

13. ყრილობა იწონებს მთავრობის წინანდელ ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხში მოცემულ დირექტივების მიხედვით წარმოებულ მუშაობას. კერძოთ ყრილობა აღნიშნავს საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების სახელმწიფო აღმშენებლობის მატერიალურ ბაზისის განმტკიცებას, მათი საბიუჯეტო უფლებების გაფართოებას და საერთო საკავშირო ასიგნობათა გადიდებას სუსტ ნაციონალურ ბიუჯეტებისათვის. ამ ღონისძიებათა გატარებამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ეკონომიურად ჩამორჩენილ ერების გეგმაშეზომილი ეკონომიური წინსვლა მათი კულტურული და სოციალური ცხოვრების შემდგომი განვითარებით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის დღიური

საბჭოთა საკავშირო ყრილობის 21 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კუიბიშევის მოხსენება საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

კამათში დილის სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბოტიკოვმა — (დონბასი), ბელიკოვმა—(ურალი) და კარპმა—(ბელორუსია). (ადს).

ამხ. პარამონოვი
(ურალი)

ლაპარაკობს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება აწყდება საგრძნობ სიძნელეებს. ახალი ფაბრიკა-ქარხნების გეგმიან მშენებლობაში ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ ახალი ფაბრიკები აშენდეს ნედლეულის წყაროების მახლობლად.

პარამონოვის შემდეგ სიტყვით გამოვიდა

პროფ. ბახი

რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სამეცნიერო ძალები, რომლებიც მზად არიან იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად, ყოველ წლობით მრავლდებიან. ეს სამეცნიერო ძალები ენერგიულად მუშაობენ. მათ შეაქვთ მეცნიერება მასებში, რომელთაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საშუალება მიეცათ და წაფებოდნენ ცოდნას. სამეცნიერო-ტეხნიკურ მუშაკების წინაშე სდგას დიდი ამოცანა—დახმარების გაწევა სოციალისტური მშენებლობისათვის. „ჩვენ კიდევ ცოტანი ვართ, ამბობს ბახი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე ბევრი ვიქნებით. ჩვენ წინ გვიდგას სასტიკი ბრძოლა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ“.

ამხ. საფიკულ-ოღლი-მამედქერიმ
(აზერბეიჯანის დელეგატი)

ეთანხმება მომხსენებელს არსებითი საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებაში და აღნიშნავს, რომ ეს მდგომარეობა მართლაც უაღრესად დაძაბულია. ორატორის აზრით, ეს აიხსნება მით, რომ თანამედროვე მსოფლიო ორ შეურიგებელ პოლიუსს წარმოადგენს: ერთია—სოციალისტური—საბჭოთა კავშირის სახით, მეორე—კაპიტალისტური—მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების სახით. ეხლანდელმა დაძაბულმა საერთაშორისო მდგომარეობამ გამოიწვია კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფების ერთგვარი აქტივობა საზღვარ-გარეთ. კერძოდ, ის კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფები, რომელნიც თავის დროზე გარეკილ იქნენ აზერბეიჯანიდან და საქართველოდან, უკანასკნელ დროს გაძლიერებით დაძვრებიან სხვადასხვა იმპერიალისტურ მთავრობების კარებთან იმ იმედით, რომ ეს მთავრობები გამოვლენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ზრახვებით. ამ კონტრ-რევოლიუციონერებს ავიწყდებათ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა იციან რა ფასიც აქვს რევოლიუციის მონაპოვრებს და რა განსხვავებაა მშრომელთა ხელისუფლებასა და ბურჟუაზიის ხელისუფლების შორის. ამიერ-კავკასიის, კერძოდ, აზერბეიჯანის მშრომელები არასოდეს არ შეურიგდებიან დაშნაკელებთან და ქართველ მენშევიკებთან დაბრუნებას. ამიერ კავკასიელი თეთრგვარდიელები ამჟამად შეუერთდნენ უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერებს, რათა გაერთიანებულად აწარმოონ კონტრ-რევოლიუციონური ბნელი საქმეები. მაგრამ დეე იცოდნენ მათ, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელები უკვე დიდი ხანია შეუერთდნენ უკრაინის მშრომელთა მასებს, რომ გაერთიანებული ძალ-ღონით აკეთონ სოციალისტური საქმე და, თუ საჭირო იქნება, გაერთიანებული წინააღმდეგობა გაუწიონ ინტერვენციის ყოველგვარ ცდას. ორატორი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ოსმალეთთან; მას უკვირს მხოლოდ ის, რომ ოსმალეთის რევოლიუციონური მთავრობა ოსმალეთის ფარგლებში ითმენს თეთრგვარდიელთა ბანდებს, რომლებიც გარეკეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა. შინაური პოლიტიკის დარგში მამედქერიმს უმთავრეს საკითხად მიაჩნია საქონლის ფასების დაკლების შესახებ. ის ლაპარაკობს, რომ ფასების შემდგომი დაკლება სამრეწველო საქონელზე დამოკიდებულია ნედლეულის ფასების დაკლებაზე. მაგრამ ნედლეულის ფასების დასაკლებად აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ტეხნიკური კულტურების, კერძოდ, მებამბეობის განვითარებას.

ამიერ-კავკასიაში დიდი შესაძლებლობაა მებამბეობის განვითარებისათვის, კერძოდ უნდა აღინიშნოს მუღანის ველი, რომელიც მორწყვის შემდეგ დიდძალ იაფ და საუკეთესო ხარისხის ბამბას მოგვცემს. აზერბეიჯანს მიღწევები აქვს არა მარტო სამეურნეო დარგში, არამედ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრებაშიც ვითარდება. თუ ბურჟუაზიული მთავრობის დროს აზერბეიჯანში სულ 30.000 მოწაფე სწავლობდა სკოლებში, ეხლა მათი რიცხვი 180.000-ს უდრის. მიღწევებს კულტურულ ცხოვრებაში მოწმობს აგრეთვე ის, რომ აზერბეიჯანის მთავრობამ ამჟამად შემოიღო ახალი ანბანი, ძველი არაბული ანბანის მაგიერ, რომელიც დიდად აფერხებდა კულტურის განვითარებას.

20 აპრილის დილის სხდომა

მოსკოვი, 21 აპრილი. 20 აპრილის დილის სხდომა იხსნება ამხ. პეტროვსკის თავმჯდომარეობით. გრძელდება კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო. კამათში გამოდიან ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლები, აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ-ის მუშები და გლეხები. პირველად ლაპარაკობს

ამხ. დანიელიანი
(სომხეთი)

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, აღნიშნავს ორატორი, საბჭოთა კავშირის მეურნეობა სწრაფად იზრდება, რაც აიხსნება მით, რომ მთავრობა ენერგიულად მუშაობს მუშებთან და გლეხებთან ხელი-ხელ ჩაკიდებით, იმპერიალისტები ცდილობენ ყოველმხრივ ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას. ამას ისინი ვერ შესძლებენ. მეფის იმპერიალიზმმა და კერენშჩინამ ჩვენ მემკვიდრეობად დაგვიტოვა დანგრეული მეურნეობა, ჩვენ ვახერხებთ მთელი ქვეყნის აღორძინებას იმიტომ, რომ მშრომელთა მასები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგებში.

ჩვენი კავშირის სამეურნეო განვითარების მეტი წარმატებისათვის მთავრობამ უნდა შეისწავლოს რაიონები, სადაც გლეხობას შეუძლია მიიღოს მეტი სარგებლობა სპეციალურ კულტურების გაშენებით, როგორიც არის მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება და სხვ. იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელია ამ კულტურების გაშენება, გლეხობას კიდევ არ ესმის მათი დიდი სამეურნეო მნიშვნელობა და მთელს ძალებს პურის მოყვანას ანდომებს. ბოლო უნდა მოეღოს გლეხის შრომის ასე უსარგებლოდ ხარჯვას. სოფლის მეურნეობას ეჭირვება აგრონომიული დახმარება. გლეხობა მიილტვის უმაღლეს კულტურებისაკენ, მაგრამ ვერ ახერხებს მათ დანერგვას თუ ხელმძღვანელობა არ გაეწია მას.

რომ გლეხობა დაინტერესებულია მეურნეობის უფრო რაციონალურად დაყენებით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან შეიცვალა დამოკიდებულება ნათესების და მსხვილფეხა საქონლის დაზღვევის საკითხისადმი. როცა ამ დაზღვევის შემოღება დავიწყეთ, გლეხები ლაპარაკობდნენ, ახალ გადასახადს გვახდევინებენო. ეხლა ისინი დარწმუნდნენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესების და საქონლის დაზღვევას და თვითვე მოითხოვენ გავრცელდეს სავალდებულო დაზღვევა წვრილფეხა საქონელზედაც. ეს მოწმობს, რომ მთავრობას სწორად ესმის გლეხობის ინტერესები და სურს მას დახმარება აღმოუჩინოს.

მეურნეობის განვითარება ამიერ-კავკასიაში მოითხოვს წყალის საკითხის მოგვარებას. ამიერ-კავკასიაში დიდი მოთხოვნილებაა სასმელ წყალზე.

ამ საკითხის გადასაჭრელად ამხ. დანიელიანი მოითხოვს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მაგიერ დაარსებულ იქნას განსაკუთრებული წყალთა სახალხო კომისარიატი, რომელიც დამოუკიდებლად გადასჭრის წყალთა მეურნეობის საკითხებს. სოფლის მეურნეობის განვითარებას ამიერ-კავკასიის მთაგორიან ადგილებში დიდათ აფერხებს რკინის გზების სიშორე, რომლითაც გლეხებმა თავისი პროდუქცია ბაზარზე უნდა გაიტანონ. ეხლა თავისი პროდუქტების რკინის გზის სადგურზე მისატანად გლეხებმა უნდა გაიარონ 100—150 ვერსი მთა-გორიანი გზით. ამხ. დანიელიანის აზრით, ადგილებზე საჭიროა მოვაწყოთ სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც მიიღებენ გლეხებისაგან პროდუქტებს, აგრეთვე უნდა მოეწყოს ადგილებზე ქარხნები სოფლის მეურნეობის ამ პროდუქტების გადასამუშავებლად, რადგან მათი შორ მანძილზე გადაზიდვა დიდ ზარალს აყენებს გლეხობას.

საბჭოების უკანასკნელმა გადარჩევამ ცხადჰყო, რომ წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ წარმატებებს მიაღწია. სომხეთში მშრომელთა მასების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში გაიზარდა 20 პროცენტით. არჩევნების ფორმა სავსებით სწორი იყო და სავსებით სწორად ხდებოდა საარჩევნო უფლებების წართმევა, რის გამო სოფლის მოსახლეობის 70-80 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში. ქალების მონაწილეობა არჩევნებში გაიზარდა 10 პროცენტამდე. ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირმა დიდი სარგებლობა მოუტანა სასოფლო საბჭოებს.

„ზოგიერთი ამხანაგები აღნიშნავდნენ,—დასძენს ამხ. დანიელიანი თავისი სიტყვის ბოლოს, —რომ ჩვენ ძალიან უმნიშვნელო ჯამაგირს ვაძლევთ ჩვენს ამორჩეულებს სასოფლო საბჭოებში—სულ 20 მანეთამდე. ჯამაგირი 20-25 მანეთის რაოდენობით, როცა საკუთარ მეურნეობასაც სწვდება მუშაკი, საკმარისია. საშუალებების სიმცირის გამო, უნდა დავკმაყოფილდეთ ჯამაგირის ასეთი რაოდენობით“.

ამხ. ლესოვიკი
(დონბასი)

მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას სამრეწველო რაიონებისათვის.

ამხ. ანაგაევი
(თურქმენისტანი)

ეხება მებამბეობის მნიშვნელობას თურქესტანში და საჭიროდ სთვლის გაძლიერებული ყურადღება მიაქციოს მთავრობამ მებამბეობის განვითარებას.

კეჰეევი
(კალმიკი—გლეხი)

ლაპარაკობს კალმიკთა ოლქის კულტურულ ჩამორჩენილობაზე, კალმიკ გლეხთა დიდ მატერიალურ გაჭირვებაზე და მოითხოვს, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ჩამორჩენილ ერების გათანასწორებას მოწინავე ერების კულტურულ დონესთან.

20 აპრილის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 21 აპრილი. ყრილობის 20 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო. სხდომას ხსნის ამხ. აიტაკოვი. კამათში გამოდიან ავტონომიურ რესპუბლიკების, ოლქების და საკავშირო რესპუბლიკების მუშები და გლეხები.

ამხ. სტარშინოვი
(თათართა რესპუბლიკა)

მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ აუცილებელია ზოგიერთ კანონების შეცვლა და წინააღმდეგობათა აღმოფხვრა არსებულ კანონმდებლობაში. ორატორის აზრით, საბჭოების ყოველწლიური გადარჩევის სისტემა უნდა შეიცვალოს და გადარჩევა ხდებოდეს ერთხელ ორ წელიწადში.

ამხ. ზუბოვი
(ზლატოუსტის ქარხნის მუშა)

წინადადებას აძლევს მთავრობას მიიღოს ზომები ჩვენი სამხედრო მრეწველობის განსამტკიცებლად. ეს ზომები აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრებით და ყოველ წუთში შესაძლოა თავს დაგვესხან.

ამხ. კოვალი
(უკრაინელი გლეხი-ქალი)

ლაპარაკობს უკრაინულ ენაზე. აღნიშნავს, რომ ყოფა-ცხოვრების მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან გლეხი-ქალები; მათ ძალიან უძნელდებათ მონაწილეობის მიღება საბჭოთა აღმშენებლობაში.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. მაიდინამ (გლეხი-ქალი ვორონეჟის გუბერნიიდან), გვოზდმა (ბელორუსიის გლეხი-ქალი), ბუიანოვმა (ჩრდილოეთ კავკასია), მუხინმა (მუშა ურალიდან).

შემდეგ გამოვიდა

ამხ. მიქოიანი

„საბჭოთა ხელისუფლების მთელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში—ლაპარაკობს ამხ. მიქოიანი—უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სამეურნეო საკითხებს. ეჭვს გარეშეა, რომ სამეურნეო მშენებლობის დარგში ჩვენ გვაქვს საგრძნობი მიღწევები და ამხ. რიკოვის მოხსენება ამ მიღწევების დამადასტურებელი ილიუსტრაცია წარმოადგენს.

მაგრამ მიღწევებს გარდა გვაქვს ნაკლულოვანებებიც, გვაქვს მუშაობის სუსტი ადგილები. მთავრობის მუშაობის ერთ-ერთ უძნელესი ადგილთაგანი არის შინაური და საგარეო ვაჭრობა. შარშან ჩვენ უდიდესი დაბრკოლებანი გვქონდა საგარეო და შინაური ვაჭრობის მოწყობის დარგში. მიმდინარე წელში ჩვენ გავითვალისწინეთ მთელი შარშანდელი გამოცდილება, რის შედეგადაც გვაქვს ზოგიერთი მიღწევები. ასე, მაგ., ექსპორტი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეადგენს 112 მილ. მან. მართალია ექსპორტი ჯერ კიდევ დაბალია, და ჩვენ უახლოეს ხანში უნდა მივაღწიოთ მის გადიდებას, მაგრამ მიმდინარე წლის ექსპორტი შარშანდელ წელთან შედარებით მაინც მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. მიღწევები გვაქვს ჩვენ იმპორტის დარგშიაც. წარსული წლის შედეგებმა საგარეო ვაჭრობაში პასიური ბალანსი მოგვცა. შარშან საზღვარგარეთიდან ჩვენ შემოვიტანეთ 42 მილ. მანეთით მეტი საქონელი, ვიდრე გავიტანეთ, რაც ნიშნავს ჩვენი სავალუტო და ოქროს რეზერვების შემცირებას. მიმდინარე წელში ჩვენ მეტად ფრთხილად მოვეკიდეთ იმპორტს. ჩვენ შევიმუშავეთ მტკიცე გეგმა და ამის შედეგათ პირველ ნახ. წელს ჩვენ შემოვიტანეთ 288 მილ. მ. საქონელი, მაშინ როდესაც განვლილი წლის პირველ ნახევარში იმპორტი შეადგენდა 412 მილ. მან. ჩვენი საქმიანი კავშირი და სავაჭრო ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან განუწყვეტლივ იზრდება. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან უცხოეთის მრეწველობისათვის აუცილებელია ბაზრები, ჩვენი კავშირი კი წარმოადგენს ერთ-ერთ ბაზარს, სადაც უცხოეთის მრეწველობა გაასაღებს თავისი პროდუქციის, უმთავრესად საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობის ნაწილს.

საქმის ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელ ატმოსფერას ქმნის უცხოეთის კრედიტებით სარგებლობის მხრივ. ჩვენ გერმანიაში უკვე გავანაწილეთ 319 მილ. მარკის შეკვეთა და ამით გამოვიყენეთ გერმანიის მთავრობის მიერ გარანტია-ქმნილი კრედიტი. ეხლა ჩვენ ავსტრიის მთავრობისაგან გვაქვს წინადადება, რომ ჩვენს შეკვეთებს მისცემენ კრედიტებს 50 მილ. მან. რაოდენობით. გარდა ამისა, ავსტრიის ბანკების ჯგუფის მხრივ ჩვენ მივიღეთ წინადადება, რომ ვალიუტით მოგვცემენ კრედიტს 50 მილ. მან. რაოდენობით.

მე არ შემიძლია არ შევეხო,—განაგრძობს ამხ. მიქოიანი,—ჩვენი იმპორტის ხასიათის საკითხს. რომ გიჩვენოთ, ცვლილებანი ჩვენი იმპორტის ხასიათში, რომლებიც მოგვახდინეთ ჩვენ, შარშანდელ იმპორტთან შედარებით, საკმაოა წავიკითხოთ შემდეგი ციფრები:

შარშან მანქანები შემოვიტანეთ 96 მილ. მან., მიმდინარე წელში კი შემოვიტანეთ 811 მილ. მან. ამგვარად ჩვენი მრეწველობა ძლიერდება დიდი რაოდენობის ახალ მოწყობილობით რაც თავის გავლენას მოახდენს მრეწველობის მდგომარეობაზე უახლოეს წლებში.

ჩვენ მიღწევები გვაქვს აგრეთვე პურის დამზადების დარგში. შარშან გეგმით ჩვენ უნდა დაგვემზადებინა 550 მილ. ფუთი. (ზეთის სახდელ მარცვლეულობასთან ერთად), დავამზადეთ 518 მილიონი ფუთი. მიმდინარე წელში დამზადების გეგმა შედგენილია 675 მილიონი ფ. რაოდენობით. (ზეთის სახდელ მარცვლეულობის გარდა). განვლილი 9 თვის განმავლობაში დავამზადეთ 580 მილ. ფუთი. მაშინ როდესაც შარშან ამავე 9 თვის განმავლობაში დავამზადეთ 433 მილ. ფუთი. უეჭველია, რომ წლიური გეგმა პურის დამზადების დარგში სავსებით იქნება შესრულებული ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ. მიმდინარე წელს პურის დამზადების კამპანიის სიძნელენი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მიმდინარე წელში პურის უმთავრესი მოსავალი გვქონდა აღმოსავლეთ რაიონებში. ჩრდილო პოვოლჟიეში, ურალზე, ციმბირში და ყაზახსტანში, ე. ი. ისეთ რაიონებში, საიდანაც მეტად ძნელია პურის შემოტანა. ერთ დროს იყო საფრთხე, რომ ციმბირში დამზადებულ პურიდან შეიძლება დაიკარგოს 15 მილ. ფუთი. ამჟამად ეს საფრთხე საგანგებო ზომების მიღებით აცილებულია“.

შემდეგ ამხ. მიქოიანი შეეხო ტეხნიკური კულტურების საკითხს და აღნიშნა, რომ მთავრობამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებათა რომელნიც უზრუნველყოფენ ტეხნიკურ კულტურების ნორმალურ განვითარებას. გადიდებულია ფასები ზოგიერთ ტეხნიკურ კულტურებზე და საგადასახადო შეღავათები ეძლევა მოთესველებს.

სამეურნეო საკითხების ცენტრში ამჟამად სდგას საკითხი სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების შესახებ. ფასების დაკლების აუცილებლობას გვიკარნახებს ის, რომ ჩვენ გვაქვს დიდი განსხვავება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ფასებს შორის. ჩვენ რომ არ მოგვეხდინა ამ განსხვავების შესუსტება სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების საშუალებით, მაშინ ჩვენ გვექნებოდა სასოფლო-სამეურნეო ფასების აწევა, რაიც სამეურნეო დაბრკოლებებს გამოიწვევდა. ყველამ იცის მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ფასები სამრეწველო საქონელზე 1 ივნისამდე უნდა შემცირდეს 10 პროცენტით. უნდა ითქვას, რომ ამ დადგენილების შესრულების დროს ჩვენ უდიდეს წინააღმდეგობას ვხვდებით სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ, რომლებიც თავისებურ პოლიტიკას ატარებენ, რაც არ იძლევა საჭირო შედეგებს ფასების დაკლების საქმეში. თუ კავშირის ყველა მუშები და გლეხები არ მიიღებენ მონაწილეობას ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში, მაშინ ძნელი იქნება მთავრობის დადგენილების სავსებით შესრულება.

ამხ. ჩანბას სიტყვა

საბჭოთა ყრილობის 20 აპრილის საღამოს სხდომაზე ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. ჩანბა (აფხაზეთი).

ამხ. რიკოვის ვრცელ მოხსენებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ უდიდესი მიღწევები გვაქვს საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, ჩვენ წლიდან-წლამდე ვმტკიცდებით და სწრაფი ტემპით მივდივართ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე. თქვენ იცით, რომ უცხოეთის ბურჟუაზია და აგრეთვე ისინიც, ვინც განდევნილია წითელი ხაზის იქით, ამყარებდენ იმედს იმაზე, რომ საბჭოთა ძალა-უფლება მალე დაილუპება, რომ ჩვენ დავიწერებით და სხ. მაგრამ ყოველივე ამაში ისინი მოსტყუვდენ, ყველა მათი იმედი დაიმსხვრა. ჩვენი მტრები ვერ გაიგებენ ჩვენ სამეურნეო საქმიანობის ბუნებას, რომელიც მათი სამეურნეო საქმიანობის დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. საბჭოთა სახელმწიფო აწესრიგებს თავის მეურნეობას, ყველაფერს აღრიცხავს, სუსტ ადგილებში იგი ახდენს თავის ძალების მობილიზაციას, სანამ არ გაამაგრებს ამ ადგილს. ეს მოქნილობა—დაბრკოლებიდან ყოველთვის გამოსვლა—მომავალშიაც უეჭველად მოგვცემს საშუალებას ვსძლიოთ ყველა ამ სიძნელეებს. ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს. ყოველ წლობით იზრდება ჩვენი კავშირის ბიუჯეტი. ჩვენი ბიუჯეტის ზრდა, ჩვენი მრეწველობის აღორძინება, ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდის მაჩვენებელია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ბიუჯეტში გვაქვს ზოგიერთი დეფექტები, რომელნიც უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენი მრეწველობის აღდგენაზე. პირველი დეფექტი—ეს არის ის, რომ ბიუჯეტი გვიან მტკიცდება, 5—6 თვის შემდეგ საბიუჯეტო წლის დაწყებიდან, რაიც ხელს უშლის ჩვენი მეურნეობის გეგმიანობას. მეორე დეფექტად მე მიმაჩნია ის, რომ საბიუჯეტო წელი იწყება ოქტომბრიდან, როცა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის ჩვენი მეურნეობის კონიუნქტურა. ჩემის აზრით, საბიუჯეტო წელი იანვრიდან უნდა დავიწყოთ, მაშინ ჩვენს უწყებებს საშუალება ექნებათ წინასწარ შეადგინონ თავისი ხარჯთ-აღრიცხვები და წარადგინონ დასამტკიცებლად. მესამე დეფექტია ჩვენი ბიუჯეტის გავლის მრავალსაფეხურიანობა. ავიღებ მაგალითისათვის აფხაზეთის ბიუჯეტს, პატარა საბჭოთა აფხაზეთის, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედის.

ჩვენი უწყებები ადგენენ ბიუჯეტს, რომელსაც აგზავნიან აფხაზეთის ფინსახკომში, და შემდეგ აფხაზეთის სახკომსაბჭოში. მერე ბიუჯეტი იმავე გზას გადის საქართველოში და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, და ბოლოს ცენტრში. ეს საერთო მოვლენაა ყველა რესპუბლიკებისათვის, რომელნიც ჩვენი კავშირის შემადგენლობაში შედიან. მე არ შევეხებივარ კომისიებს, რომლებშიაც გადის ეს ბიუჯეტი, მაგრამ თუ საერთოდ დავთვლით, ჩვენ გამოვარკვევთ, რომ აქ არის 50—60 ინსტანციამდე. ეს ქმნის საქმის მეტად გაჭიანურებას, რომელიც ძალიან ბევრ დროს გვართმევს და ამის გამო თავის დროზე არ გვაქვს მტკიცე ბიუჯეტი, რაიც არღვევს ჩვენი მუშაობის გეგმიანობას.

ჩვენი კავშირის მთავრობის მუშაობა მიმართულია იმისაკენ, რომ ამ დიდი კავშირის ყველა ნაწილები ჰარმონიულად განვითარდნენ, რომ გეგმაშეწონილად განვითარდნენ ყველა მასში შემავალი რესპუბლიკები. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ჩვენს კავშირში არის სამრეწველო მნიშვნელობის კუთხეები, ისეთი ეკონომიური კუთხეები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგალითისათვის ავიღოთ ამიერ-კავკასიის ფედერაცია. ამიერ-კავკასია მეტად მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით. თუ მთელ ამ სიმდიდრეს განვავითარებთ, ამას უეჭველად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნებოდა საბჭოთა კავშირის მეურნეობაში. ამიერ-კავკასიის ფედერაცია მისი მარგალიტი გახდებოდა.

ამიერ-კავკასიაში საქართველოს შემადგენლობაში შედის პატარა საბჭოთა აფხაზეთი. შეიძლება ბევრი არ იცნობდეს მას, მაგრამ იგი მეტად მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით. ამ სიმდიდრეთა განვითარება დიდ როლს ითამაშებდა ჩვენი კავშირის ეკონომიკაში. ჩვენ ამ პატარა აფხაზეთში გვაქვს ტყვარჩელის ქვანახშირი, რომლის შესახებაც შეიძლება ბევრმა უკვე იცის. ეხლა სწარმოებს კვლევა-ძიებითი მუშაობა, რისთვისაც ჩვენმა კავშირმა 200000 მანეთამდე გადადო. იქ მუშაობს ცენტრიდან გამოგზავნილი სპეციალური კომისია. ამასთან ერთად საქართველოს ს. მ. უ. ს. და აფხაზეთის ს. მ. უ. ს. ახდენენ ქვანახშირიდან კოქსის მიღების ცდას და მომავალ წლიდან განზრახულია ამ ნახშირის ექსპლოატაცია. ავიღოთ შავიზღვის რკინიგზა, რომლის დამთავრება შეჩერებულია. მომავალ წლიდან დაიწყება ტყვარჩელის ნახშირის ექსპლოატაცია. აქ ერთგვარი შეუთანხმებლობაა. რკინიგზა დასავლეთიდან—ადლერამდე გაყვანილი, აღმოსავლეთიდან ქალაქ ზუგდიდამდე, მანძილი ამ პუნქტებს შორის პატარაა, დაახლოებით 200 ვერსი. სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად შეჩერებულია შავიზღვის გზის გაყვანის გაგრძელება, არის ქვანახშირი, რომელსაც მომავალ წლიდან ექსპლოატაცია უნდა მოუხდინოთ. მაგრამ თუ რკინიგზა არ გვექნა, ძნელი იქნება მისი ექსპლოატაცია. ამ ქვა-ნახშირს კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება ტრანსპორტისათვის. მე ეკონომიურად მიზანშეწონილად მიმაჩნია შავიზღვის რკინიგზის დამთავრება.

ნახშირის გატანის გარდა ეს გზა სასარგებლო იქნება ამ პატარა აფხაზეთის ტყის სიმდიდრეთა ექსპლოატაციისათვის, რომლის მთელი სივრცის თითქმის 75 პროც. უჭირავს ტყეს, რომელთა შორის არის ძალიან ბევრი ძვირფასი ტყის ჯიშები. აფხაზეთში, როგორც მთელ ჩვენ კავშირისათვის, არის კურორტები, რომელთაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. შემდეგ იმავე აფხაზეთში ძლიერ არის განვითარებული მეთამბაქოება. ეხლა საბჭოთა მრეწველობა ამ პატარა აფხაზეთს უდგენს მოთხოვნილობას, რომ დაამზადოს 700.000 ფუთი თამბაქო. გარდა ამისა, აფხაზეთში შეიძლება მოშენდეს მრავალი ტეხნიკური კულტურები.

როცა მე ვლაპარაკობ აფხაზეთის სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სიმდიდრესა და კულტურებზე, მსურს აღვნიშნო, რომ ყოველივე ამას აქვს არა ადგილობრივი, არამედ საკავშირო მნიშვნელობა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საკავშირო მთავრობა ამას არ აქცევს ყურადღებას. აფხაზეთში მრეწველობის განსავითარებლად გადადებულია თანხები, მაგრამ მე მინდა კავშირის მთავრობის ყურადღება მიექცეს ამ ეკონომიურ კუთხეებს, რომელთა სიმდიდრის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი კავშირის ეკონომიისათვის.

შემდეგ საღამოს სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს: დიმიტრიევმა (ვოტის ოლქის გლეხი), რიაზანცევმა (ჩელიაბინსკი), ბუტენკომ (უკრაინის ს. ს. რ.), აბდურახმანოვმა (უზბეკისტანის ს. ს. რ.) გამოსულმა ამხანაგებმა თავის სიტყვებში შეჩერდნენ მთავრობის წინაშე მდგომ სამეურნეო ამოცანებზე.

კამათის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა და ერთხმად მიიღო რეზოლიუცია საკავშირო მთავრობის მოქმედების შესახებ. (რეზოლიუცია იხილეთ პირველ გვერდზე).

რეზოლიუციის კითხვას ხშირად სწყვეტდა ტაში.

დაიწყო შეტევა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

ნაციონალურ ჯარების უდიდესი ნაწილი რევოლიუციას იცავს

ნანკინში გამოცხადდა მემარჯვენეთა მთავრობა ხუ-ხან-მინის მეთაურობით

იმპერიალისტების ახალი ნოტა ევგენი ჩენისადმი

ბრძოლა კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ჩინეთში

გალაშქრება ნანკინზე

შანხაი, 21 აპრილი. გაზ. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზის“ ცნობით, ტან-შენ-ჩი შეუდგა არმიის მთავარ სარდლის თანაშემწის თანამდებობის ასრულებას და ჩუ-პეი-ტეის არმიასთან ერთად დაიწყო გალაშქრება ნანკინისაკენ. იტყობინებიან, რომ ჩან-კაი-შის ჯარებთან პირველი შეტაკებები მოხდა ვუხუს და ცზიუ-ცზიანის რაიონებში. ზარალი საგრძნობია ორივე მხრივ. მოწინააღმდეგე ძალებს თავს უყრის მდინარე იან-ცზის სხვა და სხვა პუნქტებზე.

ორი მსოფლიო ძალა

ვენა, 20 აპრილი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ორგანო „არბაიტერ ცაიტუნგი წერილში—„ჩინეთის რევოლიუციის კრიზისი“, სწერს: „შანხაის და კანტონის განიარაღებულ და მზაკვრულად დახოცილ მუშების მხარეზე სდგას ორი მსოფლიო ძალა, რომლის მაგვარიც ჯერ არ ახსოვს განვ. რევოლიუციონურ პერიოდებს: მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატი და საბჭოთა რუსეთი, რომლებიც შესძლებენ იმის მიღწევას, რომ შანხაის მუშების სისხლიანი დღეები გადაიქციონ მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ბრძოლის მხოლოდ ტრაგიკულ ეპიზოდათ და გაშალონ ძალები, რომლებიც დაამსხვრევენ მუშების სისხლით გასვრილ ჩან-კაი-შისა და მისი ამყოლების მახვილებს“. (ადს).

მოდ-უნ-ჩენის დაპატიმრება

პეკინი, 20 აპრილი. დაპატიმრებულია მოდ-უნ-ჩენი, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი არის კომპარტიის გლეხთა ბიუროს გამგე. (ადს).

ჩან-ძო-ლინი და იაპონიის ახალი კაბინეტი

პეკინი, 20 აპრილი. ჩან-ძო-ლინმა იაპონიის ახალ პრემიერს ტანაკას მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. გარდა ამისა, ჩან-ძო-ლინი ტოკიოში გზავნის წერილით თავის მრჩეველს, ჩაო-სინ-ბოსთან.

მუკდენელთა ცნობები

პეკინი, 20 აპრილი. ან-ცზიუნის შტაბი აცხადებს, რომ მუკდენელთა ჯარებმა აიღეს ლუ-ხო (ხენანის პროვინციაში). (ადს).

ნანკინის მთავრობა

შანხაი, 21 აპრილი. ჩინეთის პრესის ცნობით, 18 აპრილს ნანკინში შესდგა უხანის მოწინააღმდეგე მთავრობის გამოცხადების ზეიმი. გომინდანის მემარჯვენე ფრთის ცეკას მდივნათ დროებით დანიშნულმა ივე-ჩუნ-ცზიანმა წაიკითხა ახალი მთავრობის დეკლარაციის პროექტი. მთავრობის მეთაურს ხუ-ხან-მინს ჩააბარეს ბეჭდები. მასვე მიენდო აგრეთვე პარტიულ საქმეების ხელმძღვანელობა.

არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად დაინიშნა ვუ-ჩეი-ვეი. (ადს).

პროვოკაციის მეთოდი

ვენა, 20 აპრილი. უნგრეთის ბურჟუაზიული პრესა ჩინეთში მომხდარ ამბებს აფასებს, როგორც ინგლისის დიდ გამარჯვებას. ამასთანავე პრესა გამოსთქვამს აზრს, რომ ჩრდილოეთში ინგლისი მხარს დაუჭერს ჩან-ძო-ლინს—ჩან-კაი-შის წინააღმდეგ, ხოლო სამხრეთში კი—ჩან-კაი-შის კანტონის წინააღმდეგ. (ადს).

სუნ-იატ-სენის ნიღაბით

შანხაი, 20 აპრილი. ნანკინიდან დაბრუნებულმა მემარჯვენე გომინდანელების კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ კონფერენციაზე ლაპარაკი იყო არა „ახალი“ მთავრობის შექმნის შესახებ, არამედ ეროვნული მთავრობის ადგილმყოფელობის ნანკინში „გადატანის“ შესახებ. მაგრამ თუ ისინი ამაზე უარს იტყვიან, შედგენილი იქნება „ახალი სამინისტროები“.

მემარჯვენეებმა ქალაქის ჩინურ ნაწილში, თეატრში მოაწყვეს მიტინგი, რომელმაც მიიღო წინასწარ დამზადებული რეზოლიუცია. რეზოლიუცია მოითხოვს კომუნისტების მოშორებას, სიუ-ჩენის, ტენანდის და გო-მინ-იუს დაპატიმრებას და დასჯას. სიუ-ჩენი, იუსტიციის მინისტრი, მეთაური იყო იმ ბრძოლის, რომელიც ჩან-კაი-შის მიერ სამხედრო დიქტატურის გამოცხადების ცდის წინააღმდეგ სწარმოებდა. ტენანდი—ეროვნული ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსია, გო-მინ-იუ—პეკინის უნივერსიტეტის პროფესორი,—სახალხო განათლების მინისტრია. ყველა სამი მემარცხენე გომინდანელები და არა კომუნისტები. (ადს).

გერმანიის პრესა ჩინეთის ამბების შესახებ

ბერლინი, 21 აპრილი. გერმანიის პრესა დიდ ადგილს უთმობს უკანასკნელათ მომხდარ ამბებს ჩინეთში.

„ბერზენ კურიერი“ აცხადებს: „დიდ სახელმწიფოთა და განსაკუთრებით ინგლისის დაპირებანი, რომლებიც მათ მისცეს გომინდანის მემარჯვენე ფრთას, დათმობებზე წასვლის შესახებ — არ გამართლდება, ვინაიდან დიდი სახელმწიფონი არ მოისურვებენ დათმობებზე წასვლას.

დიდ სახელმწიფოებს, რასაკვირველია, არ უნდათ, ამ ჩინეთის არსებობა, რომელსაც კანტროლს უწევს საბჭოთა რუსეთი, მათ კიდევ ნაკლები სურვილი ექნებათ ნამდვილათ სუვერენული ჩინეთის არსებობის“.

„დოიჩე ტაგესცაიტუნგი“ სწერს: „ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ ამბებს, მიუხედავად იმისა თუ როგორ განვითარდებიან ისინი მომავალში, არაფერი ცვლილების შეტანა არ შეუძლიათ იმ ფაქტში, რომ ინგლისის და მასთან ერთად მთელი ევროპის როლი ჩინეთში დასრულებულია. ჩინეთში შექმნილ მდგომარეობიდან რამოდენიმეთ მაინც თავის დასაღწევად, საჭირო იქნება, რომ ინგლისი და სხვა დიდი სახელმწიფოები გაერთიანდენ ჩან-ძო-ლინის მხარეზე, კანტონთან და ბოლშევიზმთან საბრძოლველათ. მაგრამ ეს ღონისძიებაც საქმეს ვერ უშველის, სანამ მოსკოვი არაა განადგურებული. ინგლისმა კიდეც რომ შესძლოს ამის მიღწევა, იგი თავის ძველ პრესტიჟს მაინც ვერ აღადგენს აზიაში. მოსკოვის მიერ გადასროლილი თესლი თავისთავად გაიხარებს და იგი ჩქარა გავრცელდება ინდოეთშიც“.

„როტე ფანე“ წერს: „ჩინეთის რევოლიუცია იმარჯვებს, მიუხედავათ ჩან-კაი-შის ღალატისა. ჩან-კაი-შის მოღალატეობა მუშათა კლასს არწმუნებს, რომ მან უნდა გაათკეცოს თავის ძალა, რომ შესძლოს წინააღმდეგობა აღმოუჩინოს იმპერიალისტებს, რომლებიც სცდილობენ ჩინეთის რევოლიუციის ჩაღრჩობას. (ადს).

ვენა, 21 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატის“ სპეციალური კორესპონდენტი შანხაიდან იტყობინება:

„ხანკოუს ნაციონალური მთავრობის ძალაუფლება ვრცელდება ხუ-ბეის, ხუ-ნანის, ცზიან-სის და ან-ხოის პროვინციებზე. ჩან-კაი-შის ხელისუფლება კი ვრცელდება ზღვის სანაპიროსთან მდებარე პროვინციებზე ნანკინიდან კანტონამდე (ცზიან-ხუ, ჩჟე-ცზიან, ფუ-ცზიან და გუან-დუს პროვინციები).

ჩან-კაი-შის ჯარების და განსაკუთრებით უფროსთა შემადგენლობის პოზიცია მეტად საეჭვოა. კომპრომისის შესახებ ჯერ-ჯერობით ფიქრიც კი ნაადრევია. ჩან-კაი-ში, რომელსაც აქამდე ყველგან ესალმებოდნენ, როგორც ჩინეთის განმათავისუფლებელს, გადაიქცა მილიტარისტად, რომელიც კიდევ უფრო ართულებს არეულობას“.

„ლოკალ ანცაიგერის“ სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ხანკოუსა და ნანკინს შორის საბოლოო განხეთქილება ჯერ კიდევ არ მომხდარა და ამის შესახებ ცნობების გამოქვეყნება ნაადრევია.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ შანხაის კომუნისტური წრეების ცნობით, ნაციონალური ჯარების დიდი ნაწილი, რომელსაც დაკავებული აქვს მდ. იან-ცზი-ცზიანის საშუალო ტერიტორია, ხანკოუს მთავრობის მხარეზეა და წინააღმდეგია გომინდანიდან კომუნისტების გამორიცხვის.

დასასრულ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჩან-ძო-ლინმა უარი უთხრა ჩან-კაი-შის მოთხოვნაზე, რომ უზრუნველეყო მისთვის ზურგი ხანკოუს მთავრობასთან ბრძოლაში. ჩან-ძო-ლინმა კი თხოვნის შესრულების მაგიერ გასცა ბრძანება შარშან ნოემბერში დაპატიმრებულ გომინდანელების დასჯის შესახებ, რომელთა შორისაც იმყოფება ჩან-კაი-შის ორი მეგობარი. (ადს).

არეულობა შირაზში

თეირანი, 20 აპრილი. 15 აპრილს შირაზში (სპარსეთი) მთავრობის ნებართვით დაპატიმრებულ იქნა ერთი მუშტეხიდი (უმაღლესი სამღვდელო პირი), რომელიც აღწერის წინააღმდეგ გამოვიდა. ამის გამო ქალაქში მოხდა არეულობა. ბაზარი დაიხურა. ბრბომ პოლიციის სამმართველოში სცემა სამ პოლიციელს. ამის შემდეგ ბაზარს ალყა შემოარტყა პოლიციამ და ჯარებმა, რომელნიც შეიარაღებული იყვენ ტყვიის მფრქვეველებით. პოლიციას სროლა დაუწყეს სახლების სახურავებიდან. 16 აპრილს ჯარმა დაუწყო სროლა ბაზარში შეგროვილ ხალხს, რომლის დროსაც ორი კაცი მოჰკლეს და 15 დასჭრეს. 18 აპრილს ბაზარი ჯერ კიდევ არ იყო გაღებული. ჯარებმა ალყა შემოარტყეს სტამბას, მეჩეთს და ტელეგრაფს. სამხედრო პირთა წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას ხელმძღვანელობს სამღვდელოება. (ადს).

სპარსელი მოლების ჯანყი

თეირანი, 21 აპრილი. 27 მარტს არდებილში რეაქციონერ მუშტეხიდის (სამღვდელო ხარისხია) მირზა-ალი-აკპერის წაქეზებით, მოკლულ იქნა ოპოზიციონერი მოლა ამინი, რომელიც თითქოს ბეხაიტების სექტას ეკუთვნოდა. მოლას მკვლელის დაპატიმრების გამო ალი-აკპერმა განკარგულება გასცა დაეხურათ ბაზარი. მოლები გამოდიოდენ მეჩეთებში და მოითხოვდენ დაპატიმრებულის განთავისუფლებას და ბეხაიტების მკვლელების ხელშეუხებლობის ცნობას.

12 აპრილს ამინის მკვლელობაში ბრალდების გამო დააპატიმრეს მუშტეხიდ ალი-აკპერის შვილი. პროტესტის ნიშნად ბაზარი დაიხურა, რის გამოც პოლიციამ დაატუსაღა მთელი რიგი სხვადასხვა პიროვნებებისა. (ადს).

პანების სამფლობელოში

კომუნისტური გავლენა იზრდება

ვარშავა, 21 აპრილი. პოლონეთის კომპარტიის გავლენის ზრდის ფაქტის გამო, პოლონეთის პრესა შიშს გამოსთქვამს, რომ მაისის დღესასწაულებში და იმავე თვეში დანიშნული კომუნალური არჩევნები ვარშავაში—შესაძლებელია გადაიქცეს კომუნისტური გავლენის ზეიმათ. (ადს).

მოჯამაგირეთა დემონსტრაცია

ვარშავა, 21 აპრილი. პლოცკის მაზრაში მოკლულ მოჯამაგირის ეზერკის დასაფლავება გადაიქცა მთელი ოლქის მოჯამაგირეთა უდიდეს დემონსტრაციათ. დასაფლავებაზე მოვიდა 2.000 მეტი მოჯამაგირე, ხოლო მემამულე გაემგზავრა ვარშავაში. მოჯამაგირეები შეიჭრნენ მემამულის ბინაზე და დაარბიეს იგი.

პოლიციამ დაატუსაღა ათამდე კაცი. (ადს).

პროფკავშირების დევნა

ჰელსინგფორსი, 20 აპრილი. 1 მაისს მოსალოდნელ გაფიცვის გამო ფინეთის ბამბის მრეწველობაში, უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა ბურჟუაზიული პრესის მიერ დაწყებული ცილის წამების კამპანია პროფორგანიზაციების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული გაზეთები პროფორგანიზაციებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი „კომუნისტების წაქეზებით“ მოქმედებენ და „აჯანყებას ამზადებენ“. გარდა ამისა, ბურჟუაზიული პრესა ცდილობს პროფკავშირების წინააღმდეგ აამხედროს შეუკავშირებელი მუშები. (ადს).

სამხრეთ სლავიის

ახალი მთავრობის წინააღმდეგ

ვენა, 20 აპრილი. სამხრეთ-სლავიის ახალი მთავრობის შემადგენლობას და განსაკუთრებით სკუპშჩინას დათხოვნას 1-ლ აგვისტომდე—უარყოფითად შეხვდნენ ყველა ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არ შედიან მთავრობაში.

მთავრობის წინაშე განსაკუთრებული სიმკაცრით გამოდიან დამოუკიდებელი დემოკრატები. რადიჩის პარტია აშკარა სპეკულაციას ეწევა მთავრობაში მონაწილეობისათვის, რომ ხელთ იგდოს თავისუფალ პორტფელების მეტი რიცხვი. (ადს).

ამხ. კრესტინსკი მოსკოვში

მოსკოვი, 21 აპრ. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. კრესტინსკი. (ადს).

„კრიტიკოსები“ და იძულებითი აღიარება

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

როცა ადამიანი, რომელიც რამოდენიმე ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე დიპლომატიურ წარმომადგენლად, ახდენს ცდას თავის თანამემამულეებს გააცნოს ის, რაც მან საკუთარი თვალებით დაინახა საბჭოთა ქვეყანაში, ეს არ შეიძლება არ წარმოადგენდეს ჩვენთვის ერთგვარ ინტერესს.

განსაკუთრებით თუ ლაპარაკია ჩვენი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელზე. ამ შემთხვევაში ხომ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინფორმაცია მოცემული იქნება საქმის სრული ცოდნით, ვინაიდან გარკვევა იმაში, თუ რა ხდება მეზობლისას, გაცილებით ადვილია, ვიდრე ცხრა მთას იქით მდებარე რომელიმე სახელმწიფოს შინაური ურთიერთობის გაგება. მეორეს მხრივ, გეოგრაფიულად ერთი მეორესთან მახლობელი სახელმწიფოები ჩვეულებრივად, გარემოებათა ძალით, იძულებული ხდებიან ერთად გადასწყვიტონ მათთვის მეტად მნიშვნელოვანი, პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების მთელი რიგი. ამიტომ ამგვარ ინფორმაციას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისი სისწორისა და ობიექტიურობისაგან დიდად არის დამოკიდებული საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალური განვითარება.

აი, რატომ პოლონეთის ყოფილი ელჩის მოსკოვში კენტჟინსკის სიტყვა, დაბეჭდილი კრაკოვის კონსერვატიულ გაზეთ „ჩას“-ში 1927 წ. 19 თებერვლის თარიღით, წარმოთქმული ამ გაზეთის მეგობრათა ბანკეტზე, ყურადღების ღირსია.

კენტჟინსკი იწყებს წინასწარმეტყველებით საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესაძლებლობის შესახებ, როგორც ისეთი საკითხიდან, რომელსაც მას „ყველაზე უფრო ხშირად აძლევდენ“.

უნდა ვაღიაროთ, რომ მარცხმა, რომელიც განიცადეს ჩვენი მალე დაღუპვის მოტრფიალე ყველა წინასწარმეტყველებმა, აიძულა კენტჟინსკი, რომ ერთგვარი სიფრთხილე გამოიჩინა ამ მხრივ: „რამდენადაც საქმე ეხება წინასწარმეტყველებას უახლოესი 10—20 წლისათვის“ კენტჟინსკი ვერ ხედავს „ბოლშევიკური რუსეთის დაცემას“, არამედ პირიქით, ფიქრობს, რომ „მას შეუძლია იარსებოს დიდი ხნის განმავლობაში, მას ამისათვის აქვს საფუძვლები და საკმაო ძალა“.

კენტჟინსკი არ ურჩევს ძალიან დიდი იმედების დამყარებას უთანხმოებაზე კომუნისტური პარტიის შიგნით, რომ ის სცნობს, რომ ის „ისეთი რამ, არის, რომელსაც ეხლა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს“.

ცხადია, რომ მხოლოდ შეგვიძლია მივესალმოთ ჩვენი შინაური პოლიტიკური მდგომარეობის ასეთ ფხიზელ რეალისტურ შეფასებას, უპირველეს ყოვლისა, თვით პოლონეთის ინტერესებისათვის. მაგრამ ჩვენ დიდ შეცდომაში ჩავვარდებით, თუ დაუშვებთ, რომ რახან კენტჟინსკიმ სთქვა „ანი“ იგი „ბანს“ თქმასაც გაბედავს. პირიქით, სცნო რა საბჭოთა კავშირის შინაური პოლიტიკური კონსოლიდაციის ფაქტი, პოლონელი დიპლომატი, წინააღმდეგ ყოველგვარი სიცხადისა და ლოღიკისა, მას ხატავს სამეურნეო დაცემის, სახელდობრ „სისტემატიური დაცემის“ ფონზე, რომელიც კენტჟინსკის აზრით მდგომარეობს იმაში, რომ „საბჭოთა რუსეთმა, ან საბჭოთა კავშირმა მთელი რიგი მეურნეობის დარგთა მოსპო ისე, რომ მათი აღდგენა აღარ შეიძლება“ (!). მეურნეობის დაცემის გზაზე მდგომ დარგების რიცხვს კენტჟინსკი აკუთვნებს პირველ რიგში მიწათმოქმედებას.

მისი აზრით, „რუსეთმა მსოფლიო ბაზარზე სავსებით დაკარგა თავისი მნიშვნელობა, როგორც პურის გამტანმა ქვეყანამ“. რუსი გლეხი აშკარად უკან-უკან მიდის, ყოველ წლობით უბრუნდება ნატურალურ მეურნეობას, რომლიდანაც იგი გამოვიდა“.

ეს არაჩვეულებრივი აღმოჩენანი საბჭოთა ეკონომიკის დარგში კენტჟინსკიმ არ სცნო საჭიროდ დაესაბუთებინა რამე ციფრობრივი ცნობებით. ან საიდან შეეძლო მას მიეღო ეს ცნობები? თვით ოდნავი ცდა ამ განცხადებათა შემოწმებისა ხომ გამოამჟღავნებდა ამ სასაცილო მტკიცებას.

ამიტომ კენტჟინსკი ამჯობინებს ცარიელი სიტყვებით დაკმაყოფილდეს და აქ მის მწუხარებით მოცულ ფანტაზიას არ აქვს საზღვარი. იგი უარჰყოფს მრეწველობის აღორძინებას საბჭოთა კავშირში, იგი ლაპარაკობს ტრანსპორტის დაცემაზე. აუდიტორიას აცნობებს ასეთ საშინელ ფაქტს, რომ ჩვენი წარმოებანი „თავისი შემოსავლიდან არაფერს სდებენ სახელოსნოების ამორტიზაციისა და აღდგენისათვის“. ლაპარაკობს „ჩერვონეცის შეუჩერებელ დაცემაზე“. „ეკონომიური კატასტროფის მოახლოებაზე“.

სრულიად უსარგებლო იქნებოდა ყველა ამ ფანტასტიური ცნობების უარყოფა, ვინაიდან კენტჟინსკი წინდაწინ აბრკევს მთელ საბჭოთა სტატისტიკას, როგორც „საიმედოდ შეთხზულს“. მაგრამ შესაბრალისია ის აუდიტორია, რომლის წინაშეც გამოდის კენტჟინსკი თავისი ეკონომიური აღმოჩენებით. თუ პოლონეთის საქმიანი წრეები უცხოეთის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საზოგადოდ სარგებლობენ ამგვარი ინფორმაციით, მაშინ ეს საეჭვოა, რომ სასარგებლო იყოს მათთვის. სამართლიანი უნდა ვიყოთ კენტჟინსკისადმი. დახატა რა სამეურნეო დაცემის საშინელი სურათი და განაცხადა, რა, რომ რუსეთს არ შეუძლია წამოდგეს უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად (დიახ, რასაკვირველია! რედ.), კენტჟინსკი ხედავს ზოგიერთ საიმედო ნიშნებს. თურმე „უნდა იქნას აღიარებული, რომ ევროპაში ცოტაა ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც ასეთ დაბრკოლებათა შორის, ასეთი წინდახედულობით აწყობდენ სამეურნეო საქმეებს. ყველა დაწესებულებანი და უმაღლესი ორგანოები, როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ვაჭრობის სახ. კომისარიატი მეტად სწორად მუშაობენ. მათ შექმნეს მთელი რიგი საორგანიზაციო გეგმათა, რომელნიც ნავარაუდევია ფართო მასშტაბისა და ხანგრძლივი ვადისათვის“. ამაზე, როგორც იტყვიან, მადლობას მოგახსენებთ. თუმცა ქებით ატესტაციას კენტჟინსკის თვალში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა: კრიზისი, მისი აზრით, მაინც მოხდება, და თუ იგი დამღუპველი არ გამოდგება საბჭოთა კავშირისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის 70 პროც. (ე. ი. გლეხობა) „პირველყოფილ ეკონომიურ დონეზე დგას და არავითარ კრიზისებს ისინი არ გამოეხმაურებიან“.

ეს მტკიცება აშკარავებს სრულუფლებიანი მინისტრის ისტორიის მთელ მარტივ ფილოსოფიას: ბოლშევიკები კულტურული და ეკონომიური მხრივ უძრავ მდგომარეობაში არიან და ცხოვრების პირველყოფილ დონეზე იმყოფებიან; ეს აძლევს მათ სიმტკიცეს და უნარს წინააღუდგენ ყოველგვარ კრიზისებს. ახსნა მომხიბვლელია და იგი ისევე ეთანხმება ფაქტებს, როგორც განცხადება ჩვენი სამეურნეო დაცემის შესახებ. ჩვენ გვერდს უხვევთ კენტჟინსკის მტკიცებას საბჭოთა კავშირის გონებრივი და კულტურული ცხოვრების დონის დაცემის შესახებ, ისე როგორც მის ცნობებს, რომ „საზღვარ გარედ სწავლის გასაძლიერებლად გაგზავნილი ახალგაზრდები აღარ ბრუნდებიან რუსეთში“. ალბად ამის შესახებ კენტჟინსკის აქვს თავისი არა „შეთხზული“ სტატისტიკა.

გადავიდეთ პირდაპირ მესამე პრობლემაზე, ანუ „მესამე სიძნელეზე“, რომელიც კენტჟინსკის აზრით, საბჭოთა კავშირის წინაშე სდგას. ეროვნული საკითხი. დავიწყოთ იმით, რომ კენტჟინსკი იძულებულია თავი დახაროს საბჭოთა კონსტიტუციის წინაშე. ამ „მრავალ პუნქტებში იდეალურმა კონსტიტუციამ ხალხთა თვითგამორკვევის მეტად ლიბერალური პრინციპი შემოიღო. 9 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ბევრ რამეს მიაღწია ამ მხრივ და იგი შეიძლება მაგალითი გახდეს მრავალი ხალხისათვის. იმ ტომებმაც კი, რომელთა შემადგენლობა რამოდენიმე ათი ათასი კაცით განისაზღვრება, თავიანთ ენაზე მიიღეს წიგნები; ამასთანავე არა ერთხელ მოუხდათ ანბანის შემოღება სპეციალურად ამა თუ იმ ეროვნებისათვის“.

მაშ, რაშია საქმე? თუ საქმე კარგად არის, უნებურად ელი რჩევას, რომ მისდიონ საბჭოთა კავშირის მაგალითს, მაგრამ კენტჟინსკის აზრები სულ სხვა მხარისაკენ არიან მიმართულნი. მას აბარებს არა ეროვნებათა მშვიდობიანად ერთად ცხოვრების პერსპექტივა, არამედ აუცილებელი, მისი აზრით, შოვინიზმის ზრდა, რომელიც იქნება „ბაზისი კავშირის ცალკე ნაწილების, განსაკუთრებით კი უფრო მაღალ დონეზე მდგომ ნაწილების მისწრაფებაში ეკონომიური და შემდეგ პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ“. კენტჟინსკის უპირველეს ყოვლისა მხედველობაში აქვს საბჭოთა უკრაინა, სადაც მისი აზრით, უკვე იდგამს ფესვებს იმის რწმენა, რომ „ჩვენ კავშირი არ გვინდა, ჩვენ უნდივართ კავშირს“.

კენტჟინსკიმ არჩია გაჩუმებულიყო იმ სიმწვავეზე, რომელიც ეროვნულმა საკითხმა მიიღო პოლონეთში. ამის მაგივრად იგი მოუწოდებს აუდიტორიას ორიენტაცია აიღოს საბჭოთა კავშირის შიგნით აფეთქებაზე ეროვნულ წინააღმდეგობათა ზრდის საშუალებით და მოუწოდებს „მოთმინებით ელოდონ ამას მრავალი წლის განმავლობაში“. თუ ამ განცხადებას დაუპირდაპირებთ იმ ინტრიგას, რომელსაც ადგილი აქვს პოლონეთში პეტლიურას ემიგრაციის ნაშთების ირგვლივ, მაშინ მივიღებთ მეტად გარკვეულ, მაგრამ პოლონეთ - საბჭოთა ურთიერთობისათვის ნაკლებ სანუგეშო შთაბეჭდილებას.

საერთოდ, სინდის ქვეშ რომ ითქვას, ჩვენ ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, რომ როცა პოლონეთის პოლიტიკური მოღვაწენი ლაპარაკობენ ეროვნულ საკითხზე, მეტი იფიქრონ იმაზე, თუ რა ხდება მათ ოჯახში.

კენტჟინსკი უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი საგარეო პოლიტიკაც. იგი, მისი აზრით, „პრინციპიალურად არ განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც აწარმოებდენ მეფის რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრები“, თუ არ ჩავთვლით ისეთ უსაქმურობას, როგორც უარი კაპიტულიაციაზე ჩინეთში, (აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები კენტჟინსკის რატომღაც დაავიწყდა) და საბჭოთა კავშირის მისწრაფება საერთოდ გამოვიდეს მუშათა მასების დამცველის როლში.

უკანასკნელი გარემოება აიძულებს კენტჟინსკის ეჭვი შეიტანოს იმ ხელშეკრულების ღირებულებაში, რომელიც შეიძლება დაიდოს საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან, „ვინ არის თავმდები, რომ ჩვენ, როცა მოვაწერთ ხელს ხელშეკრულებას, ერთ მშვენიერ დღეს არ მივიღებთ ცნობას, რომ რადგან თქვენ სჩაგრავთ მუშებს, ჩვენ იძულებული ვართ ხაზი გადაუსვათ და დავარღვიოთ ჩვენი ხელშეკრულებაო“. გვიბრძანებთ, ბატონო კენტჟინსკი, საიდან გაქვთ თქვენ ასეთი ღრმა რწმენა, რომ პოლონეთის რესპუბლიკა აუცილებლად დაჩაგრავს მუშებს?

მაგრამ ხუმრობას თავი დავანებოთ. ყოფილი ელჩის გამოსვლას, მიუხედავათ ზოგიერთი აზრის არასერიოზული ხასიათისა, ცოტაოდენი მნიშვნელობა აქვს. იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ პოლონეთის საქმიანი ხალხის წრეების და კერძოდ პოლონეთის მრეწველთა თვალში დასცეს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების ღირებულება. აქედან ზღაპრები ჩვენი სამეურნეო დაცემის შესახებ. იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ ეჭვი აღძრას ჩვენი საგარეო პოლიტიკის შესახებ. აქედან — სავსებით შეუსაბამო მტკიცებანი, რომ თითქოს „მოსკოვი მოქმედობს ბერლინის მითითებებით და ხელმძღვანელობით“. იგი ნავარაუდევია იმ ილიუზიების დაცვისათვის, რომ ვითომც საბჭოთა კავშირმა უნდა წაიფორხილოს ეროვნულ პრობლემაზე, და სცდილობს ამ მიმართულებით მოახდინოს პოლონეთის პოლიტიკის ორიენტაცია. იგი აშენებულია ისე, რომ „ყველაფერს შებრუნებით“ ხატავს. ერთი სიტყვით, ეს გამოსვლა სრულიადაც არ ეკუთვნის იმ გამოსვლათა რიცხვს, რომლებიც ჰკაფავენ გზას ურთიერთობათა მშვიდობიანი და გონივრული მოგვარებისათვის“.

მოსკოვი, 21 აპრილი.

მამა და შვილი

— სამი ბრმა შეეფეთა სპილოს. ერთი მათგანი მიუდგა უკანიდან, მოჰკიდა კუდზე ხელი და სთქვა:

— ეს თოკია.

მეორე მივიდა გვერდიდან, შეეხო ფეხს და სთქვა:

— ეს კედელია.

მესამე მივიდა წინიდან, მოჰკიდა ხელი ხორთუმს და იყვირა:

— ეს გველია.

ნამდვილად სპილო იყო. ცოცხალი, ვეებერთელა, ლამაზი და გონიერი.

ბრმები მშვენივრად ერკვევიან მუსიკაში, ისინი დეკლამაციის და გასტრონომიის კარგი მცოდნეები არიან, მხოლოდ არ უნდა დაუჯეროთ მათ მსჯელობას კინოზე.

შემდეგ სიბრმავე იმალება არა მარტო დასახიჩრებულ თვალის ქუთუთოებში, „სპილო კი მე ვერ შევნიშნე“—ეს დაწერილია იმ ხალხზე, რომელთაც კარგი მხედველობა აქვთ.

ვინც წუწუნებს, რომ რევოლიუციიდან დარჩა მხოლოდ მომჭირნეობის რეჟიმი, ის ემგვანება უკანა ბრმას, რომელსაც კუდი თოკი ეგონა.

ვინც სასოწარკვეთით გაიძახის „უდროობაზე“, ის არის გვერდიდან მისული ბრმა, რომელსაც ცოცხალი სპილოს ფეხი გაუვალი კედელი ეგონა.

შეშინებულ ბრმა-ობივატელზე, რომელსაც გველები ელანდება, ხომ ლაპარაკიც არ ღირს.

სპილო კი სუნთქავს. მოძრაობს. ის ღრიალებს, დადის. მძიმე ფეხით სთელავს დაბრკოლებებს

ის, რასაც ვუწოდებთ მსოფლიო რევოლიუციას და ველოდებით, როგორც რაიმე შორეულ კალენდარულ მოვლენას, ნამდვილად უკვე მოგვევლინა და არ გვტოვებს. განა შეიძლება ქარის ორ ტალღას შუა იმის მტკიცება, რომ ქარი ჩავარდა? ჩვენ მსოფლიო ისტორიულ რევოლიუციონურ პროცესის შუა გულში ვართ. ვართ მის გავარვარებულ ზოლში. თუ ჩვენ ამას არ ვგრძნობთ, მხოლოდ სიყრუით და სიბრმავით.

ბრმები ვერ ხედავენ ვერაფერს. ზეცებს გარდა მასშტაბებისა, გარდა საგაზეთო დეპეშებისა და სტატისტიკისა ქვა-ნახშირის ამოღების შესახებ ინგლისში, ესაჭიროებათ ჟესტები, მკაფიო საქციელი, ძლიერი მოძრაობა. სადმე შორს კი არა, არამედ აქ, ადგილობრივ. სხვა ნაირად მათ რევოლიუცია ვერ წარმოუდგენიათ. აი მაგიდაზე ძევს შვილის წერილი მამისადმი. მხოლოდ წერილი. მაგრამ მასშია მთელი ეპოქა თავისი იშვიათი სილამაზით.

აი ახალგაზრდა ჩანის წერილი მამისადმი, წერილი, რომელიც დაიწერა და გაიგზავნა გუშინ:

„კაი-ში!

მე ვფიქრობ, შენ ყურს არ ათხოვებ იმას, რასაც მე ვიტყვი, არც მოისურვებ ამ წერილის წაკითხვას, მაგრამ გწერ უკანასკნელ წერილს და ჩემთვის სულერთია, წაიკითხავ თუ არა.

მე მინდა დღეს გავიმეორო შენი სიტყვები, გახსოვს შენ რომ წერდი: „მე მრწამს მხოლოდ რევოლიუცია და მზადა ვარ მოვკვდე მისთვის“. მე გიპასუხებ ეხლა: „მე მრწამს მხოლოდ რევოლიუცია და ამიერიდან აღარ მწამხარ შენ, როგორც მამა“.

ასეულ მილიონებით ხალხთა დიდ ბრძოლაში კლასიური ჩაგვრის წინააღმდეგ, რას ნიშნავს ცალკე დრამები მამებსა და შვილებს შორის? მაგრამ აქ თითქოს თვით ისტორია ასვამს თავის ხიშნებს ორი ფანქრით—ორი ადამიანით.

ჩან-კაი-ში თვალთმაქცობდა ან გულწრფელად სწამდა მას, რომ მონაწილეობს ჩინეთის რევოლიუციაში, როცა ბარიკადების მარცხენა მხარეზეა, მან თავისი შვილი სწავლის მისაღებად გაგზავნა მსოფლიო რევოლიუციონურ დედა-ქალაქში. მაგრამ ამბების ულმობელმა განვითარებამ ყველაფერი სხვანაირად შეატრიალა.

„ვერ გამიგია, წინად რატომ მელაპარაკებოდი პროლეტარიატის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ და რატომ გინდოდა მე რევოლიუციონერი გავმხდარიყავი. შენი წინანდელი საქციელი ეწინააღმდეგება ეხლანდელს. მაგრამ მე ისე მოვიქეცი. როგორც შენ მელაპარაკებოდი წინად. მე რევოლიუციონერი გავხდი და ამიტომ —შენი მტერი ვარ“.

გარშემორტყმული მდიდარ ლიბერალურ მემამულეებით, აღგზნებული მძიმე გამარჯვებით ჩრდილოელებზე და ადვილი გამარჯვებით უმწეო შანხაელ მუშებზე, გამარჯვებული გენერალი გრძნობს ნაპოლეონისებურ თავბრუს ხვევას. ამ დროს, 10.000 ვერსს იქით 17 წლის ახალგაზრდა, გაცვეთილ ტანისამოსში მიდის მოსკოვის ტალახიან ქუჩებით, წარბებ მოღუშული, სიბრაზისაგან ტუჩებზე კბილებ დაჭერილი, მიემართება ფოსტისაკენ და გაბიდულად უგზავნის მამას გაკიცხვის წერილს.

„რა აღტაცებით მიგებებოდენ ჩინელი მასები, როცა შენ დაიწყე ჩრდილოეთის ექსპედიცია, მათ უყვარდით, იმედი ჰქონდათ, რომ ჩინეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს და იმპერიალისტები გარეკილი იქნებიან ჩინეთიდან. მაგრამ ჩან-კაი-შიმ ვერ გაამართლა მათი ნდობა. დღეს შენ ჩინეთის ხალხის მტერი ხარ. ეხლა შენა ხარ კონტრ-რევოლიუციის „გმირული“ ფიგურა ახალი „მილიტარისტი“.

„შენ დახვრიტე შანხაიში მუშები. რასაკვირველია, ეხლა ბურჟუაზია მთელს მსოფლიოში ტაშ დაგიკრავს: „ყოჩაღ ჩან-კაი-ში!“ შენ ფულებს მიიღებ იმპერიალისტებისაგან. არ დაივიწყო, რომ არის პროლეტარიატი. [illegible] მსოფლიოში გამოეხმაურა შენ გამცემლობას. მოსკოველ მუშებს შანხაიელი მუშები ძმებად მიაჩნიათ. შენს საქციელს ისინი სთვლიან თავიანთი ძმების [illegible] გაიმართა დემონსტრაციები და კრებები შენი მოღალატეობის გასაკიცხავად. ამ კრებების ერთად-ერთი ლოზუნგი იყო: „ძირს ჩან-კაი-ში“.

ეხლა შეიძლება, გენერალს შვილისთვის არ სცალია; გენერალი ციებ-ცხელებაშია. გენერალი გატაცებულია ბრძოლის აზარტით, მოღალატეობით გამოწვეულ მღელვარებით და ახალი მეგობრების ალერსით. მაგრამ, როგორც შორსძიების წინამორბედი, შორიდან გასცქერის მას მგლის ლეკვი—შვილი და უწინასწარმეტყველებს მას მის საბედისწერო მომავალს.

„შენ გამოიყენე გადატრიალება და გახდი „რაინდი“. მაგრამ შენი გამარჯვება დროებითი და უნიადაგოა. იცოდე ჩან-კაი-ში, რომ კომუნისტები ყოველ დღე მაგრდებიან მომავალ ბრძოლისათვის. ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენ ადვილათ გაგისწორდეთ შენ. კაპიტალისტებთან ბრძოლაში შენი, როგორც ბურჟუაზიის სათამაშო ტიკინას, გზიდან გადაგდება არც ისე ძნელი საქმეა“.

რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო რთული, დაუნდობარი და სასტიკი ხდება კლასთა ბრძოლა. ჩვენს ეპოქაში უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ რევოლიუცია თავისაკენ იზიდავს მისი უბოროტესი მტრების შვილებსაც ბურჟუაზიას სტოვებს მისი შვილები ის იცლება ძალებისაგან. მას აკლდება გონება. მას აკლდება დრო. დრო უკვე აღარ არის მასთან.

მ. კოლცოვი.

მოსკოვი, 21 აპრილი.

„პრავდა“.

უცხოეთში

„კონტრ-უჯრედები“ საფრანგეთში

კომპარტიის გავლენის ზრდა დიდ შიშს იწვევს საფრანგეთის ბურჟუაზიაში. უკანასკნელ ხანებში ამ შიშმა გამოხატულება ჰპოვა ფაშისტური ცენტრის მიერ კომუნისტებთან ბრძოლის გაძლიერებაში. კომუნისტური უჯრედების საწინააღმდეგოდ, ეს ცენტრი, ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებებში, ბანკებში, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში შეუდგა კონტრ-უჯრედების დაარსებას.

ამ „კონტრ-უჯრედებს“ ევალება:

1. თვალყურის დევნება კომუჯრედებისა და კომუნისტ-აგიტატორების მუშაობისათვის თავის წარმოებაში. ცნობების მიწოდება ცენტრისათვის კომუნისტური პროპაგანდის ხასიათისა და მიმდინარეობის შესახებ. კომუჯრედების მიერ გამოცემული ფურცლების, მოწოდებების, ცირკულიარებისა და გაზეთების შეგროვება.

2. ყოველი ღონისძიებით ხელის შეშლა კომუნისტური პროპაგანდისათვის. ფაშისტური ცენტრის მოწოდებების და ფურცლების გავრცელება განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების დროს.

„კონტრ-უჯრედების“ ორგანიზაციის საქმეს ხელმძღვანელობს მემარჯვენე ყოფილი კანდიდატი დეპუტატთა პალატაში ანრიდე-კერილისი. ამ რამდენიმე ხნის წინად მან მოწოდებით მიმართა „კონტრ-უჯრედებს“—დროზე შეუდგენ საარჩევნო „სამზადისს“.

„კონტრ-უჯრედების“ მოწყობისათვის შემუშავებულია შემდეგი ინსტრუქციები: 1) „კონტრ უჯრედები“ გარეგ. დამოუკიდებელნი არიან ცენტრისაგან, 2) „კონტრ-უჯრედები“ სასტიკ საიდუმლოებას იცავენ თავისი შემადგენლობისა და მუშაობის საკითხებზე, 3) თვითეული ცალკე „კონტრ-უჯრედი“ აერთიანებს 5—10 კაცს, შეძლებისდაგვარად სხვადასხვა თანამდებობის პირებს, 4) ერთსა და იმავე დაწესებულებაში ერთსა და იმავე დროს შექმნილი „კონტრ უჯრედები“ ინარჩუნებენ თავის დამოუკიდებლობას, 5) დაწესებულებაში, სადაც არ არსებობს „კონტრ-უჯრედი“, საჭიროა წარმომადგენლის ყოლა.

„ირლანდიაში „სიწყნარეა“

იმ „წესრიგისა“ და „მშვიდობიანობისათვის“, რომელიც სუფევს ირლანდიაში, მეტად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი:

ინგლისური გაზეთების ცნობით, 27 მარტს ველოსიპედისტთა სამხედრო რაზმს თავს დაესხა შეიარაღებულ ჯგუფი. ყველა თავდამსხმელები, რიცხვით ოცდაათ კაცამდე, ნიღაბებში იყვენ. თავდასხმა მოხდა ექვსი ვერსის მანძილზე დუბლინიდან.

თავდასხმა მოხდა შემდეგ პირობებში: სამხედრო ნაწილის მოწინავე რაზმი ოთხი კაცის შემადგენლობით შეეჩეხა ორ ავტომობილს, რომლებიც მათ გზას უღობავდენ. როცა ჯარის კაცები გადმოხტენ ველოსიპედებიდან, ავტომობილებიდან გამოცვივდნენ ნიღაბიანი თავდამსხმელები, რომლებ. ყვიროდით: „ხელები მაღლა“—ალყა შემოარტყეს ჯარის კაცებს და განიარაღეს ისინი. ხმაურობაზე მოუსწრო რაზმის დანარჩენი ნაწილმა. გაიმართა სროლა. თავდამსხმელებმა თავს უშველეს ზოგმა ავტომობილებით და ზოგმა ველოსიპედებით.

სროლის დროს დაიჭრა ერთი ჯარის კაცი. გაზეთები ფიქრობენ, რომ „ყოველ შემთხვევაში ერთი თავდამსხმელი მოკლულია“.

საბჭოთა კავშირში

სავალდებულო საყოველთაო სწავლება

მოსკოვი 21 აპრილი. რ. ს. ფ. ს. რ.-ს სახკომსაბჭომ დაამტკიცა განათლების სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი, პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების წესის შესახებ ადგილებზე. პირველი საფეხურის სკოლებში ბავშვების სავალდებულო გაგზავნა შემოღებულ იქნება სხვადასხვა ადგილებში, თანახმად ადგილობრივი აღმასკომებისა და საქალაქო საბჭოების განკარგულებისა. პირველ წელს 1-ლი საფეხურის სკოლებში ბავშვების სავალდებულო შეყვანა გავრცელდება 8 წლის ჰასაკამდე მიღწეულ ბავშვებზე, ხოლო შემდეგ ყოველ წლობით ეს წესი გავრცელდება შემდეგი ჰასაკის ბავშვებზედაც და ნორმათ შემოღებულ იქნება 4 წლიანი პირველდაწყებითი სკოლის კურსი.

ბავშვების სავალდებულო სწავლების კანონი გავრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომელთაც ყავთ სარჩენათ ბავშვები და ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიაც იმოქმედებს საყოველთაო სწავლების შესახებ გამოცემული დადგენილება. ის მშობლები, რომელთაც ყავთ ბავშვები, ან იმ დაწესებულებათა თანამდებობის პირები, სადაც არიან ბავშვები, თუ მათ არ გაგზავნეს ბავშვები 1-ლი საფეხურის სკოლაში სასწავლებლათ (იმ რაიონებში, სადაც შემოღებული იქნება სავალდებულო საყოველთაო სწავლება), მიცემული იქნებიან პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით. (ადს).

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

ბაქო, 21 აპრილი. ნავთის სინდიკატის კანტორაში ადს-ის თანამშრომელს გადასცეს, რომ მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ ნახევარში, ნავთის პროდუქტების ექსპორტმა მიაღწია 887,8 ათას ტონას, წინააღმდეგ გასული წლის პირველი ნახევრის 626 ათასი ტონა ექსპორტისა. გასულ საოპერაციო წლის პირველ ნახევართან შედარებით, ნავთის პროდუქტების ექსპორტი გაიზარდა 41,8 პროცენტით.

ექსპორტის ზრდა ხდებოდა უმთავრესად ნავთისა და ბენზინის ხარჯზე. გატანის მხრივ პირველი ადგილი უკავია ინგლისს თავის ახალშენებით. უშუალოთ ინგლისში გატანილი პროდუქტები აჭარბებენ გასული წლის გატანას 40 პროცენტით, ეგვიპტეში კი—113 პროცენტით.

მეორე ადგილზე სდგას იტალია და შემდეგ საფრანგეთი. საერთოდ ევროპის ქვეყნებს გასულ ნახევარი წლის განმავლობაში გაეტანათ მთელი გატანის 89,2 პროცენტი. ახლო აღმოსავლეთში—10,8 პროც. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

უთანხმოებანი ხანკოუში

შანხაი, 21 აპრილი. ხანკოუს განსაკუთრებული რაიონის მუნიციპალიტეტში, რომელიც შედგენილია ინგლისის კონცესიის ძველი სამმართველოს მაგივრად, მუნიციპალიტეტში გასულმა ჩინელებმა მოითხოვეს, რომ საგასახადო ხარჯთ აღრიცხვის 10 პროც. გადადებულ იქნეს მუშათა მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ინგლისელებმა უარი სთქვეს ამ მოთხოვნილების შესრულებაზე და იწვევენ გადასახადების გადამხდელთა კრებას. (ადს).

მეორე ნოტა ე. ჩენს

ლონდონი, 21 აპრ. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის პეკინელმა ელჩმა მიიღო ამომწურავი ინსტრუქცია სახელმწიფოების მიერ ევგენი ჩენისათვის გასაგზავნილ მეორე ნოტის შესახებ. კორესპონდენტი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „ნოტა მეტად რბილი ტონითაა შედგენილი, არ აწესებს წაყენებულ მოთხოვნათა შესრულების ვადას და არ შეიცავს განსაკუთრებულ სანქციების გამოყენების მუქარას“. (ადს).

გერმანიიდან იარაღის გაგზავნა ჩან-ცუ-ჩანისათვის

ბერლინი, 21 აპრილი. კომუნისტური „ჰამბურგერ ფოლკს- ცეიტუნგ“-ი იტყობინება, რომ გემი „სოფია რიკმერ“ 31 მარტს გავიდა ჰამბურგიდან ტიან-ცზინში, დატვირთული იარაღით და ამუნიციით, რომელიც ჩან-ცუ-ჩანისათვისაა დანიშნული. გაზეთი მოითხოვს გერმანიის ნავსადგურო მუშების და მეზღვაურების კონფერენციის მოწვევას, იმ მიზნით, რომ დაწესებულ იქნეს ნავსადგურო მუშების პროფკავშირების კონტროლი საზღვაო ტრანსპორტზე. (ადს).

„იცავენ“

შანხაი, 21 აპრილი. პოლიცია და თეთრგვარდიელები კვლავ „იცავენ“ საბჭოთა საკონსულოს შენობას, საკონსულოში შემომსვლელთა აღრიცხვაზე აყვანას აღარ აწარმოებენ. (ადს).

აჯანყებულთა დაპატიმრება სუმატრაზე

ამსტერდამი, 21 აპრილი. სამხედრო რაზმების მიერ სალოკის რაიონის გაწმენდის დროს, კუნძულ სუმატრის აჯანყებულთაგან დააპატიმრეს 130 კომუნისტი და მათ შორის აჯანყებულთა მეთაური ხაჯი-მამეკი. აჯანყებულებს ჩამოართვეს იარაღი. (ადს).

გაერთიანებული საპირველმაისო დემონსტრაციები

ბერლინი, 21 აპრილი. გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში მიღებულია გადაწყვეტილება გაერთიანებულ საპირველმაისო დემონსტრაციების გამართვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმისტები სასტიკად ილაშქრებენ კამპანიის წინააღმდეგ, რომელიც გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო პირველ მაისის დღესასწაულის ერთად გადახდისათვის.

ბანდიტების დახვრეტა

ბაქო, 21 აპრილი. აზერბეიჯანის სახ. პოლიტ. სამმართველომ განიხილა ც. მუშათა კოოპერატივის მაღაზიაზე თავდამსხმელ მძარცველ რეციდივისტთა საქმე და დაადგინა: თავდასხმის ექვს მთავარ სულის ჩამდგმელებს, სახელდობრ, გრიგოლ პეტროსიანცს, არშაკ ქუკუნიანცს, გრიგოლ ჩუბურიძეს, აფანასი ასპოვს, ეფრემ მარტუზოვს და არტემ მაილოვს მიესაჯოს დახვრეტა. ფარადა და სამუელ პეტროსიანცებს, როგორც თავდამსხმელთა დამფარველებს, მიესაჯოთ 3 წლის ციხე სასტიკი იზოლაციით. ეს ბანდიტების დახვრეტის შესახებ განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში.

პარტიული ცხოვრება

მზადება პრესის დღისათვის

საქ. კომ. პარ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

„პრავდა“-ს 15 წლის იუბილესა და საბჭოთა პრესის არსებობის მეათე წლისთავის მოახლოვებასთან დაკავშირებით, „პრესის დღე“ (5 მაისი) წელს ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

თავის არსებობის განმავლობაში საბჭოთა პარტიული პრესა ასრულებდა და ასრულებს მის წინაშე წამოჭრილ პოლიტიკურ და კულტურულ ამოცანებს. ის სინამდვილეში გადაიქცა სოციალისტური მშენებლობის მძლავრ იარაღად, ის აწარმოებს მუშათა კლასის იდეურ და ორგანიზაციულ მობილიზაციას, ის იჭრება ჩვენი სინამდვილის სიღრმეში, აშუქებს ყველა ჩვენს ნაკლულევანებებს და ამით ხელს უწყობს მშრომელთა ფართე მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდას, ამ მასების კულტურული დონის ამაღლებით.

საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ-ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად თანდათან იზრდება და ძლიერდება საბჭოთა - პარტიული პრესის მნიშვნელობა; ის ხდება მათი კულტურულ - ეკონომიური ზრდის ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორად.

„პრესის დღეს“ საჭიროა ფართედ იქნას გაშუქებული საერთოდ საბჭოთა პრესის და კერძოდ „პრავდა“-ს უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასისა და კომპარტიისა რევოლიუციონურ ბრძოლაში მეფის რეჟიმის და ბურჟუაზიის წინაამდეგ. განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას ბოლშევიკური პრესის როლს ყოველგვარ სოციალ - რეფორმისტულ მიმდინარეობათა წინაამდეგ ბრძოლაში და ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინების საქმეში.

„პრესის დღის“ ლოზუნგად უნდა გახდეს. „მასების შემდეგი ჩაბმა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, მკითხველთა ახალი ჯგუფების მომზადება, განსაკუთრებით მუშებისა და მუშა - ქალთა ახალი ფენებიდან“, პრესის ნაწარმოების მასიური გავრცელება, მუშგლეხკორთა წრეების დაარსება, მათი ქსელის გაფართოვება და პრესის უფრო მეტი დაახლოვება საბჭოთა სინამდვილესთან.

„პრესის დღის“ ჩატარების დროს ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და გაზეთების რედაქციებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრაქტიკული მითითებებით:

1) წინასწარი კამპანიის ჩატარების მიზნით, კომუჯრედების ღია სხდომებზე უნდა გაკეთდეს მოხსენებები საბჭოთა პრესისა და კერძოდ „პრავდა“-ს როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

2) წარმოება - დაწესებულებებში მოწვეულ უნდა იქნას მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებები.

3) პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა, შეძლების დაგვარად, უნდა მოიწვიონ მუშგლეხკორთა კონფერენციები.

4) ცენტრსა და ადგილებზე უნდა ჩატარდეს მუშკორთა, გლეხკორთა, ახკორთა, სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა გაერთიანებული კრებები.

5) ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა წინასწარ უნდა გამოყონ ამხანაგები მოხსენებების გასაკეთებლად.

6) ამ კრებებსა და კონფერენციებზე განსახილველი საკითხები აღნიშნულია საქ. კომ. პარ. (ბ) ცირკულიარულ მიმართვაში (იხ. „კომუნისტი“ № 65, 24 მარტის და „ზარია ვოსტოკა“ № 1433, 24 მარტის).

გარდა ამისა მოხსენებაში აღნიშნულ უნდა იქნას ჩვენი საბჭოთა - პარტიული პრესის ნაკლულევანებები და მისი პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების აუცილებლობა.

7) ამ დღისათვის გამოშვებულ უნდა იქნას კამპანიისადმი მიძღვნილი გაზეთების სპეციალური ნომრები.

8) საბჭოთა - პარტიულ სკოლებში გამოყოფილ უნდა იქნას სპეციალური საათები საუბრების ჩასატარებლად საბჭოთა პრესის, განსაკუთრებით „პრავდა“-ს როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

9) კამპანიის ჩატარებაში სოფლად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქოხ - სამკითხველოებმა და კლუბებმა. ამ დღისათვის გამოშვებულ უნდა იქნას „პრესის დღისადმი“ მიძღვნილი კედლის გაზეთები. ქოხ - სამკითხველოების გამგეებმა უნდა მოაწყონ ჟურნალ - გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა.

საქ. კომ. პარ. ცეკას მდივანი — ლ. ღოღობერიძე.

ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე—ზ. მუშიშვილი.

როგორ უნდა სწერდეს პარტკორი

კორესპონდენციის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ენა, რომლითაც ის დაწერილია ავტორის მიერ. რაც უფრო ცოცხალი, რაც უფრო თავისუფალი ენითაა ნაწერი საგაზეთო კორესპონდენცია, მით უფრო მეტი ინტერესით იკითხება და მით უფრო მეტ პრაქტიკულ ნაყოფს იძლევა ის. რომ კორესპონდენცია მართლაც ასეთი იყოს, ამისათვის სრულიადაც აუცილებელი არაა ლიტერატურული ენის უმწიკვლოთ ცოდნა, მოხდენილი და მოსწრებული სიტყვების შიგა და შიგ გაკვრა. ერთი სიტყვით, ამისათვის სავალდებულო არაა, რომ ავტორი უთუოდ დახელოვნებული კალმოსანი იყვეს.

ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რაკი აგრეა, კორესპონდენტობაზე ხელი უნდა აიღოს ყველამ, გარდა ხელგაწვრთნილ კალმოსნებისა. რომ კორესპონდენცია ხალისით იკითხებოდეს, რომ მან მოგვცეს რაიმე სარგებლობა, ამის უმთავრეს პირობას შეადგენს საგანი, რაზედაც სწერს კორესპონდენტი. წერა - კითხვის ცოდნა და კალმოსნობა აქ მეორეხარისხოვან მნიშვნელობის საქმეა. თუ კი წერილი საჭირბოროტო საგანზეა, მას სათანადო ინტერესის გამოწვევა შეეძლება, იმის მიუხედავად — თუ რა ენით იქნება დაწერილი ის.

კორესპონდენციის საგნის შერჩევაში და ამ საგნის გაშუქებაში, კი ძალიან ხშირად მოიკოჭლებენ კორესპონდენტები საზოგადოთ და კერძოთ პარტიულ ცხოვრების კორესპონდენტები. პარტკორების წერილების ნაკლს უმთავრესად შეადგენს პირველყოვლისა ოფიციალური ენა. ამხანაგები ადგილობრივ პარტიულ ცხოვრებას აღწერენ წმინდა „პროტოკოლური“ (ოქმის) ენით. კორესპონდენციაში ჩამოთვლილია ყველა საკითხები, რომელნიც ადგილობრივ ორგანიზაციაში განუხილავთ განსაზღვრული დროის განმავლობაში და მოცემულია რეზოლიუციის მზგავსი პასუხი ამ საკითხებზე.

მეორე ნაკლს პარტკორების წერილებისას შეადგენს ერთგვარი არაგულწრფელი კილო, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კორესპონდენტებს ცამდე აჰყავთ თავიანთი ორგანიზაციის მუშაობა და კრინტსაც არ სძრავენ მის მტკივან მხარეებზე.

არის აგრეთვე მესამე ნაკლიც. ეს უკვე კორესპონდენციების გადაჭარბებულ სიდიდეს შეეხება. ავტორები გზავნიან ზოგჯერ დიდ კორესპონდენციებს, რომელთა შემოკლებაც შეუძლებელია, რადგან ისინი ჰკარგავენ ამით თავის აზრს. შეუმოკლებლივ გაშვება კი არ ხერხდება სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო.

აქედან დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს. კორესპონდენცია უნდა იწერებოდეს ერთ ან ორ საჭირ-ბოროტო საკითხზე ორგანიზაციის ცხოვრებიდან. უნდა განიდევნოს კორესპონდენტებიდან კანცელიარული, ოქმის ენა. პარტკორები უნდა სწერდენ წერილებს მიუდგომლათ, ჩვეულებრივი სალაპარაკო და არა საზეიმო ენით, როგორც ისინი ვთქვათ გამოდიან უჯრედის სხდომაზე ან საუბრობენ ამხანაგებს შორის. კორესპონდენცია უნდა იწერებოდეს მოკლეთ, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ერთ და იმავე აზრის რამოდენიმეჯერ განმეორებას სხვადასხვა სიტყვებით. კორესპონდენტს არ უნდა ეთაკილებოდეს ცუდი ხელნაწერი და ლიტერატურული ენის არ ცოდნა.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში საკმაოზე მეტად მოიპოება საკორესპონდენციო მასალა. საჭიროა მხოლოდ ერთგვარი სურვილი და გარჯა, რომ ეს მასალა გააშუქო პარტიულ ჟურნალ - გაზეთებში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარტიული კორესპონდენტობა — არის იგივე პარტიული მუშაობა.

ა. ბ—ლი.

რა იყო და რა არის

(ლანირ-ჭაგნის თემი, ქუთ. მაზ.)

ჩვენ თემში ა. ლ. კ.-რის უჯრედი არსებობს 1921 წლიდან. უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედის მუშაობა დაარსების პირველ ხანებში, ძალზე მოისუსტებდა: ამ ბოლო ხანებში კი მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. თუ უჯ. ჩამოყალიბების პირველ ხანებში, ათიოდე წევრი ირიცხებოდა, ეხლა თემის ორგანიზაციაში 20 კომკავშირელი მუშაობს. თუ 21—22 წლებში მთელ თემში ერთი უჯრედი იყო, ეხლა ოთხი უჯრედია. კომკავ. იზრდება და წინ მიდის, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივადაც. ერთ წელზე მეტია, რაც თემში ჩამოაყალიბეს თემკომი. ამ ხნის განმავლობაში თემკომის ხელმძღვანელობით, მრავალმხრივ წაიწია წინ უჯრედების მუშაობამ. თემკომი დაყოფილია სექციებათ, როგორიც არის, 1) საგიტ-საპროპაგანდო, 2) ეკონომიური, 3) ქალთა შორის მომუშავე, 4) ნ. პ. შორის მომუშავე. ყველანი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგ. ქალთა ლტოლვა კომკავშირისაკენ. საერთოდ თემურ სისტემაზე გადასვლამ ძლიერ შეუწყო ხელი გლეხურ ახალ-ბის მიზიდვას უჯრედებში.

თემკომს კარგი დამოკიდებულება აქვს, როგორც კომუჯრედთან, ისე სხვა დანარჩენ ორგანიზაციებთან. პარტიიდან მიმაგრებული ამხანაგი სისტემატიურად ესწრება კრებებს.

მთელი რიგ მიღწევებთან ერთად თემკომს ახასიათებს მრავალი ნაკლულოვანებაც. უმთავრესად აღსანიშნავია ის, რომ პოლიტ-განათლება სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული. თემკომი და აგიტ. პროფკოლექტივი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ზემო აღნიშნულ საკითხს. კომკავშირის ქალთა საკმაო ნაწილი ამ მხრივ არაა გათვითცნობიერებული. მასთან არ მოგვეპოება საკმაო ლიტერატურა. კომკავშირელებში არაა გავრცელებული ჟურნალ-გაზეთები და სხვა, ამ ნაკლის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ვ. გალდავა.

მუშათა ცხოვრება

საჭიროა მზადება.

სულ რამოდენიმე დღე დარჩა პირველ მაისამდე. ამ დღისათვის ეხლავე უნდა შევუდგეთ მომზადებას. რაში უნდა გამოიხატოს ეს სამზადისი? პირველად ყოვლისა, იმაში, რომ მოვამზადოთ მუშათა ფართე მასები—თუ წელს პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების დროს რას უნდა მიექცეს ყურადღება, რა ლოზუნგის ქვეშ უნდა ჩავატაროთ პირველი მაისი. თუ წინასწარ არ გავაცანით მუშებს, რა ლოზუნგი უნდა წამოვაყენოთ ამ დღისათვის, ისე დღესასწაული უფერულად ჩაივლის,—იმ მიზანს, რასაც ჩვენ ვისახავთ პირველ მაისობის დღეს, ვერ მივაღწევთ. ეს აუცილებელია, წინასწარ უნდა მოვიწვიოთ წარმოება - დაწესებულებებში კრებები და გავაცნოთ მათ, თუ რას უნდა ვისახავდეთ პირველ მაისისათვის.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ პირველი მაისი „კაზიონურად“ არ ჩატარდეს, როგორც ამას ზოგან ჰქონდა ადგილი წინა წლებში. წინასწარ განკარგულების თანახმად, შეიკრიბენ მუშები და მოსამსახურეები, გაიარეს ქუჩებში, მოისმინეს სიტყვები და დაიშალენ. ეს, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ პირველი მაისის შინაარსი ჩვენში, პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, ამით არ უნდა ამოიწურებოდეს. პირველმა მაისმა ნამდვილი ხალხური დღესასწაულის ხასიათი უნდა მიიღოს. ამ დღესასწაულში უნდა ჩავაბათ არა მარტო მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, არამედ მთელი მშრომელი მოსახლეობა. მიტინგებთან, დემონსტრაციებთან და საზეიმო სხდომებთან ერთად მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და სხვ. უნდა მოეწყოს აგრეთვე დღის შესაფერი წარმოდგენები, კონცერტები და სხვა.

ერთი სიტყვით, საჭიროა, რომ მუშათა საერთაშორისო დღე—პირველი მაისი—მშრომელთა ხალხის გაზაფხულის დღესასწაულად გავხადოთ.

ამერიკული წესით ორთქლმავლების მუშაობა

უკვე მესამე თვე მიდის, რაც ლაპარაკია ამერიკული სისტემით მუშაობის შესახებ. ამ ხანში ბევრი დაიწერა ასეთ წესით მუშაობის უვარგისობაზე. საქმის კარგად მცოდნე გამოცდილ მემანქანეებმა დაგვისურათეს ასეთი წესით წარმოების ტრანსპორტისათვის არ სასურველი პერსპექტივები. მაგრამ რკ. გზ. მმართველობა დიდ იმედებს ამყარებს ასეთი წესით მუშაობის სარგებლიანობაზე, რაიც თურმე თვით გზათა სახალხო კომისარმაც მოიპოვა.

მე არ შევუდგები ამ სისტემით მუშაობის უარყოფითი მხარეების დასახელებას, ამაზე საკმაოდ ითქვა და დაიწერა. მე მინდა ვსთქვა, რომ ასეთი მუშაობა, როგორიც ამჟამად არის (შერეული) თბილისის საყუდში ვერაფერი თავდებია მუშაობის რაციონალიზაციისათვის. თუ ამერიკული მიმოსვლის სისტემა აუცილებლად მიღებულია ბარემ ასეთი სრულიად გატარდეს იმ სახით, როგორიც არის ამერიკაში. თუ არ ვცდები ამერიკული სისტემა ორთქლმავლების მუშაობისა შემდეგია: მატარებლის მემანქანეები იწოდებიან მოძრაობის მემანქანეებათ და მიმაგრებული არიან მოძრაობის დარგზე. წევის დარგს ყავს მიმორონიებათა და მატარებლების ორთქლმავალთა მიმღები და ჩამბარებელი გუნდები. მატარებლის მემანქანე თანაშემწით სვლის გეზის თანახმად მოდიან სადგურში და იღებენ საყუდის გუნდიდან მატარებელზე მიბმულს, სამგზავროთ უკვე გამზადებულ ორთქლმავალს. ნახევარი საათი საკმარისია ორთქლმავალი ჩაიბარონ და გზას გაუდგენ. თუ რასაკვირველია რაიმე დეფექტი აღმოჩნდება ორთქლმავლის მიღების დროს, მოძრაობის მემანქანე იწუნებს მას და სანამ დაწუნებულს გამოსცვლიდენ მატარებლის დაგვიანებისათვის პასუხი მოეთხოვება საყუდის ადმინისტრაციას. სამაგიეროდ საყუდის უფროსების საყვარელი ფრაზა „როგორც იქნეს“ აღარ გავა და ყოველ ღონეს მიმართავენ უკანასკნელნი, რომ მათგან დამოუკიდებელ მოძრაობის მემანქანემ ორთქლმავალი არ დაუწუნოს. ასეთი წესის მუშაობით მართლა შეიძლება ორთქლმავალთა სალათ ჩაბარების უზრუნველყოფა და მათი რაციონალურად გამოყენება.

ჭალარა მემანქანე.

როგორ უნდა ჩავატაროთ სააღდგომო ანტირელიგიური კამპანია

ახლოვდება აღდგომის დღესასწაული, რასაც —ცხადია სამღვდელოება შეუდგება გამოიყენოს თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

საჭიროება მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ანტირელიგიურ პროპაგანდის გაძლიერებას, ჩვენ კლუბებში და წითელ კუთხეებში სააღდგომო დღესასწაულების ჩატარების დროს. პროპაგანდის ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს რელიგიური ყოფაცხოვრების კრიტიკა. უმთავრესად ჩვენს კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა ჩავატაროთ სათანადო შინაარსის ლექციები. 1) შესაძლებელია თუ არა აღდგომა. 2) აღდგომა სხვადასხვა რელიგიებში და ხალხში. 3) იყო თუ არა ნამდვილად ქრისტე. 4) სააღდგომო ზნეჩვეულებანი და წესები და ყოფა ცხოვრება. 5) ქალი და რელიგია.

გარდა ჩამოთვლილ ლექციებისა, კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს ცოცხალი გაზეთების სპეციალური ნომრების გამოშვება შესაფერისი შინაარსით, გამოიცეს შუქოვანი გაზეთის საგანგებო ნომრები, მოეწყოს საოჯახო საღამოები სათანადო შინაარსით და აგრეთვე სადაც შესაძლებელია მოეწყოს მასიური ექსკურსიები—ქალაქს გარედ. კლუბებში და წითელ კუთხეებში სააღდგომო ანტირელიგიურ კამპანიის ჩატარების საქმეში აქტიურმა კულტმუშაკებმა მეტი ინტენსიური მუშაობა უნდა აწარმოონ.

სულ—ძე.

დაუსრულებელი მოთმინება.

(სამმართველოს საყურადღებოდ).

იწერება ახალ-ახალი დეკრეტები, გამოდის ცხელ-ცხელი განკარგულებები (სამმართველოსი), არსებობს შრომის დაცვის კოდექსი და გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება.

არაა არც ერთი მუხლი, რომელიც შრომის დაცვის კოდექსის 109 და 110 მუხლებს არღვევდეს, სადაც თეთრ ქაღალდზე შავად სწერია: „ყველა მუშა-მოსამსახურე უნდა სარგებლობდეს ყოველკვირეული 42 საათის დასვენებით“-ო. მერე სად არის ეს 42 საათის დასვენება და ვინ ახდენს მშრომელებზე ექსპლოატაციას?

იყო ცენტრის დადგენილება, რომ, მიუხედავად დატვირთვის ჯილდოს რაოდენობისა, პირველ იანვრიდან ყველა მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს ყოველ კვირაში 42 საათის დასვენება“-ო. სწორედ ამიტომ იყო, რომ სადგურის უფროსებმა მოსთხოვეს თავიანთ დნ-ებს გამოეგზავნა მათთვის დასვენების დღეების ცხრილი, თუ რომელ დღეებში შეეძლებოდათ დასვენებით სარგებლობა, მაგრამ ამაოდ—„მოითმინეთ, შევადგენთ და გამოგიგზავნით“-ო.

უფროსებო, ცოტა აჩქარდით, თორემ ეს იობის მოთმინების მქონე ხალხი ერთხელაც იქნება აიწყვეტს და, ვგონებ, მაგათ კომპენსაციას თქვენი ანგარანი და საკუთარი თავებიც რომ დააგიროთ, ვეღარ აუვიდეს.

და—რე—ლი.

კავშირში ჩარიცხვა.

11 აპრილს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში“ შესდგა მუშების მიერ ცეხებიდან გამოყოფილ დელეგატ-მუშების კრება. დღის წესრიგში იდგა—ახალი მუშების ჩარიცხვა კავშირის წევრებად.

დელეგატების გარდა კრებაზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე ის მუშებიც, რომლებიც ჩასარიცხავნი იყვნენ კავშირში; მათი რიცხვი 19 კაცს უდრიდა, აქედან 10 მამაკაცი იყო, 9 კი ქალი. უმეტესობა ახალგაზრდობაა. ყველას [illegible] სამ-სამი თვე უსრულდებოდა მუშაობაში.

აღნიშნულ პირებს უკვე წინასწარ ჰქონდათ შევსებული ანკეტები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დელეგატი მუშები, თვითეულ მუშას ანკეტის წაკითხვის შემდეგ აძლევდენ შეკითხვებს: საიდან და ვინ გამოგზავნა ქარხანაში, მისი მუშაობის სტაჟი, ვინა ჰყავს სარჩენი, ჰყავს თუ არა მშობლები და რითი ირჩენენ თავს ისინი თავს და მრავალი სხვა. საყურადღებო იყო ამ კრებაზე ისიც, რომ ზოგიერთ მიცემულ კითხვის შემდეგ იმართებოდა კამათი.

მუშა-დელეგატები ძალიან ფრთხილობდენ, რათა კავშირში არ მოხვედრილიყვენ მავნე ელემენტები, ვინაიდან ამის მაგალითი უკვე მოხდა ამ ქარხანაში.

საერთოდ არიან ისეთი პირები, რომლებიც დღე-ღამე იმას ფიქრობენ, როგორმე მოხვდნენ კავშირში, მიიღონ საწევრო წიგნაკი და შემდეგ გამოიყენონ ის თავიანთი შავი ზრახვებისათვის. თუმცა პროფკავშირი თავისუფალი ორგანიზაციაა, მაგრამ ორგანიზაცია არაა მავნე ელემენტებისათვის, არამედ პატიოსან მშრომელთათვის.

მუშკორი ვანო.

გამოიკვლიეთ და მიიღეთ ზომები

ამ.-კავკ. რკინისგზების ყველა სადგურებიდან ყოველგვარი ტვირთის მიღება, დაცვა და შემდეგ დატვირთვა რონოდებში და აგრეთვე მოსულ საქონლის ვაგონებიდან გადმოტვირთვა და შენახვა საწყობებში იჯარით აღებული აქვთ „ზაკპოგრუზის“ არტელის მუშებს; ორივე მხარეს შემუშავებული აქვთ ნიხრი, რომელშიდაც ნაჩვენებია, თუ რამდენი უნდა გადაიხდეს ტვირთის გამგზავნს, ანუ მიმღებ მუშის სასარგებლოდ შრომის ფასი. მიუხედავად ასეთი დადგენილებისა ზოგიერთი სადგურის აგენტები ამ კანონს არღვევენ და თავიანთი შეხედულებით ახდევინებენ მუშის ფულს რკინის გზის კლიენტებს; ამ ზედმეტ აღებულ ფულს თითონ ითვისებენ. მაგალითად ჩვენ ხელთა გვაქვს სად. მელაანის უფროსის მიერ ამოწერილი ქვითარი, რომელშიდაც ნაჩვენებია საქონლის გადმოტვირთვის ფასი ერთი ორად მეტი, ვიდრე ეს კანონით ნება დართულია. ეს ზედმეტი ამოწერილი ფული მუშას არასოდეს არ მიუღია, არამედ იგი ვიღაცას ჯიბეში ჩადის.

ეს სათანადოთ გამოკვლეულ უნდა იქნეს და უნდა იქნეს მიღებული ზომები.

გორაცით.

მუშათა ქრონიკა

— **მზადება პირველ მაისისათვის.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარების მოსამზადებლად გამოჰყო კომისია საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგის ამხ. ქელიძის თავმჯდომარეობით, კომისიის წევრებად არჩეული იქნენ ამხ. მარკმანი, რკინისგზის თბილისის საუბნო კომიტეტიდან—ამხ. გვარამიძე, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირიდან—ამხ. ორჯონიკიძე და მბეჭდავთა კავშირის ც. გ.-დან—ამხ. ფანცულაია.

— **მცხეთის დასასვენებელი სახლის გადაცემა.** საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო საბავშვო კოლონიის მოსაწყობად მცხეთის დასასვენებელი სახლის გადაცემა ცაკისათვის.

— **ხელშეკრულების გადასინჯვა.** მბეჭდავთა კავშირის ც. გამგეობამ წინადადება მისცა თამბაქოს ტრესტს—გადასინჯოს კოლხელშეკრულების მუხლი კოლოფის ქარხნის მოსამსახურეთა შეღავათების შესახებ.

— **„იღრიალე ჩინეთო!“** პირველ მაისისათვის მუშათა კლუბებში დაიდგმება თანამედროვე პიესა—„იღრიალე ჩინეთო!“

ბრძოლა სამეურნეო ბოროტმოქმედებასთან და იუსტიციის ორგანოები

საკითხი სამეურნეო ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის შესახებ, აქტიურ საკითხს წარმოადგენს ჩვენს მიმდინარე პოლიტიკაში და მას ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც იუსტიციის ორგანოებმა, რომელნიც უშუალოდ არიან მოწოდებულნი აწარმოონ ბრძოლა ამგვარ ბოროტმოქმედებასთან, ისე თვით სამეურნეო დაწესებულებებმა და წარმოებებმა.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღინიშნოს ის დეფექტები, რომლებსაც აქვს ადგილი ამ მხრივ ჩვენს სასამართლო დაწესებულებათა პრაქტიკაში. როგორ იწყება საქმე? საქმე უმეტეს შემთხვევაში იწყება ამა თუ იმ სამეურნეო დაწესებულების ან წარმოების სარევიზიო ორგანოს მიერ, ან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისარიატის რევიზიით. ჩვენმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოებში დიდ საქმეებთან ერთად ხშირად იგზავნება ისეთი მასალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ზედმეტად ტვირთავს საგამომძიებლო ორგანოს. ხდება ხშირად, როცა იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოები იღებენ სარევიზიო გამოკვლევის მასალას და შეუდგებიან მაში გარკვევას, იხარჯება დრო და თანხები, ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ ადგილი აქვს უბრალო შეცდომას ან გაუთვალისწინებლობას, რომელნიც სხვაგვარი წესით შეგვეძლო აგვეცილებია თავიდან; ასეთ შემთხვევებში საკმაო იქნებოდა დამნაშავისათვის გამოგვეცხადებია საყვედური, ან გამოგვეტანა სხვა დისციპლინალური სასჯელი და ამით საქმე დაგვემთავრებია. ამიტომ მეტად აუცილებელია, რომ იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოებში მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან გადაცემულ იქნას მხოლოდ ისეთი საქმეები, რომლებშიაც არის სამართლის პირდაპირი დარღვევა და რომლებიც უნდა განიხილოს სასამართლომ. მაშასადამე, იუსტიციის ორგანოებმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან უნდა დაამყარონ ისეთი ურთიერთობა, რომელიც მომავალში მოსპობს ასეთ მოვლენებს.

გამოძიების გასაუმჯობესებლად აუცილებელია მიექცეს ყურადღება იმასაც, რომ როცა გამომძიებლები შეუდგებიან წინასწარ გამოძიებას, მიდიან დაწესებულებაში და ხანდახან ხელ ჩასჭიდებენ ხოლმე სავსებით უსარგებლო მასალას. გამომძიებელი ხშირად ფანტავს თავის ყურადღებას ცალკე წვრილმანებზე, რომლებსაც შეიძლება არაპირდაპირი დამოკიდებულება ქონდეს გამოსაძიებელი საქმისადმი, და ასუსტებს თავის ყურადღებას იმ კონკრეტული საკითხებისადმი, რომელიც უშუალოდ უნდა აინტერესებდეს მას. ამიტომ გამოძიების დარგში აუცილებ. უნდა გატარდეს ისეთი მეთოდი, რომ გამომძიებელმა, სამეურნეო ბოროტმოქმედებასთან წარმატებით ბრძოლის მიზნით, არ გაფანტოს თავისი ყურადღება უბრალო წვრილმანზე, და მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს ძირითად საკითხს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გაჭიანურდება, დაკარგავს თავის მნიშვნელობას და საარქივო მასალად გადაიქცევა.

ჩვენი საერთო უდიდესი დეფექტი არის ის, რომ იუსტიციის მორიგ მუშაკებს ცუდად აქვთ წარმოდგენილი ჩვენი შინა-სამეურნეო საწარმოო დამოკიდებულებანი, არ არიან გაცნობილი სამეურნეო პოლიტიკასთან, ფასების პოლიტიკასთან, ბაზრის პოლიტიკასთან, არ არიან გაცნობილი იმ კანონმდებლობასთან, რომელიც აწესრიგებს ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას, საზღვრავს ჩვენს მოქმედებას და სამეურნეო ორგანიზაციათა დაქვემდებარებას და სხვ.

ასეთ პირობებში ისინი, რასაკვირველია, იძულებული არიან, რომ როცა საჭიროა და არაა საჭირო მიმართონ ექსპერტს(სპეციალისტებს).

უეჭველია, რომ ექსპერტების შორის არიან საბჭოთა, სინდისიერი პირები, რომელთაც სურთ დახმარების გაწევა ამ საქმეში, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთათვისაც უცხოა საბჭოთა მართლმსაჯულების სიტემა, საკითხს უდგებიან სუბიექტიური თვალსაზრისით და სხვ. და ეს მაშინ როდესაც ძალიან ხშირად ამა თუ იმ საქმის სისწორით გადაწყვეტა სავსებით არის დამოკიდებული ექსპერტისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ ყოველთვის არ შეიძლება ეს ექსპერტები იყვენ ისეთი პირები, რომელთაც ესმით ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა, ყოველთვის არ შეიძლება იყვენ ობიექტიურნი. ჩვენ კი დღემდე არ გვყვანან გამოცდილი ექსპერტების შემოწმებული და შეკავშირებული კადრი. ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი, რომ სხვა რესპუბლიკების მაგალითების მიხედვით მოვაწყოთ ექსპერტთა ბიურო იმ პირთა კადრისაგან, რომელნიც ყოველ მხრივ იქნებიან შემოწმებულნი. უამისოდ ჩვენ მოგვიხდება სრულიად შემთხვევითი პირების მოწვევა, ექსპერტების დახმარება კი უფრო საჭიროა სამეურნეო საკითხების გამოკვლევის დროს. ამიტომ ექსპერტიზის საკითხი ჩვენს პოლიტიკაში არის აქტუალური საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი და ექსპერტთა ინსტიტუტის სწორი დაყენებისაგან 75-80 პროცენტით. არის დამოკიდებული სამეურნეო საქმეების სისწორით გადაწყვეტა.

ჩვენი გამომძიებლები, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების შესახებ საქმეთა გარჩევის დროს ყოველთვის ივიწყებენ იმას, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამოქალაქო სარჩელი, იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ შეგვხვდეს გამომძიებლის დადგენილება სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ზოგიერთი გამომძიებლები შეჩვეულნი არიან ზარალის აღწერითი მეთოდით განსაზღვრას, ე. ი. ამდენი და ამდენი რაოდენობის მანქანები, რომელნიც გაფუჭდენ ბოროტმოქმედების გამო, ამდენი და ამდენი რაოდენობის ხორბალი ან, მატყლი, განსაზღვრული რაოდენობის შაქარი ან ბამბა და სხვ. როცა საქმე გადადის სისხლის სამართლის სასამართლოში, მაშინ ხშირად მოსამართლე სწყვეტს არა საქმის მხოლოდ სისხლის სამართლის ნაწილს, ზარალის თანხის გამოკვლევას და სარჩელის განხილვას გადასცემს სამოქალაქო სასამართლოს, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის სასამართლო კანონით ვალდებულია, რომ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს განიხილოს აგრეთვე სამოქალაქო სარჩელიც.

ეხლა სახალხო მსაჯულების შესახებ. ჩვენმა სამოსამართლო პრაქტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ბოროტ-მოქმედებათა მთელ რიგ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის ჩვენ უნდა გამოგვეყო სპეციალური სახალხო მსაჯულები. ამას მოითხოვს ჩვენგან თვით ცხოვრება. შრომის დაცვის საქმეებისათვის ჩვენ გვყავს სახალხო მსაჯულთა მუდმივი და სპეციალური შემადგენლობა, აგრეთვე უზენაეს სასამართლოს საქმეებისათვისაც გვაქვს სახალხო მსაჯულთა განსაკუთრებული სია; იუსტიციის სახალხო კომისარიატის სპეციალურ თათბირზე რკინის გზაზე მომხდარ კატასტროფების საკითხის შესახებ დადგენილ იქნა, რომ ამ საქმეების განსახილველად გამოიყოს სპეციალური სახალხო მსაჯულები; სამეურნეო ბოროტმოქმედებათა შესახებ საქმეების განსახილველად სახალხო მსაჯულთა სპეციალური შემადგენლობა უნდა გამოყოთ იმ მუშაკების კადრისაგან, რომელნიც იცნობენ სამეურნეო, კოოპერატიულ და სავაჭრო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

ჩვენს სასამართლოში ხშირად არის საქმეები ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა სამეურნეო დაწესებულებანი არასწორ ან საზარალო ხელშეკრულებას სდებენ კერძო პირებთან, როცა ამ საქმეებს იხილავდენ ზედმიწევნით, მაშინ ირკვეოდა, რომ იგი (ხელშეკრულობა) დაიდო, ვთქვათ, ერთი წლის წინედ და მაშინდელი დროის მიხედვით დადებული იყო ყველა აუცილებელი პირობების დაცვით და არ იყო საზარალო საქმის დასაწყისში კი, ე. ი. ერთი წლის შემდეგ ირკვევა, რომ ეს ხელშეკრულობა სრულიად არაა სასარგებლო. შეიცვალა ბაზარი, შეიცვალა სამეურნეო მდგომარეობა, და ეს ხელშეკრულობა დღევანდელი დღის თვალსაზრისით საზარალოა. ისმება საკითხი, უნდა მივსცეთ თუ არა ამის გამო პასუხისგებაში სამეურნეო მუშაკი. უნდა ვიფიქროთ, რომ არა. ასეთი საქმეები კი ჩვენ ბევრი გვაქვს. ასეთ საქმეებს სრულიად ტყუილად არჩევენ და მასზე იხარჯება ბევრი დრო და ფული. ასეთი საქმეები აუცილებლად უნდა გადაეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინასწარი განხილვისათვის.

არის ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ წარმოებაში, დადებულ ხელშეკრულებათა საერთო რაოდენობიდან ერთი ან ორი ხელშეკრულობა საზარალოა, მაგრამ წარმოებამ საერთოდ თავისი მოქმედებით მოგვცა მოგება, დაწესებულება სწორედ მუშაობდა. 20 ხელშეკრულებიდან, ვსთქვათ, დაწესებულებამ ერთი ან ორი საზარალო ხელშეკრულება დასდო და მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება საერთოდ კარგად მუშაობს, ჩვენ მას ვასამართლებთ.

განა უკეთესი არ იქნება, რომ ასეთი წვრილმანი არ დავტვირთოთ სასამართლო და მან გაარჩიოს ისეთი საქმეები, რომელთაც ნამდვილად აქვთ რეალური მნიშვნელობა, სადაც არის ნამდვილი საგრძნობი ზარალი წარმოებისა ან დაწესებულებისათვის.

ჩვენ ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ გამტვირთავი კომისიები ფრთხილად მიუდგენ იმ პირთა ვადამდე განთავისუფლებას, რომელთაც ჩადენილი აქვთ დიდი სამეურნეო, თანამდებობითი და სხვ. ბოროტმოქმედება, ეს კომისიები არ უნდა გაიტაცოს გამოსწორების მოტივებმა. ჩვენ ვიცით, რომ გამასწორებელ—შრომითი საქმე ჩვენ სათანადო ნიადაგზე არ გვაქვს დაყენებული. დიდ ბოროტმოქმედთა ხშირი ვადამდე განთავისუფლება უეჭველია ასუსტებს ჩვენი ბრძოლის პოლიტიკას, ქმნის დაუსჯელების ფსიქოლოგიას და მასების სამართლიან საყვედურს იწვევს.

ყველამ იცის, თუ როგორ იწყება ჩვენს დაწესებულებებში სამეურნეო ბოროტმოქმედებანი. პრაქტიკიდან ჩვენ ვიცით, რომ მიზეზი უმეტეს შემთხვევაში არის ქაოტიურობა ანგარიშიანობის დაყენებაში. არ არის ანგარიშიანობის განსაზღვრული სისტემა, ამასთანავე იგი დაყენებულია ძალიან სუსტად, არ არსებობს გეგმიანობა და აღრიცხვა, მაგ. სააღმშენებლო მუშაობაში და სხ. ასეთი სისტემის არსებობა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, უსისტემობა მუშაობაში ქმნის სამეურნეო ბოროტმოქმედებას და ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს „ხელების მოსათბობათ“.

სამეურნეო ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის წარმატებით წარმოებისათვის აუცილებელია უშუალო დამნაშავეებთან ერთად დაუდევრობისათვის მივსცეთ პასუხისგებაში სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც. ეს იქნებოდა სწორი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს ამოცანას. ამასვე მოითხოვს რევოლიუციონური კანონიერება.

მკაცრი სისტემა და წესი უნდა დამყარდეს კრედიტების გაცემის საქმეში. ჩვენ ასეული შემთხვევები ვიცით, როცა ბანკი ან წარმოება კერძო ვაჭრებს აძლევდა კრედიტს უგარანტიოთ, ხანდახან უხელწერილოთაც და ბევრი ამ კრედიტორთაგან რასაკვირველია ვადაზე არ აბრუნებდენ სესხს და სრულიად უარსაც კი ამბობდენ სესხის გადახდაზე; ამგვარად, წარმოება, ბანკი უდიდეს ზარალს განიცდიდა. კრედიტების უთავბოლოდ გაცემას ადგილი ქონდა განსაკუთრებით დაბალი საფეხურის კოოპერატიულ ორგანიზაციებში. ჩვენ გვქონდა ისეთი შემთხვევები, როცა კოოპერატიული ორგანიზაცია მთელ თავის საბრუნავ კაპიტალს სესხად აძლევდა თავისივე თანამშრომლებს, ადგილობრივ მუშაკებს, გლეხკომებს და სხვ., ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია, ისეთი კოოპერატივები სასამართლოში ამოყოფდეს ხოლმე თავს.

აუცილებელია აგრეთვე სარევიზიო კომისიების მუშაობის გაძლიერება. სარევიზიო კომისიები ადგილებზე ცუდად მუშაობენ. დღემდე ჩვენ ვერ მივიღეთ არც ერთი ცოტად თუ ბევრად სერიოზული სარევიზიო აქტი, შედგენილი ადგილობრივი სარევიზიო კომისიების მიერ. თუ პროკურატურა იღებს მასალებს, იგი უმთავრესად იღებს ცენტრალური დაწესებულებების სარევიზიო კომისიებიდან და არა დაბალი საფეხურების სარევიზიო კომისიებისაგან. დაბალი საფეხურის სარევიზიო კომისიებისაგან მიღებულ მასალებში გარკვევა შეუძლებელი იყო, ოქმები შედგენილი იყო იმდენად უხეიროდ, რომ გვიხდებოდა მათი დაბრუნება სარევიზიო კომისიებისათვის გამოძახებისა და რევიზიის დასასრულებლად. ამას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ცენტრში არსებული ცენტრალური სარევიზიო კომისიები უნდა შეეცადენ სარევიზიო კომისიების მოქმედების გაძლიერებას ადგილობრივ, ეს ჩვენ დაგვეხმარება სამეურნეო ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის წარმოებაში.

მუშათა და გლეხ. ინსპექციის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოების მოქმედების ურთიერთ შეთანხმების საქმეში აუცილებელია აღვნიშნოთ ერთი სასარგებლო ღონისძიება, რომელიც ნაწილობრივ უკვე ტარდება ცხოვრებაში: იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომძიებლებს ვავალებთ, რომ ბოროტმოქმედების შესახებ საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის საგამომძიებლო მასალიდან შეადგინონ დასკვნები ბოროტმოქმედების გამომწვევ მიზეზების შესახებ, იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც თან ხდევდა ბოროტმოქმედებას, და ამა თუ იმ დაწესებულების ან წარმოების მოქმედების შესახებ საზოგადოდ.

ამ ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სამეურნეო დაწესებულებათა და წარმოებათა ხელმძღვანელების თათბირების მოწვევა მუშათა და გლეხთა ინსპექციის, პროკურატურის და სასამართლოს მუშაკების მონაწილეობით, როგორც დასახულ ღონისძიებათა განხორციელების ერთად შემოწმების, ისე ახალი გეგმების დასახვისათვის სამეურნეო ბოროტმოქმედებებთან, ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და სხვ. ბრძოლის დარგში.

ი. ვარძიელი.

საქართველოს ცაკში

ინსტრუქციების დამტკიცება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი ინსტრუქციისა: „სოფლის საბჭოების მიერ საფოსტო ნიშნების გაყიდვის წესის შესახებ და „ფოსტის კავშირის მოწესრიგების სფეროში თემის, რაიონისა და დაირა-აღმასკომების და სოფლის საბჭოების მოვალეობათა განსაზღვრის შესახებ“.

სახალხო სასამართლოს უბნები

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის წინაშე სახალხო სასამართლოს უბნების გადაჯგუფების შესახებ ახალციხის მაზრაში.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: ტოლოშის უბნის სახალხო სასამართლო ახალციხის მაზრაში გაუქმებული იქნეს ა-წ. მარტის 16-დან.

ახალციხის მაზრაში დატოვებულ ორ სახალხო სასამართლოს—ახალციხის და კობლიანის სახალხო სასამართლოების უბანთა ფარგლები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ახალციხის სასამართლო შემდეგი თემებით: ურაველა, აწყური ტოლში, ლეპისი, ბოლომეთი, ასპინძა და ზველის თემები და ქალ. ახალციხე. კობლიანის სახალხო სასამართლო—ადიგენის, ვალინის, ვარხანის, უდესის, ავარაკ აბასთუმნის და ახალციხის თემებით უახალციხოთ.

პენსიები

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე თვეში (აპრილში) პენსიების სახით დაურიგა სოც. უზრუნველყოფის ყოფილი სახალხო კომისარიატის პენსიონერებს — 4.258 მანეთი და 80 კაპ., განათლების სახალხო კომისარიატიდან გადმორიცხულ პირებს — 2.458 მანეთი, ქალაქის აღმასკომიდან გადმორიცხულ პენსიონერებს — 960 მანეთი და „ჩემო“-დან გადმორიცხულ პენსიონერებს — 371 მანეთი და 70 კაპიკი.

მეაბრეშუმეობის კურსები

1 მაისს მეაბრეშუმეობის ცენტრალურ სადგურთან თბილისში იხსნება მეაბრეშუმეობის კურსები, რომლის მიზანია მომზადოს დახელოვნებული მუშაკები აბრეშუმის მეურნეობის დარგში. კურსებს ხელმძღვანელობას გაუწევენ საგანგებოდ მოწვეულნი სპეციალისტი მეაბრეშუმეები. კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები აბრეშუმის ჭიის კვებაზე, თესლის გამოყვანაზე, თუთის ხის მოშენების შესახებ, აბრეშუმის ამოხვევის ტეხნიკაზე და ფეიქრობაზე. კურსები გასტანს ორ თვე ნახევარს. მსმენელები ორ თვეს მოანდომებენ თეორეტიულ სწავლას, მხოლოდ დანარჩენ ნახევარ თვეს პრაქტიკულ ვარჯიშობას.

გადასახადი

ზედმეტ მოგებაზე

საკავშირო ფინსახკომმა შეიმუშავა ზედმეტი მოგების სახელმწიფო გადასახადით დაბეგვრის პროექტი. ახალი პროექტი გულისხმობს საკავშირო ცაკას და სახკომსაბჭოს 1926 წ. 18 ივნისის დადგენილებით ზედმეტ მოგებაზე დაწესებული დროებითი გადასახადის გაუქმებას.

კანონპროექტის თანახმად გადასახადით ზედმეტ მოგებაზე იბეგრებიან — სავაჭრო წარმოებები, რომლებიც ეკუთვნიან ფიზიკურ და კერძო იურიდიულ პირებს, თუ ამ წარმოებების მიერ მიღებული მოგება აღემატება ოთხმაგ არადასაბეგრ მინიმუმს, დაწესებულს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის; ის პირები, რომლებიც აწარმოებენ საბირჟო, საშუამავლო და სხვ. ოპერაციებს, ფულის გასესხებას პროცენტებით, თუ ამ პირების მიერ მიღებული შემოსავალი 4.000 მანეთს აღემატება.

გადასახადს ზედმეტ მოგებაზე ანგარიშობენ წინა წელში სავაჭრო წარმოებების და საშუამავლო ოპერაციების მწარმოებელ პირების მიერ მიღებული ზედმეტი მოგების მიხედვით.

წარმოების დახურვა და მოღვაწეობის შეწყვეტა საგადასახადო წლის დაწყებამდე არ წარმოადგენს საფუძველს გადასახადისაგან გასანთავისუფლებლად.

თუ მოგება მიღებულია რამოდენიმე წარმოებიდან, თითეულ წყაროდან მიღებული ზედმეტი მოგება ცალკე იბეგრება. გამონაკლისს შეადგენენ იურიდიული პირები, რომლებიც იბეგრებიან საერთოდ მიღებული მოგების მიხედვით.

წარმოების ზედმეტ მოგებათ ითვლება განსხვავება ფაქტიურად მიღებულ მოგებასა და დაწესებულ ცალკე დარგებისათვის მოგების ნორმალურ (საშუალო) პროცენტებს აწესებენ საგუბერნიო (ჩვენში სამაზრო) საფინგანებები შინვაჭრობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, ცალკე რესპუბლიკების ფინსახკომების ინსტრუქციების მიხედვით.

თუ ზედმეტი მოგება არ აღემატება ნორმალური მოგების 10 პროცენტს, — გადასახადი შეადგენს ზედმეტი მოგების 14 პროც-ს, მაგრამ, თუ ზედმეტი მოგება შეადგენს ნორმალური მოგების 50 პროც.-ს, მაშინ იგი იბეგრება საერთო ჯამის 30 პროც.-ის რაოდენობით.

საკრედიტო გეგმა

საქართველოს საგეგმო კომისიამ შეადგინა და გასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიურ საბჭოს 1926—27 სამეურნეო წლის მესამე კვარტალის საკრედიტო გეგმა. ამით ნავარაუდევია მესამე კვარტალში 55.083,000 მანეთი, წინა კვარტალში კი იყო 46 040.000 მანეთი, ე. ი. გადიდება უდრის 9.797000 მანეთს. ეს კრედიტები მეურნეობის სხვადასხვა დარგებ შორის ასე ნაწილდება:

მრეწველობას—8,987,000 მანეთი. სოფლის მეურნეობას—9.500.000 მანეთი, ვაჭრობას—6,891.000 მანეთი. კომუნალურ მეურნეობას—(აქ შედის ელექტროფიკაცია)—24.080.000 მანეთი, სხვადასხვა—5.069,000 მანეთი.

საგეგმო კომისიის აზრით, კრედიტები უნდა გაუდიდდეს მუშათა მთლიან კოოპერატივს 1.250,000 მანეთამდე, სატყეო ტრესტს 1.650.000 მანეთამდე, ხოლო ლითონ ტრესტს—50.000 მანეთით.

სამგორის ველის მორწყვა

წინასწარი სამუშაოები დასრულებულია.—სულ მოირწყვება 102.000 დესეტინა.—სამუშაოთა ჩატარება დაჯდება 15 მილ. მანეთი.—მორწყვის შემდეგ ველაობა უნდა დასრულდეს ხუთი წლისზე დასახლდება 6.500-მდე გლეხი.—მუშ განმავლობაში

წყალთა მეურნეობის სამმართველომ ამ წლის ნახევრის წინედ დაიწყო წინასწარი მუშაობა სამგორის ველის მოსარწყავად. ამჟამად ეს სამუშაოები უკვე დამთავრებულია და შეგროვილია მთელი რიგი მასალებისა, (გეოლოგიური გამოკვლევების, ჰიდრომეტრიული, ბოტანიკური, ნიადაგის და სხ. გამოკვლევათა შედეგები). გარდა ამისა შედგენილია ველის მორწყვის პროექტის ოთხი ვარიანტი.

არსებული წესების თანახმად პროექტები და შეგროვილი მასალები განიხილა და შეისწავლა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებულმა საბჭომ, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე იმუშავა ერთ თვეზე მეტი. საბჭოს სულ ჰქონდა 6 სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხის შესასწავლად გამოყოფილ სექციების მოხსენებანი სამგორის ველის გეოლოგიურ, ჰიდრომეტრიულ, ბოტანიკურ, ნიადაგის და სხ. გამოკვლევების ჩატარების შესახებ. საბჭომ გუშინ დაასრულა აღნიშნული ველის მორწყვის საკითხების დამუშავება და გამოიტანა საბოლოოდ დასკვნა, რომელიც გაირჩევა მთავრობის უმაღლეს ორგანოებში და საკავშირო საირიგაციო კომიტეტში, რომელმაც უნდა გამოიტანოს საბოლოო დასკვნა.

სამგორის ველის მოსარწყავი სამუშაოები დაყოფილია ორ ნაწილად: მდ. იორის მარჯვნივ მდებარე ადგილები და მარცხნივ მდებარე ადგილები. პირველ რიგში შესრულებულ უნდა იქნეს მარჯვენა მხარეს მორწყვა. სამისოთ იმ ადგილას, სადაც კახეთის გზატკეცილი გადასჭრის მდ.იორს, აგებულ იქნება წყლის დასაგროვებელი დიდი აუზი, რომელმაც, უნდა დაიტიოს 300.000 ვედრო წყალი. სულ ამ მხარეზე მორწყულ იქნება 55 ათასი დესეტინა, საიდანაც 40 ათასი დესეტინა მიწა გადავა სათეს ფონდში.

მორწყული მოედანი დაიყოფა სამ ზონათ. პირველ ზონაში იწარმოებს საქონლის საკვებ ბალახების კულტურა, შუა ზონაში იწარმოებს ხორბლეულობის თესვა. ხოლო ქვედა ზონა (ყარაიასკენ) დაეთმობა ბამბისა და კანაფის კულტურას.

გარდა ამისა სამგორის ველი გამოყენებულ იქნება შინა ხაკოლონიზაციო მიზნებისათვის. ველის მარჯვენა მხარეზე დასახლდება 4.200 გლეხი, ხოლო მარცხენაზე—ორი ათასამდე გლეხი იქნება დასახლებული. პირველ რიგში უნდა შეუდგენ მარჯვენა მხარეს მორწყვას, ხოლო შემდეგ მარცხენა მხარესაც. სულ მოირწყ-

წითელ ჯარში

თადარიგის მეთაურთა თათბირი

გუშინ, 21 აპრ. საღ. 7 საათზე წითელარმიის და ფლოტის სახლში შესდგა თადარიგში მყოფ მეთაურთა შემადგენლობის თათბირი.

პირველად, თბილისში მყოფ თადარიგის მეთაურებმა მოიყარეს ერთად თავი, რომ გამოენახათ სწორი გზა წითელ არმიის საკადრო შემადგენლობასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.

თათბირს ხსნის არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი **ამხ. რატნეკი.** იგი აღნიშნავს, რომ თათბირის მიზანია დაამყაროს კავშირი წითელ ყაზარმის და თადარიგის მეთაურთა შორის, რომელნიც დღეს მუშაობენ სამოქალაქო დაწესებულებებში.

„თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა, ამბობს ამხ. რატნეკი, არის კადრი, რომელსაც ომის დროს დაეკისრება მძიმე მოვალეობა—ხელმძღვანელობა მრავალმილიონიან ჯარის“.

ეხება რა თადარიგის საქმიანობას მშვიდობიან დროს, ამხ. რატნეკი ამბობს, რომ მეთაურთა მოვალეობაა იზრუნონ იმ დაწესებულების და ორგანიზაციის გასამხედროებისათვის, სადაც მათ უხდებათ მუშაობა, იქნება ეს სოფელი, ქალაქი, ქარხანა და სხვა.

ამხ. რატნეკის სიტყვის შემდეგ მოხსენებით „თავდაცვის საქმე და თადარიგის მეთაურთა ამოცანები“ გამოდის არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო.

მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ალაფუზო ეხება მომავალ ომის ხასიათს და მეთაურთა მნიშვნელობას მასში. შემდეგ იგი ჩერდება თადარიგის მეთაურთა დღევანდელ მდგომარეობაზე და აღნიშნავს, რომ მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები, სათანადოთ მოეწყო წითელ ჯარიდან დათხოვნილი მეთაურნი. ამ მხრივ, ამბობს მომხსენებელი, არ შეიძლება ითქვას, რომ მეთაურნი სავსებით არიან დაკმაყოფილებულნი, მაგრამ ხელისუფლება სცდილობს უფრო გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა.

ეხება რა თადარიგის მეთაურთა მომზადების საქმეს, ამხ. ალაფუზო აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით მეთაურთა შემადგენლობა ამ მხრივ ჩამორჩენილია.

საჭიროა, რომ თადარიგის მეთაურებმა სავსებით შეიგნონ თავისი მოვალეობა წითელი ჯარის მიმართ.

რათა თადარიგის მეთაურებმა სავსებით გაამართლონ თავისი დანიშნულება, საჭიროა, რომ ისინი ჩაებან გასამხედროების საქმეში, განაახლონ ჯარში მოიპოვებული ცოდნა და თვალყური ადევნონ სამხედრო აზრის მსვლელობას.

აგრეთვე საჭიროა, რათა ყველა მეთაური ეცნობოდეს ჯარის იმ სახეს, რომელშიაც იგი ირიცხება. საჭიროა აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობის ჩაბმა თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოება-ავიაქიმის უჯრედების მუშაობაში.

ათავებს რა მოხსენებას, ამხ. ალაფუზო მოუწოდებს მეთაურებს იყვნენ მჭიდრო კავშირში წითელ არმიის საკადრო შემადგენლობასთან, რაც გაუადვილებს მათ მუშაობას.

ამხ. ალაფუზოს მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ თვით თადარიგის მეთაურნი.

მათ სიტყვებიდან ნათლად სჩანდა, რომ ყველანი მოწადინებულნი არიან დაწინაურდენ სამხედრო ცოდნაში და არ ჩამორჩენ ყაზარმაში დარჩენილ ამხანაგებს; გამოსთქვამდნენ აგრეთვე კმაყოფილებას, რომ მათ ექნებათ შეძლება ჩაებან უშუალოდ სამხედრო საქმიანობაში.

მეთაურთა სიტყვებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში, სადაც მათ უხდებათ მუშაობა, გასამხედროების საქმე არ არის დაყენებული კარგათ; არ არის ჩამოყალიბებული თ. ს.-ს.—ავიაქიმის უჯრედები, სამხედრო ხასიათის წრეები. არ არის ამოწერილი სამხედრო ჟურნალ-გაზეთები.

ამხ. ალაფუზოს საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ შეიძინოს მეტი ცოდნა სამხედრო დარგში და იქნება მჭიდრო კავშირში წითელ ყაზარმასთან. რეზოლიუციაში ნაჩვენები არის აგრეთვე ის ზომები, რომელნიც მიღებული იქნებიან სამხედრო უწყების მიერ თადარიგის მეთაურთა მოსამზადებლად.

სია

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის, რომელნიც გაიწვევიან [illegible] შეკრებაზე და რომელნიც უნდა გამოცხადდენ საექიმო შემოწმებაზე თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში 1927 წლის 3 მაისს, დილის 9 საათზე.

1) ასხაბაძე ივანე რევაზის ძე, 2) აბაზაძე არჩილი კონსტანტინეს ძე, 3) აპრესოვი ლევანი სერგოს ძე, 4) ანისიმოვი კონსტანტინე ვასილის ძე, 5) აბულაძე პოლიკარპე ანდრიას ძე, 6) ავერიანოვი დიმიტრი ივანეს ძე, 7) ავრამოვი ვიქტორ ვიქტორის ძე, 8) ბონდარიოვი ივანე გრიგორის ძე, 9) ბენდიაშვილი ივანე არსენის ძე, 10) ბახტაძე ვლადიმერი ერმოლოზის ძე, 11) ბელოდედოვი ვლადიმერი ივანეს ძე, 12) ვოლკოვი ნიკოლოზი საველის ძე, 13) ვერმიშევი ავაკუმ ალექსანდრესძე, 14) გაბისონია მელიტონ ვასილის ძე, 15)) გასნევსკი კონსტანტინე მიხეილის ძე, 16) გენკენ ნიკოლოზი მიხეილის ძე, 17) გეგეჭკორი ბესარიონ ალექსის ძე, 18) გელოვანი ავქსენტი ივანეს ძე, 19) გაბაშვილი ლევანი იოსების ძე. 20) გერასიმოვი სერგო ავდეევის ძე, 21) გირმიშაშვილი ნიკოლოზ ანდრიას ძე, 22) გოცირიძე ვლადიმერი ივანეს ძე, 23) დევდარიანი ალექსანდრე დიმიტრის ძე, 24) დუტკო ნიკოლოზ დიმიტრის ძე, 25) ებრალიძე გიორგი ლეონტის ძე, 26) იანოვიჩი ვლადიმერი ალექსანდრეს ძე, 27) ნიკოლაძე ილია მათეს ძე, 28) ნოვოდჩენკო სიმონი გრიგორის ძე, 29) ნემსაძე გიორგი ვასილის ძე, 30) მელიქოვი დავითი კონსტანტინეს ძე, 31) მიქელაძე ზაქარია პლატონის ძე, 32) მაღალაშვილი გიორგი რაჟდენის ძე, 33) მესხელი ვასილი პეტრეს ძე. 34) მთიაშვილი დავითი იოსების ძე, 35) მეცკო ფრანც ლიუდვიგის ძე, 36) მალაშკო ანტონი დანიელის ძე, 37) მესხი კონსტანტინე პროკოფის ძე, 38) მაყაშვილი ივანე ვლადიმერის ძე, 39) დაფქვიაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე, 40) ლორია სიმონი ანტონის ძე, 41) ლორთქიფანიძე გრიგორი ლეონტის ძე, 42) ლარნერი ვლადიმერი სიმონის ძე, 43) ლევკოვიჩი გლებ აპოლონის ძე, ლუხავა ევგენი ილიას ძე, 45) რაძიევსკი ბორისი ავერიანის ძე, 46) როინიშვილი დავითი იოსების ძე. 47) რუხაძე ვლადიმერი იოსების ძე, 48) რუდაკოვი მიხეილი სერგოს ძე, 49) როსიკი ბორისი სტეფანეს ძე, 50) რიჟამაძე დიონისი ზაქარიას ძე, 51) სამადალაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე, 52) სმირნოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე, 53) სულიკაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე. 54) სალტიშა ალექსანდრე კონსტ. ძე, 55) სევეროვი ნიკოლოზ პავლეს ძე, 56) საგალოვი გიორგი გრიგორის ძე, 57) სლივიცკი დიმიტრი სიმონის ძე, 58) სვანიძე ალექსი ოქროპირის ძე. 59) პერიშკე ალექსანდრე ლუდვიგის ძე, 60) ოსმალოვსკი მაქსიმე დიმიტრის ძე, 61) თენეიშვილი ვლადიმერი მათეს ძე, 62) ტერ-ნიკოგოსოვი ლეონ არტემის ძე, 63) შრიკ გუსტავ გუსტავის ძე, 64) ჩიმაკაძე დავით ერმოლოზის ძე, 65) ჩოჩია ვლადიმერი ალექსანდრეს ძე, 66) ჩიქოვანი გიორგი სამსონის ძე, 67) ჭელიძე ნიკოლოზ სარდიონის ძე, 68) ჭანტურია ვლადიმერ ნესტორის ძე, 69) ჩიგოგიძე ბესარიონ ნაუმის ძე. 70) ჩიმაკაძე იოსები ერმალოზის ძე, 71) ჩიქოვანი პავლე ილიას ძე. 72) ფედოსეევი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, 73) ცინცაძე აკაკი ნიკოლოზის ძე, 74) ცერცვაძე ნიკოლოზ გიორგის ძე. 75) ციციანოვი ლეონტი ალექსანდრეს ძე, 76) კარბონსკი ევგენი არტემის ძე, 77) კარახანოვი მიხეილი ნიკოლოზის ძე, 78) კოვშიკოვი კონსტანტინე ფეოდორის ძე, 79) კიკული პეტრე ივანეს ძე, 80) კაკაბაძე ვენედიქტე მათეს ძე, 81) კოჟინსკი სტანისლავი ბერნარდის ძე, 82) კობიევი იაკობი მიხეილის ძე. 83) ქეჯოძე კონსტანტინე პლატონის ძე, 84) ქართველიშვილი იაკობი ალექსანდრეს ძე, 85) ჯანელიძე შალვა სიმონის ძე, 86) ხუციშვილი სავა ნიკიფორეს ძე, 87) ხომერიკი ლეონტი კონსტანტინეს ძე, 88) ჟელებროვსკი მიხეილი ნიკოლოზის ძე, 89) ღოლიძე ვასილი ისიდორეს ძე.

(გაგრძელება იქნება)

პატარა ფელეტონი

მისამართი შეცვლილია

...ჩემთვის მოულოდნელი არ არის ჩან-კაი-შის ღალატი. მე ვიცოდი და ვამბობდი კიდეც, რომ ჩან-კაი-ში არ არის გულწრფელი, რომ ჩან - კაი - ში ფლიდობს.

..მე როგორც რევოლიუციონერი ვაცხადებ, რომ ჩან - კაი - ში იყო ჩემი მამა და მეგობარი. დღეს ის გადავიდა მტრების ბანაკში, და ამიტომ ის ჩემი მტერია“.

(ჩან-კაი-შის შვილის განცხადებიდან)

ამას წინად გაუგზავნე
დირექტივა ჩან-კაი-შის,
იმის გამო, რომ შევიდა
იგი ქალაქ შანხაიში.
ვფიქრობდით, რომ ჩან-კაი-შის
ხალხისათვის კაი სურდა,
მაგრამ ეხლა, როგორც ვხედავთ,
ჩვენ ეს აზრი გაგვიცრუვდა.
თურმე [illegible] არ [illegible]
ჩან-კაი-ში [illegible] როგორც [illegible],
ის ყოფილა [illegible]
და ეს ვერ მოვიფიქრეთ.
თურმე ღალატს უმზადებდა
მშრომელ ჩინეთს მელა-კუდა,
თურმე ჰყიდდა კანტონელებს
ის პირმავი, ის იუდა.
ამის გამო, დირექტივა...
კვლავ ძალაში რჩება ისევ.
მე მას მხოლოდ მისამართი
სხვანაირი მივათვისე:
დირექტივა ეგზავნება
ისევ ისე ჩან-კაი-შის,
არა მამას — მოღალატეს,
არამედ შვილს ჩან-კაი-შვილს.

კვლავ დარია

„მოღალატე ჩან-კაი-ში ვარიცხულია გომინდანის პარტიიდან. გაცემულია განკარგულება მისი დაპატიმრების შესახებ.

ნაციონალურ - რევოლიუციონურ ჯარების მთავარ - სარდლად დანიშნულია ფინ-იუ-სიანი“. (დეპეშებიდან)

ჩინეთში ისევ იქნება
ცა მოწმენდილი მზიანი,
იბრძვის ლაშქარი მშრომელთა,
მტერს მიადგება ზიანი.
ჩან-კაიშს, ფლიდს და გამყიდველს
შესცვლის ფინ - იუ - სიანი
მტერს კვლავ მოსწვდება მებრძოლთა
ყოჩინა მაგარ ხმიანი.
ღალატის მახეს დაამსხვრევს
მარჯვენა ჩაქუჩიანი.
მოინანებენ ფლიდები,
მაგრამ იქნება გვიანი.
იბრძვის ლაშქარი მშრომელთა
ლაშქარი მაგარ ხმიანი.
გვწამს, რომ ჩინეთში იქნება
გვწამს, რომ ჩინეთში იქნება
ცა მოწმენდილი, მზიანი.

გაფრინდება

„ლონდონი, 15 აპრილი. ნიუ - იორკიდან მიღებულ ცნობით, ავიატორებმა აკოსტამ და ჩემბერლენმა დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი.“

(დეპეშებიდან)

ფრინავს სადღაც ჩემბერლენი,
პრინცია თუ ვიღაც ლორდი,
თან ტრაბახობს: მოდით და
მე ფრენაში გამისწორდი.
კვლავ იფრინოს, მე არ უშლი
შეასწავლოს სხვებსაც ფრენა...
აი, თუნდაც მის მეგვარეს,
ნოტით რომ არ მოგვასვენა,
თუმცა... რაღა საჭიროა
წვალება და დროის ცდენა?!
მისტერ ოსტინს პატიოსან
სიტყვას ვაძლევთ აგერ ჩვენა:
ჩინელებმა თუ ოსტინის
ბორკილები აიყარეს,
ისე მაგრათ გააფრენენ
რომ ას რეკორდს დაამყარებს.

ნოზიკა

ყრილობები და თათბირები

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა მე-6 ყრილობა

მეთერთმეტე და მეთორმეტე სხდომა

21 აპრილის დილის სხდომაზე მუშაობდენ რეზოლიუციების გამოსამუშავებლად არჩეული კომისიები.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებების შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობამ მოიწონა ცენტრალური გამგეობის მუშაობა და წინადადება მისცა მას, რომ ცენტრალური გამგეობა და სამაზრო განყოფილებები ანგარიშს აბარებდეს ამომრჩეველებს ექვს თვეში ერთხელ. მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის ნაყოფიერად იქნა ცნობილი; სუსტია მუშაობა ახალგაზრდობასა და ქალებს შორის.

რეზოლიუციაში ამასთანავე აღნიშნულია, რომ საჭიროა კერძო წარმოებების მუშების ჩაბმა კავშირის მუშაობაში და პროფესიონალურ-კულტურულ მუშაობის გაძლიერება უმუშევართა შორის. ამასთან ერთად გაძლიერებული უნდა იქნეს ხელმძღვანელობის გაწევა საურთიერთო დახმარების სალაროებისათვის და მიღებული უნდა იქნეს ზომები დავალიანების გასანაღდებლად.

შრომის ხელფასის გადიდებას საფუძვლად უნდა დაედვას შრომის ნაყოფიერების გაძლიერება; ამ მიმართულებით მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზომები.

სატარიფო შეთანხმებები და კოლექტიური ხელშეკრულებები უნდა ეხებოდეს მუშების მთელ 100 პროცენტს.

„ზაკავტოპრომტორგ“-ის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი; ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო აფხაზეთის ს. მ. უ. ს და ა.-კ. რკინისგზების გარაჟების გაერთიანება „ზაკავტოპრომტორგ“-ის გარაჟთან.

შრომის კომისარიატის მოხსენების გამო ყრილობამ საჭიროდ სცნო მეტი ყურადღება მიექცეს შრომის დაცვას წვრილ წარმოებებში და გადასინჯული იქნეს სპეცტანისამოსის ნორმები.

„ზაკპოგრუზ“-ის საქართველოს განყოფილების მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

აღმშენებელთა მე-6 ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომა

21 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის ამხ. ქობულიძეს მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა დეფექტები, რომლებსაც სარევიზიო კომისია აჩენდა ცენტრალურ გამგეობის მუშაობაში, მითითების შემდეგ დაუყოვნებლივ სწორდებოდა.

საანგარიშო ნაწილი კარგათ არის დაყენებული.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ მაზრები აგვიანებენ ანგარიშების გამოგზავნას, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს დეპეშების გაგზავნაზე და სხვა.

იყო შემთხვევები, როდესაც სპეცფონდები არ იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ; ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ამას გარდა უნდა მოისპოს ავანსების გაცემა.

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ცენტრალური გამგეობის მოხსენების გარშემო.

გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა კურსების გახსნა პროფმუშაკების მოსამზადებლად და უმუშევართა სამუშაოზე გაგზავნის მოგვარება საშუამავლო ბიუროს საშუალებით; ამას გარდა მუშები, რომლებიც იგზავნებიან სამუშაოზე ქალაქ გარეთ, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ბინებით.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ მუშების დაზღვევის საქმე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული . განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ამ მხრივ მუშა-ერთეულები.

ზოგიერთ წარმოებებში მოგვარებული არ არის სპეცტანისამოსის გაცემის საქმე; ამას გარდა ზოგან ირღვევა რვა საათის სამუშაო დღე.

ამიერ-კავკასიის კულტთათბირის შედეგები

ამ ორი დღის წინად დამთავრებულ ა.-კ. პროფკავშირთა კულტთათბირის შედეგების შესახებ ა. კ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ ამხ. პოდოლსკიმ განა[illegible] შემდეგი:

წარსული წლების კულტთათბირზე რესპუბლიკის პროფკავშირთა წარმომადგენლები მხოლოდ იმის შესახებ ლაპარაკობდენ, როგორ ეს მოძრავებიათ პროფკავშირთა მასსები, როგორ ჩაებათ ისინი კულტმუშაობაში. ეხლა, როცა ეს ამოცანა შესრულებულია, ჩვენს წინაშე სდგას საკითხი, თუ როგორ დავაკმაყოფილოთ ამ მასსების კულტურული საჭიროებანი.

საკლუბო მუშაობა ამიერ-კავკასიაში ერთგვარ ჩიხს მიადგა: არ გვაქვს კლუბები, არ გვაქვს სათანადო შენობები, რომ დავაკმაყოფილოთ მასსების კულტურული მოთხოვნილებანი. შენობების საკითხებმა, რომელიც პირველი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოა, ძალიან დიდი ადგილი დაიჭირა თათბირის დღის წესრიგში, რადგან აშკარაა, რომ შენობებს გარეშე არავითარი კულტმუშაობის წარმოება არ შეიძლება. ამ საკითხის შესახებ თათბირმა კატეგორიულად მოითხოვა პოლიტიკის შეცვლა კომუნ. განყოფილებათა მხრით, რომელნიც კლუბებს არა თუ უწყობენ ხელს, არამედ ათანაბრებენ მათ კომერციულ წარმოებებთან. ხშირად კლუბებს ჰდავენ და ხურავენ საიჯარო ქირის გადაუხდელობისათვის.

კლუბის მუშაობის შინაარსს, როგორც თათბირზე გამოირკვა, დიდ მი[illegible]ებთან ერთად, ახასიათებს ნაკლულოვანებაც, რომელიც თანდათან ისპობა. კლუბების მთავარი ნაკლია ცალკე ეროვნებათა კულტურულ საჭიროებათა ნაკლებ დაკმაყოფილება.

ძირითადი კულტმუშაობის გასაუმჯობესებლად თათბირმა საჭიროდ სცნო კულტკომისიების ავტორიტეტის ამაღლება და განმტკიცება. საჭიროა ამ კომისიების მუშებით შევსება და მათში ისეთი პირების ჩაბმა, რომელთაც მართლაც აინტერესებთ კულტმუშაობა.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა მუდმივი მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ კულტკომისიების მუშაობას იმ მიზნით, რომ კულტკომისიებიც ისეთი ავტორიტეტიანი გახდენ, როგორც მაგ. მუშათა საკონფლიქტო კომისიები.

საზაფხულო პერიოდი უნდა გამოყენებული იქნეს კულტკომისიების გადასამზადებლად.

თათბირის დასკვნით, გადახალისებულ უნდა იქნეს კულტმუშაობა სეზონობით მომუშავე სასოფლო-მეურნეობის მუშებს შორის, მიდგომა მუშების ამ ჯგუფებისადმი, როგორც თათბირზე გამოირკვა, იყო ობიექტიური ე. ი. მათ ყოფა-ცხოვრებასთან შეუფერებელი. თათბირის შემდეგ ამ საკითხს მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

სამრეწველო საქონლის იმპორტი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის მ. გ. ინსპექციამ გამოიკვლია სამრეწველო საქონლის იმპორტის საქმე ამიერ-კავკასიაში. მთავარი ორგანიზაციები, რომლებიც საიმპორტო საქმეს აწარმოებენ ამიერ-კავკასიაში, არიან ამიერ-კავკასიის ვაჭრ. საპაიო ამხანაგ.—„ზაკგოსტორგ“-ი, „ზაკავტომპრომტორგ“-ი, „ზაკსელმში“. და „ზაკოოპ“-ი. მთელი იმპორტის 89 პროცენტი მოდის „ზაკგოსტორგ“-ზე. 1925—26 წლისათვის ფაქტიურ გეგმიანი იმპორტი დასავლეთის იმპორტთან შედარებით შეადგენდა 73 პროცენტს,— ამავე დროს მეტ წილს საიმპორტო საქონლით წარმოადგენდა ლითონის ნაწარმოები—სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები. სხვა ორგანიზაციების მონაწილეობა სამრეწველო საქონლის იმპორტში და აგრეთვე სამრეწველო საქონლის იმპორტის შემცირება „ზაკგოსტორგ“-ის მხრით, მოწმობს, რომ „ზგტ“-ის მონოპოლიური მდგომარეობა თანდათან უქმდება. „ზაკგოსტ“. საიმპორტო ოპერაციების ასეთი შემცირება აყენებს საკითხს მისი აპარატის შემცირების შესახებ. აპარატი შეკვეცილი უნდა იქნეს მით უფრო, რომ ამ სავაჭრო დაწესებულების საორგანიზაციო ხარჯები გაიზარდა უფრო მეტად და პროპორციულად ვიდრე მისი ბრუნვა, საგასავლო ხარჯებს შორის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ხელფასს (59 პროც.).

„ზ. გ. ტ.“ მიერ შემოტანილ საქონელში სამეურნეო ორგანოების შეკვეთებს უჭირავთ 23,5 პროცენტი. 76.5 პროც.—„ზ. გ. ტ.“ შემოუტანია თავისი რისკით, ბაზრის მდგომარეობის შეუსწავლელად. ამის გამო მრავალი მის მიერ შემოტანილი საქონელი არც ასორტიმენტის, არც ხარისხის არც რაოდენობის მიხედვით არ შეეფერება ამიერ-კავკასიის ბაზარს. ამას შედეგად მოჰყვა საწყობებში გაუსაღებელი საქონლის დაგროვება, „ზ. გ. ტ.“-ის ფინანსიური მდგომარეობის გაუარესება და ზედმეტი დანახარჯები. ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით ეს საქონელი უნდა გაიყიდოს ამიერ-კავკასიის გარედ—კერძო პირებზედაც კი. „ზ. გ. ტ.“-ს თავის განყოფილებების საშუალებით აქ გაუსაღებელი საქონელი გაუნაწილებია სხვადასხვა რესპუბლიკებში ისე, რომ არ გაუთვალისწინებია ბაზრების მოთხოვნილება მის მიერ გაგზავნილ საქონელზე, გარდა ამისა, გამოკვლევით გამოირკვევა „ზგტ“ მიერ შეკვეთების თავის დროზე შეუსრულებლობა. უცხოეთის საქონელზე შეკვეთის შესრულების ხშირად აგვიანდებოდა ორიდან 7 თვემდე—ამასთან ერთად შემკვეთლებს ეგზავნებოდათ ღირსებისა და ღირებულების მხრით შეკვეთისათვის შეუსაბამი საქონელი. გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი სხვა დეფექტებიც, რომელიც შეეხება საიმპორტო საქონლის კალკულიაციის საკითხს, საიმპორტო გეგმის შედგენას და სხვ.

ამ გამოკვლევით დაგროვილი მასალების მიხედვით ამიერ-კავკასიის მ. გ. ინსპექციის მიერ მიღებულია სათანადო ღონისძიებები.

ლიბანის სანატორიუმი

ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა ექ. ნ. გეგეჭკორმა, რომელიც დანიშნულია ლიბანის სანატორიუმის დირექტორად, ამას წინად დაათვალიერა სანატორიუმი.

ექ. გეგეჭკორის განცხადებით, ლიბანის სანატორიუმი შენდება მედიცინის და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. სანატორიუმი შენდება საუკეთესო ადგილზე ასეთი სანატორიუმი, გეგეჭკორის სიტყვით არამც თუ საბჭოთა კავშირში არამედ ევროპაშიაც არ არსებობს.

სანატორიუმი გაიხსნება 1 ივნისს. იქ იმუშავებენ: 4 ექიმი, 6 სათნოების და, 1 რენტგენოლოგი და 8 მომვლელი.

საერთო შტატი, რომელიც ემსახურება სანატორიუმს, ა.-კ. სოგზაო დამზღვევ სალაროს მიერ შედგენილია 50 კაცის რაოდენობით.

სვანეთის ტყეების

გამოკვლევა

მიწადმოქმედების კომისარიატმა უკვე დაამთავრა მუშაობა სვანეთის ტყეების გამოსაკვლევად და მოსაწყობად. ეს მუშაობა დაკისრებული ჰქონდა სატყეო განყოფილებას, რომელიც მუშაობას აწარმოებდა კამერული წესით. გამოკვლევა მოხდა იმ მასალების მიხედვით, რომელიც გასული წლის ზაფხულში სვანეთში შეაგროვა მიწათ-მოქმედების კომისარიატის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა ტყის მომწყობმა ჯგუფმა.

ცეკავშირში

თევზის ოპერაციები

ცეკავშირის გამგეობის დადგენილებით, წრეულს ცეკავშირი იწყებს თევზის ოპერაციებს. ამისათვის დადებულია ხელშეკრულება „ცენტროსოიუზ“-თან.

აქამდე თევზის ოპერაციას ცეკავშირი არ აწარმოებდა. ამის გამო ძირითადი სამომხმარებლო ორგანიზაციები თევზეულობას იძენდენ სხვა ორგანიზაციებიდან.

ამიერიდან ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციები ცეკავშირის საშუალებით მიიღებენ თევზეულს, განსაკუთრებით ხმელ ტარანს, ფარგას და სხვა, რომლებზედაც დასავლეთ საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა.

ვარაუდით, ყოველთვიურად ძირითადი ორგანიზაციების საშუალებით შეიძლება 50—60 რონოდა თევზეულის გასაღება სამომხმარებლო ორგანიზაციების ხაზით. საქონლის ასარჩევად და მისი ხარისხისათვის თვალყურის სადევნებლად დაქირავებულია სპეციალისტი—მეთევზე.

თევზეულს მიიღებენ ასტრახანიდან, სადაც „ცენტროსოიუზ“-ს აქვს თევზის საკუთარი სამრეწველოები.

ცეკავშირის მიერ უკვე გამოწერილია ხმელი ტარანის და ფარგის ისეთი რაოდენობა, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს კოოპერატივების მოთხოვნილებას.

ქრონიკა

მუშაობის დაწყების ახალი დრო

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 1 მაისიდან, ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათზე, ხოლო შრომის ბირ. მუშაობა დაიწყება 1 ს. ადრე ე. ი. 7 საათზე.

ახალის სანერგე

საქართველოს სახალხო მამულების ტრესტმა ამ დღეებში ყარაიაზსში ბოტანიკურ ბაღის ნაკვეთზე მოაწყო ხეხილის, დეკორატიულ ხეების, საუკეთესო ყვავილების და ბოსტნეულის თესლების სანერგე. სანერგის გამგეთ დანიშნულია მეხილეობის ცნობილი სპეციალისტი ს. ს. ხეთაგური.

საუწყებათაშორისო - სატარიფო თათბირში

ა.-კ. უმაღლეს - ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, ა.-კ. საუწყებათაშორისო - სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი ინჟ. ლ. ა. ტერ-მიქაელიანი.

თათბირის ახალ წევრად ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატიდან დანიშნულია სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. ჯანიბახჩიევი.

თბილისის ალმასკომში

◆ **ღამის გასათევი სახლი.** თბ. ალმასკომმა დაადგინა თბილ. აგოს უმუშევარ. ღამის გასათევი სახლი.

◆ **უმუშევართა კოლექტივებს** დარაბების ქირაში მიეცათ 23 პროცენტი შეღავათი.

◆ **აგრონომიულ რაიონებში** მოეწყო ხორბლის სარკვევი პუნქტები.

◆ **ფუტკარის ავადმყოფობის** „სიმყაყის" წინააღმდეგ საბრძოლველად ალმასკომმა წალკაში მოაწყო მეფუტკრე-მეურნეთათვის კურსები.

◆ **მცენარეულობის თესლი.** ღარიბეს გლეხობას შორის დასარიგებლად ალმასკომმა შეიძინა მცენარეულობის 100 ფ. თესლი.

◆ **ბორნებზე გასავლელი ნიხრი.** ქალაქში მტკვარზე არსებულ ბორნებზე გასასვლელად წითელ-არმიელები, მუშა-მოსამსახურეები და მოწაფეები იხდიან 2 კ., დანარჩენი მოქალაქენი 3 კ., ტვირთიანი მეკურტნე მუშები—ექვს კაპეიკს.

საბინაო მშენებლობა

◆ **ახალი სახლები.** თბ. ალმასკომის ქონებათა სამმართველოს ცნობ. თ. პირველ 5 წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობაზე რესპუბლიკაში დაიხარჯება 114,800.000 მანეთი.

◆ **საალმშენებლო ეზო.** საბინაო კავშირმა გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს საალმშენებლო ეზო, სადაც დამზადდება სახლებისათვის კარ-ფანჯრები და სხვა სადურგლო მასალები.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად** შრომის სახ. კომისარიატთან დაარსდა კომისია შრომის კომისარის თავმჯდომარეობით.

◆ **სპეცტანისამოსის ნორმების** გადასასინჯად გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია.

◆ **ჭიათურის მაღაროს მუშებისათვის** კონცესიონერის მიერ წარმოდგენილ სპეცტანსაცმელების ნიმუშების განსახილველად გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია.

◆ **შრომის დაცვის** განყოფილებამ თბ. ელექტრომექანიკურ ქარხნის ადმინისტრაციასთან დადო ხელშეკრულება ამ ქარხანაში შრომის და სანიტარულ-ტეხნიკურ პირობების გასაუმჯობესებლად.

◆ **ხაშურში გაიხსნა** საკორესპონდენტო პუნქტი, რომელსაც დაეკისრა უმუშევრების აღრიცხვა და მათი გაგზავნა სამუშაოებზე.

◆ **შრომის ბირჟის** გამგეთ დაინიშნა ამხ. სოლომონ არეშიძე.

სხვადასხვა

◆ **ექიმთა ყრილობა.** 25 აპრილს ბათომში გაიხსნება ნავთსადგურის ექიმთა ყრილობა.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ლენინოდან—დუბოროვსკოი ობლიმეკოისას, ჭრებალოდან—კობახიძეს, სვედლოვსკიდან — ხაკტიკ დათიევისას, კიზლიარიდან—გარპარიანცს. ტულიდან—კირვალიძეს. ხარკოვიდან—არტელ „დოვერიეს". ჯულფიდან—სარქისიანცს.

შემთხვევები

ბავშვის დაკარგვა

ორშაბათს, 18 აპრილს სახლიდან გავიდა სედრაკ მელქანოვი, 16 წლის, და დღემდი არ დაბრუნებულა. ნიშნები: აცვია ტყავის ქურქი, მოკლე შარვალი, თუ ვინმემ იცის სად იმყოფება, სთხოვენ აცნობონ მშობლებს ალმასკომის პირველ სტამბაში. (კამოს ქ. № 68).

◆ **დაჭრა.** 20 აპრილს გოგოლის ქუჩა № 49 ეფროსიმე ივანეს ასული კარალოვამ რევოლვერით მძიმეთ დაიჭრა თავი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით ტატიანოვის ქუჩა № 10 სონია ფრიდონოვას ბინიდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ **ავიოქიმის კუთვნილ** 139 მანეთის მითვისებისათვის შეიპყრეს ამავე დაწესებულებების მიკრიკი ალექსანდრე ბაბაიანცი.

◆ **შეიპყრეს და** სპეცდანიშნულების იზოლიატორში გადაიგზავნა ქურდი გაიკ ბაღდასარისძე გომელაური.

◆ **მცირე წლოვანი დამნაშავენი.** 20 აპრილს შეიპყრეს ქურდობისათვის მცირეწლოვანი სტეფანე კირვალოზოვი, და ხოსრო ოსიპოვი.

◆ **ამავე დღეს** დააპატიმრეს ქურდები არტაშ ოგანოვი, ამბარცუმ ბალტაჩიანცი და კარაპეტ ახვერდოვი.

◆ **ქურდობა.** 20 აპრილს ტროცკის ქუჩა № 26 გედევან ტატიშვილის ბინიდან მოიპარეს 50 მანეთი.

◆ **ამავე დღეს** პლეხანოვის გამზირი № 166 ეკატერინე თევდორაძეს თავის ბინაში მოიპარეს ოქროს საათი.

◆ **ბავშვის გვამი.** ქმათა სასაფლაოზე 19 აპრილს აღმოჩენილი იქნა ახლად დაბადებული ბავშვის გვამი.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** ოგანეზ დავითიანცისათვის ფულის ამოცლისათვის დააპატიმრეს არტავაზ არუთინოვი.

◆ **კახეთის მოედანზე** დააპატიმრეს რუბენ ახიჯანოვი, რომელმაც ევგენი დავითიშვილს ხელიდან გამოსტაცა ნავაჭრი ნივთები.

◆ **ბოქლომის გატეხვის** საშუალებით მეათე ფერმა ავლაბრის ქუჩა № 13 გაქურდეს ვერა არუმოვის ბინა.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** პუშკინის ქუჩა № 25 გაქურდეს მიკირტიჩ ნაზარეტიანის სავაჭრო. ქურდი მანუკიანცი დაპატიმრებულია.

◆ **კონტარაბანდა თამბაქო.** შელკოვნიკოვის ქუჩა № 7 საფერ ოგანეზოვის და მანოს გალიანცის ბინაზე აღმოჩენილ იქნა კონტრაბანდა თამბაქო. აღნიშნულნი პირნი დაპატიმრებულნი არიან.

სასამართლო

ლ. ტერ - გუკასოვის საქმე

ტერ - გუკასოვი 1925 წ. მსახურობდა სამხედრო წისქვილის გამგეთ. გუკასოვის დაუდევრობით დაიკარგა 2.372 ცალი ტომარა, ღირებული — 1.660 მანეთად.

ტერ-გუკასოვი პასუხისგებაში მისცეს. საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

დახვრეტა ყაჩაღობისათვის

20 აპრილს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით მანგლისში გაარჩია **ოგანეზ და არშაკ ალთუნიშვილის, მაკა და პავლე მაისურაძის, არტაშ ასლამაზიშვილის, სოლომონ ჩივაძის და დ. მჭედლიძის** საქმე: მათ ბრალდებოდათ მკვლელობა ძარცვის მიზნით.

სასამართლომ ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებულები დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა მათ (7 კაცს) **უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.**

საფოსტო ამანათების მოყვარულნი

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **ლ. კუპრაშვილის** მონაწილეობით დაიწყო **გრიგოლ პერტაიას, სიმონ დვანაძის და გრიგოლ ოქროპირიძის** საქმე.

1925 წ. პერტაია მსახურობდა სართიჭალის ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილებაში წერილების დამტარებლად. პერტაიამ დაამზადა სამი ყალბი ფულის ამანათი და ერთი გაგზავნა თბილისში, ხოლო ორი კი აბაშაში, თავის სახელზე. შემდეგ გამოცხადდა თბილისში და ფოსტა - ტელეგრაფის მეშვიდე კანტორაში ყალბი საბუთით მიიღო 200 მანეთი: ამგვარი ხრიკებით პერტაია შეეცადა მიეღო 600 მანეთი აბაშის ფოსტის კანტორიდან. ამ მიზნით პერტაია გამოცხადდა აბაშის ფოსტის განყოფილებაში 600 მანეთის მისაღებად, მაგრამ მისი ოინები გამომჟღავნდა და ის დააპატიმრეს.

დვანიძეს და ოქროპირიძეს ბრალდებათ სამსახურისადმი გულგრილობა, რის წყალობითაც პერტაიას საშუალება მიეცა დაეფარა ბოროტმოქმედება.

სასამართლოში ბრალდებულმა პერტაიამ თავი სცნო დამნაშავედ, ხოლო დანარჩენებმა ბრალდებულებმა კი არა.

გუშინ სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

ბოროტმოქმედება თამბაქოს ტრესტის მაღაზიებში

(კ. კუციდის და ს. ლორთქიფანიძის საქმე)

მესამე დღე

გუშინდელ სხდომაზე მოწმების დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს.

მოწმე **კაჩაროვი** (პირველი მაღაზიის გამგე) ამბობს, რომ იყო შემთხვევები, როცა მაღაზიას აკლდებოდა 200-300 მანეთის საქონელი.

მოწმე **ა. ჭუმბურიძე** (თამბაქოს ტრესტის მმართველის ყოფ. მოადგილე) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდებულები დიდძალ საქონელს სცემდენ ნისიად, რისი უფლება მათ არ ჰქონდათ.

მოწმე **ა. შავგულიძე** (ტრესტის კონტროლიორი) დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ პირობებში იქნა აღმოჩენილი ბოროტმოქმედება.

მოწმე **იეროგინი** (თამბაქოს ტრესტის სარევიზიო კომისიის წევრი) უამბობს სასამართლოს რომ დადიოდა ხმები თამბაქოს ტრესტის № 2 მაღაზიის ბოროტმოქმედების შესახებ. ამის გამო მოახდინეს მაღაზიის მოულოდნელი რევიზია. მაღაზიის დაბეჭდვისას ვამგე კუციდიმ სთხოვა სამი დღით რევიზიის გადადება,. რაიც იეროგინის მიერ უარყოფილი იქნა.

ნაჩქარევად მოხდენილმა რევიზიამ აღმოაჩინა დანაკლისი. კუციდი დაითხოვეს სამსახურიდან. მაღაზიის ახალ გამგისათვის გადაბარების დროს მოხდა დეტალური რევიზია. რევიზიით გამოირკვა, რომ კუციდის აკლია 25.000 მანეთის საქონელი. შედგენილ იქნა სათანადო აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა თვით კუციდიმ.

მოწმე **თამარა კუციდი** აღნიშნავს, რომ ბრალდებული ლორთქიფანიძე ციხიდან ხშირად სწერდა წერილებს კუციდის, რომლებშიაც სთხოვდა მას დახმარებოდა ციხიდან განთავისუფლების საქმეში. სამაგიეროდ პირდებოდა, რომ თავის თავზე აიღებდა მთელ პასუხისმგებლობას.

რევიზიის მოახლოვების დროს ლორთქიფანიძე სწერდა კუციდის; „რევიზიის ნუ გეშინია, ეს მხოლოდ უბრალო ავადმყოფობაა, რომელიც ადრე და უვნებლად გაივლისო".

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ახალი სახელმწიფო სესხი

ობლიგაციების ახალი პარტია.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა მოსკოვიდან ტელეგრაფით მიიღო ცნობა, რომ ამიერ-კავკასიისათვის დამატებით გადმოგზავნილია 1927 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ახალი პარტია—1.000.000 მანეთის.

ამ რაოდენობიდან ნაწილი ობლიგაციებისა გაგზავნილია უშუალოდ ბაქოში და ერევანში, ხოლო დანარჩენი ნაწილი (405.000 მან.) გამოგზავნილია თბილისში.

ამგვარად ობლიგაციების განაწილებაში რაიმე დაბრკოლებას ადგილი არ ექნება და თითოეულ ხელისმომწერს საშუალება მიეცემა მონაწილეობა მიიღოს პირველ ტირაჟში (15 მაისს.

შეღავათი არმიას.

წელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, საკავშირო ფინსახკომთან მიღწეული შეთანხმებით, წითელ არმიის ნაწილებისათვის სესხზე ხელისმოწერის ვადა გაგრძელებულია 27 აპრილამდე.

ხელისმოწერა საქართველოს მაზრებში.

საქართველოს ფინსახკომმა ამას წინად მაზრებში დაგზავნა თავის რწმუნებულები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სესხზე ხელისმოწერაში ფართო მშრომელი მასის ჩაბმა. რწმუნებულებმა ადგილებზე დაჰყვეს ორი კვირა.

მათი ცნობით, მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივებში და განსაკუთრებით რკინისგზის თანამშრომელთა შორის სესხმა დიდი ინტერესი გამოიწვია. წინასწარი გამოანგარიშების თანახმად, ხელისმოწერა სესხის ობლიგაციებზე საქართველოს მაზრებში აჭარბებს 150.000 მანეთს.

სამზადისი 1 მაისისათვის

თავდაცვის დამხმარე საზოგადოებამ გამოიმუშავა პირველი მაისის დღესასწაულებში მონაწილეობის მიღების გეგმა. პირველ მაისს გაიმართება ქიმიური რაზმების დემონსტრაციები, აეროპლანების მოდელების შეჯიბრება და სხვა.

საღამოს საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში (მუშათა კლუბები და თეატრები) გაიმართება მოხსენებები თავდაცვის დამხმარე საზოგადოების მნიშვნელობისა და მის წინაშე მდგომ ამოცანების შესახებ.

დღისით, პირველ მაისს, საზოგადოება მოაწყობს მოძრავ ლატარიებს, გათამაშებულ იქნება აეროპლანების მოდელები, ლიტერატურა და სხვა ნივთები. ამასთანავე გადაწყვეტილია, რომ ქალაქის ზოგიერთ რაიონებში მოეწყოს შეჯიბრი სროლაში და საუკეთესო მსროლელებს დაურიგონ ჯილდოები.

ამინდი

17 აპრილიდან მთელს საქართველოში მშრალი ამინდები დადგა. 18 აპრილს ადგილი ჰქონდა წვიმებს, რასაც ზოგიერთ ადგილებში ახლდა ჭექა-ქუხილი. 19 აპრილს წვიმები გრძელდებოდა თითქმის ყველგან, თბილისში და მუხროვანში წვიმას თან ახლდა ჭექა-ქუხილი, ხოლო ბორჯომში—სეტყვა. 20 აპრილს განსაკუთრებით დიდ წვიმებს ჰქონდა ადგილი შავი ზღვის სანაპიროებზე. ჭექა-ქუხილს ყოველთვის თან სდევდა ძლიერი წვიმა—2, 3 და 4 საათის განმავლობაში. დანარჩენ დროს კარგი დარი იდგა.

გუშინ ჰაერის ძლიერ წოლვას აღმოსავლეთ საქართველოში მოჰყვა ძლიერი ცივი ქარი და საგრძნობი სიცივეები, ხანგამოშვებით წვიმდა.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, ამინდის ასეთი ხშირი ცვალებადობა გამოიწვია ამიერ-კავკასიაზე ციკლონის გავლამ. ამ ციკლონმა 18 აპრილს დასწია ატმოსფერის წოლვა კასპიის ზღვაზე. ამ დროს შავ ზღვაზე უფრო მაღალ წოლვას ჰქონდა ადგილი.

ყოველთვის იმ ადგილებში, სადაც ციკლონი გაივლის, ადგილი აქვს წვიმებს, რასაც გაზაფხულზე და ზაფხულში თან ჰყვება ჭექა-ქუხილი.

19 და 20 აპრილს ამიერ-კავკასიაზე კვლავ გადაიარა ახალ ციკლონებმა, რომლებმაც გამოიწვიეს ნალექები—ჭექა-ქუხილით.

ხორცი იაფდება

უკანასკნელ ხანებში კერძო ბაზარზე ადგილი ჰქონდა ხორცის გაძვირებას, რაც გამოწვეული იყო საკლავ საქონლის შემორეკვის შემცირებით.

ამ ბოლო დროს ბაზარზე ემჩნევა ხორცის ფასის გაიაფება. ფასმა ფუთ ხორცზე დაიკლო 15-დან—13 მან.

ეს აიხსნება ერთის მხრივ ჩრდილო-კავკასიიდან და ოსმალეთიდან საქონლის შემორეკვით და მეორეს მხრივ ხორცეულზე მოთხოვნილების შემცირებით, რადგან ბაზარზე დიდის რაოდენობით მოიპოვება ბოსტნეული.

ბინის ქირა ქალაქებში

საგეგმო კომისიამ შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარუდგინა სახალხო კომისართა საბჭოს დებულების პროექტი რესპუბლიკის ქალაქებში ბინის ქირის მოწესრიგების შესახებ. დებულების პროექტში მოცემულია ბინის ქირის მინიმუმი და მაქსიმუმი მუშა-მოსამსახურეთათვის და მინიმუმი დანარჩენებისათვის. მოცემულია აგრეთვე საერთო ნორმები, რომლის საფუძველზე მაზრის ალმასკომებმა უნდა ააგონ თავიანთი საბინაო ტარიფები და თვითონვე შემოიღონ სამოქმედოთ. დღემდე ბინის ქირის ტარიფიკაციას ამტკიცებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ახალი დებულებით, ბინის ქირას თვით სამაზრო ალმასკომები დაამტკიცებენ.

რკინისგზეზე

დამატებითი მატარებელი

ბათომის მიმართულებით ა.-კ. რკ. გზებზე ადგილი აქვს მგზავრების რიცხვის ზრდას.

მგზავრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თბილის - ბათომს შუა ა.-კ. რკ. გზების სამართველომ განაახლა ამას წინად მოხსნილ დაჩქარებულ მატ. № 5 და 6-ს მოძრაობა. მატარებელი თბილისიდან გადის დილის 11 საათზე და 11 წუთზე.

ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან

ა.-კ. რკ. გზ. საშემოსავლო დარგთან არსებობს ვაფლანგვებთან სხვადასხვა ბოროტმოქმედებასთან მებრძოლი კომისია.

უკანასკნელ ხანებში კომისიამ აღმოაჩინა მთელი რიგი სხვადასხვაგვარი უწესრიგობანი.

მაგალითად, სადგ. ხაშმასის საბარგო - საბილეთო მოლარე **პ. დუნდუა** ხშირად მგზავრებს ზედმეტ ფულს ახდევინებდა ბილეთებში, ეს ფულები მას შეჰქონდა სალაროში, მაგრამ მიუხედავად ამისა კომისიამ დუნდუა გადაიყვანა ისეთ სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებული არ არის ფულის ოპერაციებთან.

ამავე სადგურის საბარგო მოლარე **ერლინგერი** და სადგ. საჯევახოს უფროსის თანაშემწე **ზეინაშვილი** იმახავდენ სახელმწიფო ფულებს ჯიბეში და აყოვნებდენ მათ შეტანას გზის სალაროში. გერლინგერს გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით დათხოვნის შესახებ, ხოლო ზეინაშვილს საყვედური.

საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე კასპის სადგურის უფროსს **როინიშვილს,** გორის სადგურის მოლარეს **მარგიშვილს,** და სადგ. ქარელის მოლარეს **ლვინაძეს,** რადგან ისინი ანგარიშ - წარმოებას ატარებდენ დაგვიანებით.

სხვადასხვა შემოსავალთა ქვითარების ყდების შეუვსებლობის გამო მიიღო საყვედური — გაფრთხილებით ალიათის სადგურის უფროსის თანაშემწემ — **სტარკოვმა,** ხოლო სადგურის უფროსმა — **ტერპილოვსკიმ,** როგორც უფრო ნაკლებ დამნაშავემ მიიღო საყვედური.

სამეურნეო უთავბოლობისათვის

კონდუქტორთა ბრიგადების უფროსმა **ალეინიკოვმა** ბაქოდან ბალაჯარაში გაიწვია კონდუქტორთა ბრიგადა, რომელიც იქ უსაქმოდ გაჩერდა 7 საათის განმავლობაში და შემდეგ დაბრუნდა უკან იმავე ალეინიკოვის განკარგულებით.

ბრიგადამ, რასაკვირველია მიიღო, კუთვნილი ფული.

ალეინიკოვის ასეთი მოქმედება ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ სცნო სამეურნეო უთავბოლობად, რისთვისაც ალეინიკოვს გამოუცხადა საყვედური — გაფრთხილებით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ

დღისა და ღამის სანატორიუმები

დღისა და ღამის სანატორიუმები ჰლექიან ავადმყოფებისათვის **გაიხსნება** არა უგვიანეს 1 მაისისა.

„ხანძარი" თბილისის სადგურზე

21 აპრილს ღამის ორ საათზე გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ა. კ. საგზაო სატრანსპორტო განყოფილებამ თბილისის სარდგურზე მოაწყო ხანძრის სანიშნებელი განგაში.

ერთბაშად, მოულოდნელად გაისმა მთავარ სახელოსნოების და სადგურის ტერიტორიაზე მდგომ ორთქლმავლების საყვირების ხმა.

განგაშის ხმაზე სადგურის მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დადგა.

პირველ ყოვლისა სადგურზე გაჩნდა რკ. გზის სახანძრო რაზმი და რამოდენიმე, მორიგეობისაგან თავისუფალი მეხანძრე. სახანძრო მატარებლის რაზმმა ვერ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე. იგი მივიდა ადგილზე 30 წუთის დაგვიანებით. ზარებიც ვერ აჩამურდენ თავის დროზე. დააგვიანდა სახანძრო რაზმის უფროსს ამხ. კილჩევსკისაც, რომელიც 20 წუთის შემდეგ მივიდა. ეს გამოიწვია იმან, რომ მის განკარგულებაში არ არის კავშირის დასაჭერი და სამგზავრო საშუალება. განგაშის გამო 16—18 წუთში ადგილზე გაჩნდა რამოდენიმე მუშა მთავარ სახელოსნოებიდან.

ყველანი თავის ადგილზე იყვნენ, მაგრამ ცეცხლი კი არ სჩანდა.

ბოლოს გამოირკვა, რომ განგაში ატეხილი იყო განზრახ, რკ.-გზებზე ცეცხლთან ბრძოლის ადმინისტრაციის გამოსაცდელად.

საერთოდ გამოცდა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო უწესრიგობა და მოსალოდნელი ძარცვა-გლეჯა, გზის დამცველ რაზმს მიიღებული ჰქონდა შესაფერი ზომები.

დოღი

პირველი დღის პროგრამა

25 აპრილს 12 საათზე თბილისის იპოდრომზე გაიხსნება დოღი. პირველი დღის პროგრამა შემდეგია:

პირველი გაჭენება — საბარიერო დოღი— მონაწილეობას იღებენ შემდეგი ცხენები: მალჩიკი, ომარი (ანანური), ამაზონკა, ელექტრიკი, გამსონი.

მეორე გაჭენება — მანძილი 1 ვერსი 100 საჟენი — ცხენები: გორგასლანი, ეთერი, აიჯაქათათურელი.

მესამე გაჭენება — უბარიერო დოღი — მანძილი 1 ნახ. ვერსი — ცხენები: არჩი, ორთოლა, ბნედიანი, ბეზიი, იფრეტ, ზორკი, პარხანი, ოლმორა.

მეოთხე გაჭენება — მანძილი 1 ვერსი—ცხენები: კარმინიოლა, გურჯაანი, აბესალომი, უაითლედი.

მეხუთე გაჭენება — გახსნის ჯილდო, მანძილი 2 ვერსი — ცხენები: მოსო, ბერგენი, სარდარი.

მეექვსე გაჭენება — მანძილი 1 ნახ. ვერსი, ცხენები: დოლომე, მამარკა, თაისი.

მეცნიერება და ტეხნიკა

კიდევ ტუტ-ანხ-ამონის განძის შესახებ.

ეგვიპტის ფარაონის ტუტ-ანხ-ამონის აკლდამა, რომელმაც ამ ორი-სამი წლის წინათ ასეთი სენსაცია გამოიწვია იქ ნაპოვნ განძეულობათა გამო, კვლავ არქეოლოგების უდიდესი ყურადღების ცენტრშია. გათხრების ხელმძღვანელი ამერიკელი **კარტერი** ამ რამდენიმე ხნის წინათ შეუდგა იმ ოთახის გამოკვლევას, რომელიც მდებარეობს იმ უზარმაზარი სამარხის გვერდით, სადაც ნაპოვნი იქნა კუბო ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის მუმიით. ამ ოთახში ნაპოვნი ნივთები თავისი სიმდიდრით თუმცა ვერ სჯობნიან მუმიასთან ერთად ნაპოვნ ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, მაგრამ მაინც განირჩევიან არაჩვეულებრივი სილამაზით, რაც იმას მოწმობს, თუ რარიგ მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა ხელოვნება იმდროინდელ ეგვიპტეში.

მთავარ განძს, რომელიც იპოვეს ამ ოთახში, წარმოადგენს დიდი ქვის ყუთი, რომელშიაც ჩადგმული იყო ალებასტრიდან დამზადებული რამდენიმე ვაზა. ამ ვაზებში დაცული იყო ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის შინაგანი ორგანოები. ყუთის კედლებზე გამოკვეთილია ოთხ ღმერთის ქანდაკება. ეს ღმერთები „იცავდენ" ყუთში მოთავსებულ საგნებს. ქანდაკებანი შესრულებულია რეალისტურად და ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ეგვიპტ. მუზეუმის სამმართველოს გადაწყვეტილებით, ეს ყუთი დეტალურად იქნება გამოკვლეული და მას დასტოვებენ ადგილზე.

გარდა ამ ყუთისა, აღნიშნულ ოთახში იპოვეს რამდენიმე კოლოფი, კალათები და ქურჭლები, რომლებშიაც აღმოჩნდა აუარებელი განძეულობა, ბეჭდები, სამაჯურები და სხვ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კოლოფებში ნაპოვნმა ფარაონის მოოქროულმა ქანდაკებებმა, რომლებიც, როგორც სჩანს, დანიშნული იყო ფარაონის ახლობლებისათვის დასარიგებლად. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ქანდაკებათა დამზადებას მასიური ხასიათი ჰქონდა, ისინი მაინც წარმოადგენენ ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს.

დირიჟაბლი-ჰაეროპლანი.

ინგლისში იმუშავებენ პროექტს უზარმაზარი საჰაერო გემისას, რომელიც იქნება შეერთება დირიჟაბლისა და ჰაეროპლანის. ასეთივე ტიპის საფრენი აპარატის პროექტი მუშავდება აგრეთვე ავსტრიაშიც. ინგლისური დირიჟაბლი-ჰაეროპლანი ტვირთზიდვით აჯობებს ყველა არსებულ ორივე ტიპის აპარატებს.

ახალი ლითონი.

ერთმა ინგლისელმა გამომგონებელმა აღმოაჩინა ახალი ლითონი „სოლიუმი", მიღებული ლითონ-ჟანგებისა და ლითაროების გადადნობით. შემადგენელ ნაწილების შესაფერად შეცვლის საშუალებით. „სოლიუმს" შეიძლება მიეცეს უფრო მეტი სიმაგრე, ვიდრე ფოლადს და უფრო მეტი სირბილე, ვიდრე ტყვიას. მრეწველობის მრავალ დარგებში „სოლიუმს" წარმატებით შეუძლია პლატინის შეცვლა. ახალი ლითონის დამზადება მეტად იაფი ჯდება.

ნარევი

მაქსიმ გორკის დაჯარიმება.

ლენინგრადში, მეორმოცდაექვსე უბნის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორმა „აღმოაჩინა", რომ მაქსიმ გორკის არ გადაუხდია 1925—26 წლის საშემოსავლო გადასახადი. ინსპექტორმა შეადგინა გადასახადის ბარათი, რომელშიც შეიტანა გადასახადი 348 მანეთის რაოდენობით, ჯარიმა 21 მანეთის რაოდენობით და, ამას გარდა, გადასახადზე დაარიცხა „ასტრონომიული" საურავი.

ბარათში, სტრიქონში, სადაც აღნიშნულია გადამხდელის გვარი და სახელი, სწერია: მაქსიმ გორკი (ალექსეი პეშკოვი). მეორე სტრიქონში, სადაც უნდა აღინიშნოს გადამხდელის საცხოვრებელი ადგილი, ინსპექტორმა ჩასწერა: იტალია.

საგუბერნიო ფინგანყოფილებაში ინსპექტორს განუმარტეს, რომ იტალია ლენინგრადის მეორმოცდაექვსე უბანში არ შედის და, გარდა ამისა, თუმცა მაქსიმ გორკი, რომელიც ლიტერატურულ შრომებით ცხოვრობს, საბჭოთა მოქალაქეა, მაგრამ, რადგან ის უცხოეთში იმყოფება, არ უნდა იქნეს დაბეგრილი გადასახადით.

გრაფ გუნიადის სიკვდილი.

ნილოსის მიდამოებში მოგზაურობის დროს ლომმა დაგლიჯა ცნობილი ჩეხი მოგზაური გრაფი **ლოდისლავ გუნიადი.** განსვენებულმა 12-ჯერ იმოგზაურა აფრიკაში. მას მოკლული ჰყავს აუარებელი ლომები, ვეფხები და სხვ. მტაცებელი ცხოველები. უკანასკნელად ის იკვლევდა აფრიკის ჯერ კიდევ უცნობ ოლქებს.

ახალი ცნობები მარნაზე ბრძოლის შესახებ.

გენ. **ჟოფრმა,** რომელიც მსოფლიო ომის დროს სარდლობდა მოკავშირეთა ჯარებს, ინგლისურ გაზეთ „სანდეი ექსპრესს"-ში გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილები ცნობილი ბრძოლის შესახებ მდინარე მარნაზე, რომლის შემდეგ გერმანელები, რომლებმაც პარიზამდე მიაღწიეს, უკუქცეული იქნენ. ჟოფრის აზრით, გერმანელები მარნაზე დამარცხდენ თავიანთი გენერალის კლუკის უდისციპლინობის წყალობით. კლუკმა ჩაშალა გერმანიის ჯარების შტაბის უფროსის მოლტკეს ყველა გეგმები. გერმანიის შტაბმა უბრძანა კლუკს დაეკავებია პოზიციები ორი დღის სავალზე ბიულოვის არმიის უკან. კლუკი ისე „გაიტაცა" შეტევამ, რომ 25—50 კილომეტრით წინ გაუსწრო ბიულოვის არმიას. ამის შედეგი იყო კავშირის გაწყვეტა ზურგთან და სამხედრო ბაზასთან, რასაც მოჰყვა დამარცხება.

ატლანტიის ოკეანეს ფსკერი

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ატლანტიის ოკეანეს ფსკერმა ძლიერ აიწია. ელინეს კუნძულის ახლოს ერთ-ერთი წყალქვეშა სატელეგრაფო ხაზის შეკეთების დროს გამოირკვა, რომ წინეთ მავთული ყოფილა წყალქვეშ 4.500 მეტრის სიღრმეზე, ახლა კი—1.100 მეტრის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 42

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხ. შეცვლისა და 144^1 მუხ. ამოშლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ. სრულიად საქართველოს სოც. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლი შეცვლილი იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 144 სააქციო წესების ან სპირტიანი სასმელების და თამბაქოს წარმოების ვაჭრობისათვის შემოღებული განსაკუთრებული პატენტის წესების დარღვევა, უკეთუ ამ დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დევნა კანონით არ არის გათვალისწინებული, გამოიწვევს:

ჯარიმას ათას მანეთამდე და იძულებით მუშაობას ან თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, თანაც აქცია - გადაუხდელი ან ნაკლებად გადახდილი საგნის და პროდუქციის კონფისკაციის, აგრეთვე აქციზ - დადებული საგნების ფარულად გაკეთებისათვის გამოსაყენებელი ნედლი მასალისა და საწარმოო იარაღის კონფისკაციას.

2

სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხ. ამოშლილ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

რულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. აპრილი.
თბილისი — სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მიერ კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საწარმოსა და სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო სახსარისა და მატერიალური ფასეულობის მოთავსების წესის თაობაზე" 1926 წლის ნოემბრის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

თანახმად საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 12-ის დადგენილებისა (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1926 70 №-რი, მუხ. 535), რომლითაც გაუქმებულია მე-10 მ. მისი 1926 წ. ივნისის 16-ს დადგენილებისა „1925-1926 წ. საბიუჯეტო წელში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მიერ ბიუჯეტ-გარე სახსარის გამოყენებისა და კომერციული (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ საწარმოში და სააქციო საზოგადოებებში (საპაიო ამხანაგობებში) სახელმწიფო სახსარის მოთავსების წესის შესახებ", — საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულების მიერ კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საწარმოსა და სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო სახსარისა და მატერიალური ფასეულობის მოთავსების წესის შესახებ" გაზ. „კომუნისტი"-ს 275 №-რი 1926 წ. დეკემბრის 1-სა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ.
თბილისი - სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

უნდა მიიცეთ თუ არა დროებით მომუშავეთ წინასწარი გაფრთხილება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ

დროებით მომუშავე ხარიტონ კარზიას

პასუხი

თანახმად ა. კ. საბჭოთა რესპ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 26 მარტის დადგენილების მუხ. 34—31-ისა (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში 1927 წ. 7 აპრილიდან № 1445-ში) დროებით მომუშავეთ, რომელნიც დაქირავებული არიან განსაზღვრული ვადით, წარმოება-დაწესებულების ლიკვიდაციის, სამუშაოს შემცირების ან და მისი შეჩერების შემთხვევებში ერთ კვირაზე მეტი ხნის ხანგრძლივობით. (იხ. ამავე დადგენილების მუხ. 34—30 აბზ. „ა" და „გ") აუცილებლად უნდა მიეცეთ სამი დღით ადრე წინასწარი გაფრთხილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეთ გასავლელი დახმარება სამი დღის ხელფასის საშუალო რაოდენობით.

მივლინების გასამრჯელოს რაოდენობის შესახებ

რკინის გზელს პეტრე წითლაძეს

პასუხი

თანახმად საკავშირო საბჭ. რესპ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 14 აინვრის დადგენილება მუხ. ორი და სამისა, მივლინების ჯილდო უნდა იქნეს გამოანგარიშებული ასეთი წესით: ყოველდღიურად მივლინებულს ბინის ქირის ზევით უნდა მიეცეს სამივლინებო გასამრჯელოდ მისი ფაქტიური ხელფასის ოცდამეათედი ნაწილი (ერთი მეოცდაათედი). მაგრამ არა ნაკლებ ორნახევარი მანეთისა და არა უმეტეს ათი მანეთისა ყოველდღიურად მივლინებაში ყოფნის დროს. დღიურები კი გამოიანგარიშება მივლინების ფაქტიური დღეების მიხედვით კვირა უქმე დღეების გამოკლებით. მივლინებაში წასვლის და მივლინებიდან დაბრუნების დღეები დღიურების გამოანგარიშების დროს იანგარიშებიან როგორც ერთი დღე.

შორაპანის მაზრის მცხ. გლეხს ს. კუპატაძეს

პასუხი

გათხოვილი ქალიშვილი ჰკარგავს თავის მშობლის მიწა-წყლით სარგებლობის უფლებას. ვინაიდან იგი [illegible] სარგებლობს მხოლოდ თავის ქმრის სარგებლობაში მყოფ მამულში (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 40).

სოფ. ლელიანის (სამხრეთ ოსეთის) სკოლის მასწავლებელ ნინა ტოკლიკიშვილს

პასუხი

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ იყავით დანიშნული მასწავლებლად სამხრეთ ოსეთში. მაგრამ თქვენ აქ მასწავლებლობა „გიძნელდებოდათ" და ამიტომაც გააცდინეთ მთელი ორი თვე. ეხლა გვეკითხებით—გეკუთვნით თუ არა თქვენ გაცდენილი დროის ხელფასი, რადგან თქვენ ოფიციალურად სამსახურიდან არ ყოფილხართ მოხსნილი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი გასამრჯელო თქვენ არ გეკუთვნით არც მორალურად და არც ფორმალურად. თქვენვე განსაჯეთ, რაში და რისთვის უნდა მოგეცეთ გაცდენილი დროის ხელფასი, ადმინისტრაციას ჰქონდა უფლება თქვენი სამსახურიდან მოხსნის, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის აბზაცი „ვ"-სი და მას შეცდომა დაუშვია, რომ თავის უფლებებით არ უსარგებლნია.

ქალ. სამტრედიის რკ. გზ. 1 შვიდწლიან შრომის სკოლის მასწავლებელს დომენტი შანიძეს

პასუხი

თუ კი თქვენი ყოფ. ცოლი (ეხლა განქორწინებული) შვილებს აღარ უვლის ისე, როგორც წესი და რიგია და მასთან, იმასთან ბავშვების დატოვება ბავშვებისათვის საზიანოა მატერიალური და ზნეობრივი მხრით და ყველაფერ ამას თქვენ დაამტკიცებთ „მმაჩ"-ში, „მმაჩი" მას ბავშვებს ჩამოართმევს და გადასცემს იმას, ვინც ბავშვებს წესიერად მოუვლის. (იხ. საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 27 თებერვლის № 23).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება,** რომ დღეს პარასკევს, 4 ნახ. საათზე მოწვეულია **აგრონომიული ფაკულტეტის კომკავშირის და კომუჯრედის გაერთიანებული კრება.** დღის წესრიგი: ფაკულტეტის დეკანის მოხსენება. დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 22 აპრილს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში **მოწვეულია გაფართოებული პლენუმი** უჯრედთა ბიუროებთან, ადგილკომების ფრაქციებთან, მუშკოოპის და სადუქნო საკონტროლო კომისიების წევრ კომუნისტებთან ერთად. დღის წესრიგი: 1. ფასების დაკლების შესახებ (მუშკოოპის ცნობა).

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს 22 აპრილს, საღამოს ექვს საათზე აგიტპროპმუშაობის კაბინეტის შენობაში შესდგება **ყველა საფეხურების პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის **სააგიტაციო საპროპაგანდო** განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს 22 აპრილს, საღამოს 5 ს. 30 წუთზე მუშათა ცენტრალურ კლუბის ქვედა დარბაზში **შესდგება რაიონის აქტივის კრება.** დღის წესრიგი: 1) ჩინეთის რევოლიუციის შესახებ.

— ს. კ. პ. (ბ) ც. კ. **ბეჭდვითი განყოფილების** კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება პარასკევს, 22 აპრილს საღამოს 6 ნახ. საათზე ამხ. კახიანის კაბინეტში. სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრების დასწრება".

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელენე, შვილი მიტუშა, ძმა ნოე, დები: მაშიკო, ეკატერინე, ლიუდია, ლასო, ემელიანე და შუშანიკა, სიძეები სილოვან თავბერიძე, ერმილე აროზელიძე, მელიტონ ჩიკვაშვილი, გიორგი შათირიშვილი, ცოლის ძმა ისაკი ანთიძე და ცოლის ბიძაშვილი ვასო ანთიძე მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 20 აპრილს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა

დიმიტრი ზურაბისძე ჩხიკვაძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (უ)

დამწუხრებულნი შვილები ნინო, ელენე, მართა, ოლღა, ივანე და გიორგი, რძალი ეკატერინე, შვილის შვილები მარინე და გივი, სიძეები ნიკოლოზ ლუდუშაური და ერემია გარსიაშვილი და ძმისწულები თამარი, ბრჩილი და ვლადიმერ მაისურაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20 აპრილს ქ თელავში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

სალომე ანდრიას ასული პაატაშვილისა

დაკრძალვა ქ. თელავში პარასკევს 22 აპრილს 2501

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მაშო და აკაკი, ბებია ედუსი, ბაბუა რომანოზი ქაროსანიძეები პატარა ოთიკოთი; ბებია მინადორა წვერავა; ბიცოლები: ქსენია წვერავასი და ალვინა ქაროსანიძისა მარგუშათი; ბიძები: მიშა ფუსიკოთი, კაკო და სიმონი; დეიდები: ლიუბა, კატო და შურა წვერავები; მამიდა ვერა ქაროსანიძე აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ 20 აპრილს მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი პატარა ბუხჩულა

თენგო (თენგიზი) აკაკის-ძე ქაროსანიძე

დასაფლავება მოხდება პარასკევს 22 აპრილს 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ჭავჭავაძის ქუჩა № 20 (შესავალი ზედა ქუჩიდან) 2507

ანონსი: კინო-თეატრებში აპოლო და არფასტო მხოლოდ სამი დღე: 24, 25 და 26 აპრილს

„მისს კეთი და მისტერ ჯეკი"

ანატოლ დუროვისა და მისი ოთხფეხა მეგობრების: მაიმუნის, ძაღლის, ლომის, ტურას, ირმის, კატის, ზღვის ლომის, დათვის, ნიანგის, კენგურუს, ძღარბის და სხვ. მონაწილეობით.

„მამა და მორიცი"

საქ. სახკინმრეწვის ნაწარმოები კომედია

მთ. როლებში: ს.ს.ს.რ. დამსახურ. მსახიობა ლეო ტანტი, ბოგი რატიანი და ეთერი ყიფიანი.

სურათი განსაკუთრებით საინტერესოა როგორც ბავშვებისა, ისე მოზრდილთათვის

კოლექტიურად ნახვის დროს სკოლების მიერ, მოწაფეები იხდიან 15 კაპ.

ბ. 1053

დაკვეთები მიიღება საქ. სახკინმრეწვის საქირავებელ განყოფილებაში: რუსთაველის 10, დილ. 9—3-დე.

ამ დღეებში კინო-თეატრებში
აპოლო, მინიონი, არფასტო

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

თავადის ასული შირვანსკაიას ბოროტმოქმედება

დადგმა: ივ. პერესტიანის
ოპერატორი: დიგმელოვი.
მთავარ როლებში:
მარია შირაი, მ. იაკობინი,
ა. შირაი

საქართველოს სახკინმრეწვის უახლესი სურათი

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს
ბ. 1054
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიური
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან.
½ წლით. . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
2428 25—1

ოზურგეთის უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი მ. მაქსიმელიშვილი

აცხადებს, რომ სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის ძალით ოზურგეთში აბაშიძის ქუჩაზე № 4, დღის 12 საათზე 27 აპრილს 1927 წლისა ლიუდმილა გოთუას ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ერთი სახლი, ორ სართულიანი, კრამიტით დახურული 6 თვალი, ერთი სამზარეულოთი, ზომით 630 ოთხკუთ. საჟენი საზღვრებთა შორის. აღმოს. სოლომონ დუმბაძის მიწა ეხლა სილევან ორაგველიძის ობლების ხარგებლობა-მფლობელობაში მყოფი, დასავლეთით აბაშიძის ქუჩა, ჩრდილოეთით მდინარე ბაზრის წყალი და სამხრეთით ტინტიკოვის მიწა ყოფილი ძმათა თუმანოვებისა. ბ. 1052

სახელმწიფო დრამა
5—1 ბ. 1024

უკანასკნელად ამ სეზონში
კვირას, 24 აპრილს,
ნ. შიუკაშვილის
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით.
ახალი კუპლეტები
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.
სა ხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოთ

სწავლის ფულის მეორე ნახევარის გადახდის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია ა/წ. 1 მაისი

საქმეთა მმართველის მაგ. ქ. ჩიჩუა.
ბ. 1056. საქმის მწარმოებელი (ხელმოწერილია).

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—19 ბ. 924

მსოფლიო შედევრი ლიუსი დორენის მონაწილეობ.
„სოდომი და გომორა"
გრანდიოზული დადგმა! ათეული ათასი მონაწილენი 2 სერია 13 ნაწილი ერთად.
უკანასკნელად თბილისში „თეთრი ჩრჩილი"
ბარბარა ლა-მარისა და კოლვეი ტირლის მონაწილეობით.
მხატ. შედევრი ამერიკული სურათი აგნესა აირესის მონაწ.
„საღამოს 7 საათზე"
ამერიკული ნაწარმოები მხატვრული სურათი
„მთის ცხენოსანი" ვილიამ ხარტის მონაწ.
პროგრამის გარეშე: „სულის მოჩვენება" კომ. 2 ნაწ.
ანონსი: მზადდება „თავადის ასული შირვანსკაიას ბოროტმოქმედება".

თანახმად საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდების 42 და 43 მუხლებისა და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ სახკომსაბჭოს დადგენილებისა ა. წ. 24 მარტის თარიღით № 15, ა. წ. 28 აპრილს,

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

სოფ. წინანდალში ყოფილ ამხ-ბა „საერო"-ს შემდეგი ქონება, რომელიც დაგირავებულია ბანკში: მარანი, ქვევრები, საწყობები, ერთი ოთახი, საჯინიბო, საბონდარო სახელოსნო და ამერიკული ლერწის სანერგე.
ვაჭრობა დაიწყება 10.100 მანეთიდან. წინასწარ ცნობების მიღება შეიძლება საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში, კეცხოველის ქ. № 7.
ბ. 1055. საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

იყიდება ერთი თორმეტეული საპარიკმახერო სკამები, ორი თორმეტეული სასადილოს სკამები მუხის. ერთი სასადილო ბუფეტი. მისამართი: პლეხანოვის ქ. № 120 ეზოში [illegible] ცხვარაძე. 2502

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. № 4—82

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი.
ციების სხვანგვარი მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

მედმუშაკთა კოლექტივი

აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში** მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღის ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.

ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე. იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით.
2—15

დავკარგე კ. პ. (ბ) საწევრო წიგნაკი ივანე გიორგისძე თავშავაძის სახელზე, ჩ. გ. 2503

დავკარგე მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 4399 ალექსი ლობჟანიძეს სახელზე, ჩ. გ. 2505

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ქალ. კრასნოდარის მილიციიდან ფრანც ივანეს ძე კოპერის სახელზე, ჩ. გ.

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.